მარქსის სახ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

შაბათი, 9 იანვარი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 6 (1461)

დღიური

— ინგლისელ კოოპერატორების დელეგაცია გაოცებულია საბჭოთა კავშირის მიღწევებით.

— საბჭ. კავშირში მოემგზავრება ცნობილი გერმანელი პოეტი ერნსტ ტოლლერი.

— ვეზუვი ამოქმედდა.

— ყალბი ფულის მკეთებელთა ორგანიზაციის აღმოჩენის გამო უნგრეთის დიქტატორის ხორტის მდგომარეობა შეირყა.

ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის

ყოფილი რუსეთის იმპერია ეკონომიურად საერთოდ ჩამორჩენილი იყო, განსაკუთრებით კი მისი ე. წ. განაპირა მხარეები ამ მხრივ, ხომ გაცილებით უფრო დაბლა იდგენ. ყველამ ვიცით, რომ მეფის მთავრობა კოლონიალურ-იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებდა ეროვნულ-უმცირესობათა მიმართ. იგი არამც თუ ხელს არ უწყობდა მათ ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებას, პირიქით—ხელოვნურად აფერხებდა ამას. თითქმის მთელი მრეწველობა თავმოყრილი იყო რუსეთის ცენტრალურ რაიონებში, დანარჩენ კუთხეებს ყურადღება არ ექცეოდა. ამ შემთხვევაში თვითმპყრობელობის და რუსეთის ბურჟუაზიის განზრახვას შეადგენდა „განაპირა მხარეების“ გადაქცევა ექსპლოატაციის საგნად, სამრეწველო შიდარუსეთის აგრარულ დამატებად, კოლონიად. ეს ასეც იყო სინამდვილეში.

საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც მიზნად ისახავს ყველა ერების სრული თანასწორობის განხორციელებას, ამ მხრივ მეტად მძიმე მემკვიდრეობა გადმოეცა ძველი რეჟიმიდან. ეს თანასწორობა ცალიერ ლოზუნგად დარჩებოდა, თუ ჩვენ არ შევქმნიდით მისი გატარებისათვის მკვიდრ ეკონომიურ ბაზას, თუ ყოველგვარ შესაძლებელ ზომას არ მივიღებდით პირველ ყოვლისა ნაციონალური მრეწველობის განვითარებისათვის.

ჩვენი პარტიის და მუშურ-გლეხური მთავრობის საქმიანობა სწორედ აქეთკენაა მიმართული. წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურის მტრების ბოროტი ჭორებისა, თითქო ბოლშევიკები მცირე ერების დამონების პოლიტიკას აწარმოებდენ, თითქო „მოსკოვი“ მიზნად ისახავდეს საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნულ უმცირესობათა ექსპლოატაციას და არ სცდილობდეს მათ სამრეწველო, საერთოდ სამეურნეო დაწინაურებაზე,—ჩვენ ნამდვილად სულ სხვა სურათის მოწმენი ვართ, არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა გარეშე მიუდგომელი მეთვალყურე, სახელდობრ იმ სურათის მოწმენი, რომ საკავშირო ცენტრი ნაციონალურ რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ერთად ადგილობრივ მრეწველობის შექმნა-აღორძინებისათვის საბჭ. კავშირის დღევანდელ ფინანსიურ შესაძლებლობათა ფარგლებში მაქსიმალურ თანხებს სდებს. ნაციონალურ ეკონომიკის განვითარებისაკენ მტკიცე გზაა აღებული ჩვენი პარტიის მიერ და ამ გზას კიდეც ურყევლად ვატარებთ ცხოვრებაში.

თუ კერძოდ ჩვენს ქვეყანას ავიღებთ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან აქ უდიდესი მშენებლობა სწარმოებს ახალი სამრეწველო დარგების მოსაწყობად და ძველების განსაახლებლად. ჩვენ არ გაგვაჩნია მსხვილი მრეწველობა, ჩვენში მეტ წილად ადგილი აქვს წვრილ წარმოებას, რომელიც უმეტესად ნახევრად ხელოსნურ და პირდაპირ ხელოსნურ ხასიათს ატარებს. ამ წარმოებათა მოწყობილობაც დაძველებულია და გაცვეთილი. საჭიროა მათი გადახალისება თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით. მთავარი ამოცანა კი მდგომარეობს ახალი ფაბრიკა-ქარხნების შექმნაში.

ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობაა გაჩაღებული. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ საფუძველს ელექტროფიკაცია წარმოადგენს. საელექტროფიკაციო მშენებლობა ჩვენში ფართოდაა გაშლილი. საკმარისია მარტო ზაჰესი დავასახელოთ. ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხნები უკვე გადაყვანილია მექანიკურ საფუძველზე. მოეწყო რამოდენიმე ახალი ფაბრიკა (ავეჯეულის, საფეიქრო და სხ.). შედგენილია პროექტები ქაღალდის და სხვა ფაბრიკების ასაშენებლად.

ყველა ამისათვის, რესპუბლიკანურ საშუალებათა გარდა, საკავშირო ცენტრი იღებს საკმაო თანხებს.

დაწყებული მუშაობა ამ მხრივ შემდეგში უფრო გაფართოვდება და გაძლიერდება. ასეთია ჩვენი პარტიის ნებისყოფა. საქართველოს და ამიერკავკასიის პარტორგანიზაციების უკანასკნელმა ყრილობებმა გარკვეული დირექტივები მოგვცეს ნაციონალური მრეწველობის განვითარებისათვის. სრულიად საკავშირო მე-14-ე პარტყრილობამ აუცილებლად სცნო „ყოველნაირად შეეწყოს ხელი საბჭოთა ადგილობრივ მრეწველობას (რაიონი, გუბერნია, ოლქი, რესპუბლიკა), ყოველნაირად წაქეზებულ იქნას ადგილობრივი ინიციატივა ამ მრეწველობის ორგანიზაციის საქმეში, რომლის დანიშნულებაა საერთოდ მოსახლეობის, კერძოდ გლეხობის მრავალგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“.

საბჭოთა მრეწველობის დარგში ორი ძირითადი მომენტია აღსანიშნავი: პირველი:—ჩვენ უნდა მივაღწიოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების დამოუკიდებლობას გარემოცულ კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან, ამისათვის ჩვენ გადაჭრით უნდა დავადგეთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზას, რათა გავაქარწყლოთ ბურჟუაზიულ ქვეყნების მისწრაფება—საბჭოთა კავშირი გახადონ თავის აგრარულ დამატებათ და განვთავისუფლდეთ მათი ჩვენთვის საზარალო ეკონომიური ზედმოქმედებისაგან. ასეთი დირექტივა მოგვცა საკავშირო კომპარტიის ყრილობამ. მეორე—თვით საბჭოთა კავშირის შიგნით უნდა მოხდეს საწარმოო ძალთა გეგმაშეწონილი გადაჯგუფება, უნდა მოვსპოთ თვითმპყრობელობის დროიდან დარჩენილი ეკონომიური ჩამორჩენილობა ნაციონალურ რესპუბლიკებში და ყოველი ღონე ვიხმაროთ მათში მრეწველობის შექმნისა და აღორძინებისათვის. ჩვენი ლოზუნგია — ადგილობრივი ნედლი მასალა ადგილობრივადვე გადამუშავდეს, ბუნებრივი სიმდიდრენი ადგილობრივადვე იქნეს გამოყენებული. რა თქმა უნდა, ცენტრის და ადგილების ინტერესები აქ სავსებით იქნება შეთანხმებული, მთლიანი სამეურნეო გეგმის ნიადაგზე.

ამ ამოცანის განხორციელებას საბჭოთა ხელისუფლებამ იმ თავითვე მოჰკიდა ხელი. მუშაობის ნაყოფი ამ დარგში მეტად თვალსაჩინოა. ეს გეზი ერთხელ კიდევ დაადასტურა უკანასკნელმა საკავშირო პარტყრილობამ, რომლის დადგენილების თანახმად, ჩვენ რესურსებთან შეფარდებით, მომავალში უფრო ფართო მასშტაბით გაიშლება ადგილობრივი და რესპუბლიკანური მრეწველობის განვითარება.

კრიზისი პოლონეთში

პოლონეთში მძლავრად იჩინა თავი ფინანსიურმა კრიზისმა. უმუშევართა რაოდენობამ მიაღწია მთელი მუშების 40 პროცენტს. საქონელი თანდათან ბაზრიდან ჰქრება და იწყება სპეკულიანტური კაპიტალის თარეში. დეპეშები გადმოგვცემენ დარბევებისა და არეულობის ცნობებს.

ეს მდგომარეობა არ შეიძლება შემთხვევითი და წარმავალათ მივიღოთ. პოლონეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების უკანასკნელი წლები ლოღიკური აუცილებლობით მიაქანებენ მას კრიზისებისა და რთული მდგომარეობისაკენ.

პოლონეთის მძიმე ინდუსტრიის დასაყრდენია ზემო სილეზიის მინერალური სიმდიდრენი. პოლონეთს მესამე ადგილი უჭირავს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის ნახშირის მხრივ. მაგრამ აქ გაბატონდა საფრანგეთ-ინგლისის კაპიტალი. გალიციაში კი მას მოეპოვება ნავთის წყაროები, მაგრამ ამ საქმეში პოლონეთის კაპიტალი მხოლოთ 18 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი აქვს დაპყრობილი საფრანგეთს (53 პრ.), შვეიცარიას (10 პროც.) და ავსტრიას (7 პროც.).

ომამდე თუ სწრაფად ვითარდებოდა პოლონეთში წარმოება გერმანიის, საფრანგეთის და ბელგიის კაპიტალის საშუალებით, ომის ოპერაციებმა სავსებით გაანადგურეს პოლონეთის ეკონომიური სიძლიერე.

ომის შემდეგ, პოლონეთის „აღდგენის“ მიუხედავათ, მან ვერ შესძლო მტკიცე სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ცხოვრების შექმნა. პოლონეთი, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, ვერ გახდა და ვერც გახდება ახლო მომავალში დასავლეთ ევროპის გამომკვებ ქვეყნათ, რადგან მცხოვრებთა სიხშირის პირობებში ის კიდევ ვერ მისულა ინტენსიურ სასოფლო-მეურნეობამდე, რომ ამ გზით მან მიიღოს საგარეო ვაჭრობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკმაო რაოდენობა. პოლონეთმა, მსხვილ მიწათმფლობელობის ქვეყანამ, ვერ გადასჭრა აგრარული საკითხი, რომელსაც შეეძლებოდა წინ წაეწია პოლონეთის სასოფლო-მეურნეობა და შექმნა სახელმწიფოებრივი სიმტკიცის საფუძველი გლეხობის დაკმაყოფილების გზით.

პოლონეთი სანტრანზიტო და საზღვაო ვაჭრობის მხრივ გაცილებით ცუდ მდგომარეობაშია თავის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ვიდრე ბალტიის მხარის სხვა სახელმწიფონი.

პოლონეთმა ვერ შესძლო თავის მრეწველობის აღორძინება, რადგან მისი მთავარი ყურადღება და რესურსები მოხმარდა პოლიტიკურ მუშაობას, რომელიც გამოიხატა ერთი მხრივ მუშათა კლასისა და ნაციონალურ უმცირესობის უკმაყოფილების ლიკვიდაციის ცდაში, ხოლო მეორე მხრივ საფრანგეთის დავალებათა შესრულებაში, რომლის შედეგათ ის იძულებული გახდა შეენახა 300.000 ჯარისკაცის შემადგენელი არმია.

პოლონეთის კრიზისს დიდათ უწყობს ხელს ნაციონალური სიჭრელე. პოლონეთის რესპუბლიკაში პოლონელები ძლივს შეადგენენ მთელი მოსახლეობის 3 | 5; დანარჩენებს კი წარმოადგენენ უკრაინელები (1 | 6), გერმანელები (1 | 7). პოლონეთის რესპუბლიკა ამ მხრივ მოგვაგონებს ყოფილ ავსტრო-უნგრეთის მონარქიას, სადაც ნაციონალური სიჭრელე არღვევდა სახელმწიფოებრივ მთლიანობას. ამ მომენტს კიდევ უფრო ართულებს პოლონეთის პანების პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ, რომელიც გამოიხატება მათ სისტემატიურ შევიწროებაში. ამ გარემოებამ გასული წლის მაისში გამოიწვია ამხ. ჩიჩერინის ნოტა პოლონეთის მთავრობის მიმართ ნაციონალურ უმცირესობათა დაცვისათვის.

ერთი სიტყვით, ომისაგან განადგურებულ პოლონეთს არა აქვს საკუთარი რესურსები წარმოების აღდგენისათვის. ამიტომ ის სავსებით დამოკიდებულია უცხოეთის კაპიტალზე. ამის შედეგათ ის იძულებულია მიიღოს სამარცხვინო და საზარალო პირობები გამარჯვებულ სახელმწიფოთაგან, ჩავარდეს მათ გავლენის ქვეშ და იქცეს პოლიტიკურ დარგში მათ დამატებათ. ამიტომ პოლონეთს ხელიდან ეცლება თავისი განვითარების დასაყრდენიც კი. საფრანგეთმა დაიპყრო მისი ნავთის წყაროები, ხოლო სილეზიის მინერალურ სიმდიდრეს დაეუფლა საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალი.

სახელმწიფოს შიგნით კლასობრივი და ნაციონალური უკმაყოფილება და გარეთ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხარში დადგომა პოლონეთს აიძულებს იყოლიოს მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც წარმოებიდან სწყვეტს შრომის მხნე დიდ რაოდენობას, ხოლო ქვეყნის ბიუჯეტს აწევება შენახვის მხრივ უმძიმეს ტვირთად.

ამ მდგომარეობამ პოლონეთი მიიყვანა სრულ კრიზისამდე. დღევანდელი ამბები პოლონეთში წარმოადგენს პოლონეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების კანონიერ პროდუქტს.

როგორი იქნება პოლონეთის ხვალინდელი დღე? სად მიიყვანს პოლონეთს შექმნილი მდგომარეობა? არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოლონეთში ჩვენ დღესვე დავდგებით რევოლიუციონურ აფეთქების წინაშე.

პანების სამფლობელოს ტერორი საშინელი სიმკაცრით ანადგურებს რევოლიუციონურ მუშებს, სამხედრო ძალის სიდიდე საშუალებას აძლევს მთავრობას სამხედრო დიქტატორული მეთოდები გამოიყენოს და ჩაახშოს რევოლიუციონური გამოსვლები. მაგრამ გამოსვლების ჩაქრობა კიდევ არ ნიშნავს რევოლიუციის საფრთხის აცილებას. ასეთ საფრთხეს კი ზრდის პოლონეთის ობიექტიური პირობები. რამდენათაც მთავრობა სცდილობს მუშათა ზურგზე აიღოს გადასახადთა სიმძიმე, მათი ხელფასის სიმცირეზე ააგოს მეურნეობის აღდგენა, იმდენათ მუშათა მასებში იზრდება უკმაყოფილობა და იქცევა ის გარკვეულ რევოლიუციონურ ტენდენციათ. რამდენათაც პანების სამფლობელო არ სჭრის აგრარულ საკითხს და არ აკმაყოფილებს გლეხობას, იმდენათ პოლონეთის მუშების უკმაყოფილებას ემატება ღარიბ და უმიწაწყლო გლეხთა მოძრაობა. რამდენათაც პოლონეთის მთავრობა სისტემატიურად აწარმოებს ნაციონალურ უმცირესობათა შევიწროებას, იმდენათ გარკვეულ ხასიათს იღებს ეროვნული მოძრაობა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს სამი ნაკადი, მუშათა, ღარიბ გლეხთა და ნაციონალურ უმცირესობათა მოძრაობა, ბოლოს მოუღებს პანების ბატონობას თავის უკიდურესი განვითარების დროს.

პოლონეთის საკითხის რევოლიუციონური გადაჭრა კი იქნება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი არა მარტო პოლონეთის ხალხის ცხოვრებაში, არამედ დასავლეთის რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებისათვისაც.

ს. ამაღლობელი.

სალამი ინგლისის რევოლიუციონერ მეზღვაურებს

პლიმუტიდან „ვესტმინსტერის გაზეთში“ მისული დეპეშა გვაუწყებს, რომ დიდ სამხედრო გემზე „ვენდიქტივზე“ მეზღვაურებს წითელი დროშა აუფრიალებიათ და „წითელი დროშის“—სიმღერა დაუწყიათ. წინათ იმავე მეზღვაურებმა მანიფესტაცია გამართეს პორტსმუტის ქალაქის თვითმმართველობის წინაშე და იგივე სიმღერა იმღერეს.

ამ მოკლე და უბრალო დეპეშას გამოუთქმელი სიხარულით მიიღებენ ინგლისის იმპერიალიზმის მიერ დამონებული კოლონიების მრავალ მილიონიანი ერები და საერთაშორისო პროლეტარიატი.

მართლაც, ინგლისის ფლოტი ამ უკანასკნელ დღეებამდე საშინელ იარაღად ითვლებოდა არა მარტო თავისი ზარბაზნებით, არამედ აგრეთვე მეზღვაურების სულიერი განწყობილებით. ინგლისის საზღვაო უწყება გამობრძმედილი იყო 1917 წლის დიდი აჯანყების გაკვეთილებით და მეზღვაურები მონებივით ჰყავდა შებოჭილი რკინის დისციპლინით, მაგრამ ისე კი, რომ სამაგიეროდ მათ ზოგიერთ შეღავათს აძლევდა, მაგალითად, ყოველ წელიწადს საშობაოთ მეზღვაურებს უფლება ჰქონდათ მოთხოვნილებათა სია წარედგინათ. ალკოჰოლიზმი დიდ პატივში იყო ოფიციალურად, რათა მეზღვაურებს დრო არ დარჩენოდათ წიგნის კითხვისა და განვითარებისთვის.

მაგრამ ომისა და რუსეთის რევოლიუციის ტალღამ თავზე გადაუარა ინგლისის ფლოტს, ისევე როგორც მსოფლიო პროლეტარიატს. ინგლისის ჯავშნოსან გემებზე ოდესის ამბებს იმეორებდენ და 1919 წლის აპრილის და მაისის ამბებს იხსენებდენ, როცა საფრანგეთის ჯავშნოსან გემებზე წითელი დროშები ფრიალებდა. რევოლიუციური სული ნელნელა, მაგრამ მტკიცედ იჭრებოდა ინგლისის ფლოტში. დღეს პირველ მანიფესტაციას ვხედავთ. მას სხვა მოჰყვება, უეჭველია.

ინგლისის მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც მემკვიდრეობითი ზვიადობითაა გამსჭვალული და მრავალ მილიონ კოლონიის მონების სისხლით და გვამით გამდიდრებული, თავის თავს ზღვათა მბრძანებლად აცხადებდა. ის ზიზღით უცქეროდა ამ ადამიანურ მასალას; ამ საბრალო „ლურჯ საყელოიან“ მეზღვაურებს, რომელნიც საშინელ გემებზე მუშაობდენ, „ჯოჯოხეთის გემებზე“, როგორც ისინი ამბობენ, სადაც ასი ათას ცხენის ძალიან მანქანებს მთელი სივრცე, მთელი ჰაერი, მთელი სიცოცხლე უჭირავთ. ინგლისის ბურჟუაზია იმდენად დაიმედებული იყო, რომ ამ ერთი წლის წინათ, როცა ბრაზილიის ჯავშნოსან გემის „სან პაოლოს“ მეზღვაურები აჯანყდენ, ერთი ინგლისელი ადმირალი სწერდა, რომ ასეთი ერი, რომელსაც მოუსვენარი პროლეტარიატი ჰყავს, ჰკუას იზამს თუ სრულიად უარს იტყვის დიდი გემების აშენებაზე, მიტომ რომ ეს გემები აჯანყებულთათვის ძალოვან იარაღს წარმოადგენენ.

და აი, მოულოდნელად „ვენდიქტივის“ ინციდენტი მთელი ქვეყნიერების რევოლიუციურ პროლეტარიატს უმჟღავნებს, რომ ინგლისელი მეზღვაურები ხელახლა იძენენ კლასობრივი ვალდებულების შეგნებას და თავიანთ მხრივ ბრძოლას იწყებენ ინგლისის ძალოვანი კაპიტალიზმის წინააღმდეგ. უეჭველია, ბატ. ჩემბერლენი სიბრაზის ცოფს ჰყრის.

ჩვენ დიდი თანაგრძნობით ვესალმებით „ვენდიქტივის“ მამაც მეზღვაურებს. ჩვენ დიდი სიხარულით ვიგონებთ, რომ 1797 წელს მათმა წინაპრებმა საფრანგეთის რევოლიუციის სასარგებლოთ აჯანყება მოახდინეს ლამანშისა და ჩრდილოეთის ზღვის ფლოტში, სადაც სამი კვირის განმავლობაში ძალა ხელში „ფლოტის ცენტრალურ კომიტეტს“ ეპყრა, მეზღვაურ რიჩარდ პარკერის მეთაურობით.

130 წლის მონობის შემდეგ მათ მოიგონეს თავიანთი „ზღვის რესპუბლიკა“, რომელიც სისხლის მორევში იქნა დახრჩობილი, მოიგონეს თავიანთ წინაპრების სოლიდარობა საფრანგეთის რევოლიუციასთან და თანამედროვე კრემლის სახურავებზე იგივე წითელი ბაირაღი იცნეს, რომელიც პირველად მათმა წინაპრებმა აღმართეს 32 გემზე და სამი კვირის განმავლობაში ძირს არ დაუხრიათ.

ლორდების გულზვიადობამ, ძლიერი მრეწველების გულზვიადობამ პირველი მწარე გაკვეთილი მიიღო: ის ერთი შეხედვით მეტად სუსტი, მეტად უმნიშვნელოა. ამას და მიუხედავათ ის აღინიშნება რევოლიუციის ისტორიაში, მიტომ, რომ გლოვის ზარმა ჩამოჰკრა კაპიტალიზმისა და ჩაგვრის ერთი უძლიერესი იარაღისთვის.

ანდრე მარტი.

„ლიუმანიტე“

მდგომარეობის გართულება პოლონეთში
უმუშევართა მიტინგის გარეკა პოლიციის მიერ ვარშავაში
ერთი თვის განმავლობაში ფასები 25 პროც.-ით გაიზარდა
ვალიუტით სპეკულიაცია ფართო ხასიათს იღებს
ფაშისტები გამოსვლებისათვის ემზადებიან

უმუშევართა მიტინგის დაშლა

ვარშავა, 7 იანვ. კომუნისტ დეპუტატის სკრიპას მიერ მოწვეული უმუშევართა მიტინგი ვარშავაში გარეკილ იქნა პოლიციის ძლიერი რაზმის მიერ. პოლიციამ სცემა მუშებს, რომელნიც ეწინააღმდეგებოდენ მიტინგის გარეკვას. დატუსაღებულია მრავალი მუშა.

პოლონეთის არმიის შემცირების პროექტი

ვარშავა, 7 იანვ. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ შეიტანა სამხედრო კომისიაში პროექტი პოლონეთის არმიის შემცირების შესახებ 150.000 კაცამდე. პროექტი გულისხმობს აგრეთვე სამხედრო სამსახურისათვის 1 წლის ვადის დაწესებას.

პროექტმა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ნაციონალ-დემოკრატები და პიასტოველები ამ პროექტს უარყოფითად უყურებენ და წინააღმდეგი არიან მისი განხილვისა. ესლანდელი კოალიციონური მთავრობის უმრავლესობა ამ საკითხში ნაციონალ-დემოკრატების პოზიციაზე დგას.

სიძვირე ვარშავაში

ვარშავა, 7 იანვ. დეკემბრის განმავლობაში ვარშავაში სიძვირე გაიზარდა საშუალოდ 12 პროცენტით. სურსათზე ფასები გაიზარდა 17 პროც.

უკანასკნელ 2 თვეში ფასები გაიზარდა 25 პროცენტით. ვარშავის გაზეთების უმრავლესობამ ხელისმოსაწერი ფასი გაადიდა 30 პროცენტით.

სპეკულიაცია ვალიუტით

ვარშავა, 7 იანვ. კრაკოვში დატუსაღებულია სამრეწველო ბანკის დირექტორი ფილიპი, რომელსაც ბრალს სდებენ ვალიუტით სპეკულიაციაში. კატოვიცაში დაატუსაღეს ამავე ბანკის მეორე დირექტორი ვილენსკი და სასნოვიცაში—ვიცე დირექტორი.

ფაშისტურ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საიდუმლო თათბირი

ვარშავა, 7 იანვ. გაიმართა ფაშისტურ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საიდუმლო თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლის ორგანიზაციის საკითხი.

თათბირზე შემოტანილ იქნა წინადადება გამოიყენონ ამ მიზნისათვის მღელვარება უმუშევართა შორის პოზნანში.

მღელვარება უმუშევარ ებრაელთა შორის

ვილნო, 7 იანვ. რამოდენიმე ასეული უმუშევარი ებრაელები შევარდა ვილნოს ებრაელთა სათემო სახლში და სცემეს სეიმის დეპუტატ ვიგოდსკის, რომელსაც ჯერ მოსთხოვეს პური. გამოწვეულმა პოლიციის რაზმმა აღადგინა წესრიგი.

პოლონეთის მრეწველები შეშფოთდენ.

ვარშავა, 7 იანვ. „კურიერ ჩერვონი“ იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ პოლონეთის მრეწველობისათვის შეკვეთების მიცემის შეჩერებამ მღელვარება გამოიწვია პოლონეთის სამრეწველო წრეებში. გაზეთის აზრით სავაჭრო წარმომადგენლობის ასეთი პოზიცია აიხსნება იმით, რომ პოლონეთი აჭიანურებს საბჭოთა კავშირთან საკონსულო ხელშეკრულების დადების საკითხის გადაჭრას.

პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი აღელვებულია ხმებით იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასა და პოლონეთის მრეწველობას შორის შეწყვეტილია სავაჭრო ურთიერთობა. ამის გამო გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ შეეკითხა სავაჭრო წარმომადგენელს ნაზარენუსს, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ხმები გადაჭარბებულია. „ხელშეკრულება ლოძის მრეწველობასთან, განაცხადა ნაზარენუსმა, არ იქნა დადებული იმის გამო, რომ ლოძი ძალიან გვიან ამზადებდა საზამთრო მანუფაქტურას“.

ინგლისელი კომუნისტები ციხეში

ლონდონი, 7 იანვარი. როგორც ცნობილია, ინგლისში ციხის რეჟიმი ყველაზე უფრო მკაცრია მთელ მსოფლიოში. წარსული წლის ნოემბერში გასამართლებული 12 კომუნისტი განიცდიან ამ რეჟიმის სიმძიმეს ვანდსვორთის ციხეში, სადაც ისინი იხდიან სასჯელს. ისინი მოთავსებულნი არიან ცალცალკე კამერებში, უნდა ადგენ დილით ძალიან ადრე, საღამოს 8 ნახ. საათზე სინათლის მიწოდება სწყდება. მათ აკრძალული აქვთ გაზეთების მიღება: ისინი უნდა დაკმაყოფილდენ ციხის ბიბლიოთეკის წიგნებით, რომლებიც ნებადართულია ციხის ადმინისტრაციის მიერ. თვეში შეუძლიათ ერთი წერილის გაგზავნა და მიღება. მეგობრებთან შეხვედრა ნებადართულია აგრეთვე თვეში ერთხელ. მაგრამ ამ ნებადართულ შეხვედრებსაც კი ხშირად არღვევს ციხის ადმინისტრაცია. დაპატიმრებულ კომუნისტების ცხოვრება უკიდურესად ერთფეროვანია. დღისით ისინი ასრულებენ ზოგიერთ სამუშაოებს: ასე მაგალითად, ვიტრინგამი მუშაობს ციხის სამზარეულოში, ბელი, გალახერი, პოლლიტი და მერფი ამზადებენ ფოსტის კონვერტებს. ინკპინი, მაკ-მანუსი, კემპელი, არნოტი და კანტი ჰკერავენ პერანგებს.

უკანასკნელ კვირაში ყოველ კვირას ციხის შენობის წინ იმართება მუშების დემონსტრაციები წითელი დროშებით, ანთებული ჩირაღდნებით და რევოლიუციონური სიმღერებით. ამის გამო ციხეს იცავენ ქვეითა და ცხენოსანი პოლიციის რაზმები. პატიმრები მაინც ისმენენ „ინტერნაციონალის“ სიმღერას და არჩევენ ნაცნობ ორატორების ხმას.

ინგლისელი კოოპერატორები
საბჭ. კავშირის შესახებ

ლონდონი, 7 იანვ. „რუსეთი, შეიძლება ითქვას, ერთად-ერთი ქვეყანაა ევროპაში, რომლის ვაჭრობა განუწყვეტლივ იზრდება“.

ასეთი აზრი გამოსთქვა ბითუმად მოვაჭრე ინგლისის კოოპერატიულ საზოგადოების დელეგაციამ, რომელიც ამას წინად დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან.

მოგზაურობის ერთ-ერთი მონაწილემ საზოგადოების დირექტორმა გოლაიტლიმ განუცხადა პრესის წარმომადგენელს შემდეგი:

„მე ვინახულე რუსეთი 4 წლის წინად და ახლა გაოცებული დავრჩი იმ წარმატებებით, რომელიც მე იქ ვნახე“.

შეეხო რა სავაჭრო ოპერაციებს საბჭოთა ორგანიზაციებთან გოლაიტლიმ ხაზი გაუსვა, რომ უკანასკნელები ზედმიწევნით კეთილსინდისიერათ ასრულებენ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებსო.

ვეზუვი ამოქმედდა

ბერლინი, 7 იანვ. ნეაპოლიდან იუწყებიან, რომ ვეზუვიმ განაახლა მოქმედება.

ბრძოლა მფლანგველობის წინააღმდეგ კოოპერაციაში
„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 8 იანვ. „პრავდა“ მოწინავე წერილში სათაურით „ბრძოლა მფლანგველობის წინააღმდეგ კოოპერაციაში“ სწერს:

„მეთოთხმეტე პარტყრილობის დადგენილების შემდეგ, რომელმაც გარკვევით დაადასტურა ყველაფერი ის, რაც კოოპერაციის შესახებ ნათქვამი ჰქონდა განსვენებულ ბელადს, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ საზოგადოებრივი ყურადღების კონტროლი კოოპერაციის მოღვაწეობაზე.

ამ თვალსაზრისით პირველ რიგში აუცილებელია სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში იქნეს გატარებული და განხილული საძაგელი მოვლენები— კოოპერატიული ქონების გახშირებული ფლანგვა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მფლანგველობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს მოსახლეობის უკულტურობა და კოოპერატიულ საქმიანობაში ისეთი ახალი დაბალი ფენების ჩაბმა, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესჩვევიან საზოგადოებრივ მუშაობას,—ჩვენ ენერგიის მაქსიმუმი უნდა მოვახმაროთ კოოპერაციის უბრალო მუშაკთა საზოგადოებრივ-კულტურული დონის და ტეხნიკური მომზადების ამაღლებას.

კოოპერატიულმა კავშირებმა თავის მხრივ დიდათ უნდა გააძლიერონ სარევიზიო-საინსტრუქტორო და განმანათლებელი მუშაობა და შეიგნონ, რომ ამ დარგების განვითარების გარეშე შეუძლებელია სამეურნეო მიღწევების განმტკიცება. ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული დადგენილება მიგვითითებს, თუ რა მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული საზოგადოებრივი კონტროლის გასაძლიერებლად კოოპერაციაზე. ამ ღონისძიებების უდიდესი ნაწილის ცხოვრებაში გატარება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, რადგან ისინი წარმოადგენენ ნორმალურ კოოპერატიული მუშაობის შემადგენელ ნაწილს.

მაგრამ ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის მიერ აღნიშნულია ცალკე დროებით მკაცრ ღონისძიებათა აუცილებლობა იმ საშინელი სენის—მფლანგველობისა და მტაცებლობის, აღმოსაფხვრელად, რომელიც ძირს უთხრის და ღუპავს კოოპერაციას. კოოპერაციის სრული გაჯანსაღების მიზნით მიღებულ ღონისძიებებთან ერთად ჩვენ პროლეტარულ სასამართლოს მთელი სიმკაცრე უნდა მივმართოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც კოოპერატორის სამოსელში გამოხვეული თავის საქმეებს აჭახრაკებს. ბოლო უნდა მოუღოთ პატიების განწყობილებას მფლანგველების მიმართ და შევიგნოთ თუ რა ზიანს აყენებენ ისინი ფართე მასების კოოპერატიულად შეერთების საქმეს.

გაზეთების მიმოხილვა
საბჭოთა პრესა
ფართო შეტევა

ჩვენი ეკონომიკა გარდატეხის პერიოდს განიცდის, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითქმის სავსებითაა გამოყენებული ძველი რეჟიმიდან გადმოცემული ტეხნიკური შესაძლებლობანი, ჩვენ ვამთავრებთ ე. წ. აღორძინების ხანას და ხელს ვკიდებთ სისტემატიურ მშენებლობას სოციალისტურ საფუძვლებზე. სოციალისტურ ელემენტების წარმატებით შეტევა ეკონომიკის კაპიტალისტურ ფორმების წინააღმდეგ, კარგა ხანია დაწყებულია, მაგრამ, ამ შეტევას ეხლა ეძლევა საერთო და ფართე ხასიათი.

„ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე,—წერს „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“,— მოხდენილ იქნა უკანდახევა უშუალო კომუნისტური წარმოების და განაწილების ფორმებიდან; ერთი წლის შემდეგ ეს უკანდახევა შეჩერებულ იქნა; მოვახდინეთ ყველა სოციალისტურ ძალების გადაჯგუფება, გამოვცადეთ ორგანიზაციის ახალი, ბაზართან შეფარდებული ფორმები და მუშაობის მეთოდები; დაგროვილ იქნა ზოგიერთი რეზერვები; ყველა ამის მიხედვით უკანასკნელ წლებში სამეურნეო მუშაობის ცალკე ფრონტებზე დაიწყო შეტევა, რომელიც ეხლა—იმავე ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე—გადადის მეურნეობის ყველა სოციალისტურ ძალების საერთო ფართე შეტევაში. ეს შეტევა ჰპოულობს თავის ციფრობრივ გამოხატულებას სახელმწიფო მრეწველობის ზრდაში, მისი ხვედრი წონის გადიდებაში, სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ზრდაში, მათი როლის აბსოლიუტური და შედარებით გადიდებაში, ბოლოს, ყველა სოციალისტურ ბერკეტების უფრო სწორად ზრდაში“.

უეჭველია, რომ მიღწეულ შედეგების საფუძველზე უფრო გავაძლიერებთ სოციალისტურ ელემენტებს ჩვენს ეკონომიკაში. ეხლა დასრულებულმა ყრილობამ ამ მხრივ მოგვცა მუშაობის ნათელი პროგრამა, რომელსაც მთელი პარტია გაატარებს მისთვის ჩვეული ენერგიით. დამდგარი 1926 წელი ჩაივლის კაპიტალისტურ ურთიერთობებზე სოციალისტურ ელემენტების ფართე შეტევის ნიშან ქვეშ.

ერთი წლის ბრძოლა

გაზეთი „ტრუდ“ ჯამს უკეთებს პროფმოძრაობის მთლიანობის აღსადგენად წარმოებულ ერთი წლის ბრძოლას. მთლიანობის აღდგენას საძირკველი ჩაეყარა 1924 წ. მიწურულში, როცა საბჭოთა კავშირების მე-6 ყრილობაზე, რომელსაც დაესწრო ტრედ-იუნიონების დელეგაცია, პროფინტერნის ყველაზე უფრო ძლიერმა რაზმმა—ჩვენმა პროფკავშირებმა და ამსტერდამის გაერთიანების ყველაზე უფრო მძლავრმა ორგანიზაციამ—ინგლისის პროფკავშირებმა—ერთმანეთს გაუწოდეს მეგობრული ხელი საერთო ბრძოლისათვის მთლიანობის აღსადგენად. მიუხედავად ამსტერდამის ინტერნაციონალის მემარჯვენე ხელმძღვანელების წინააღმდეგობისა, მთლიანობის იდეამ ამის შესახებ ფართედ და ღრმად გაიდგა ფესვები მსოფლიო მუშათა მასებში და ისინი აქტიურად უჭერენ მხარს მის განხორციელებას.

„1926 წელში,—დაასკვნის „ტრუდ“,—ბრძოლა მთლიანობისათვის გაგრძელდება შეუნელებელი ენერგიით. მის მტრების ბანაკი შერყეულია. მთელმა რიგ მძლავრმა პროფკავშირებმა და პროლეტარების მრავალმილიონიანმა მასსამ ყველა ქვეყნებში შეიგნო მთლიანობის მთელი მნიშვნელობა წარმატებითი ბრძოლისთვის მსოფლიო იმპერიალიზმისა და ახალი ფაშისტური ტალღის წინააღმდეგ. ხოლო რაკი შეიგნო თავისი ამოცანა, პროლეტარიატი მას შეასრულებს. პროფკავშირების ერთიანი ინტერნაციონალი გახდება რევოლიუციონურ პროფმოძრაობის მტკიცე საერთაშორისო შტაბად მთელ მსოფლიოში“.

თეთრგვარდიელთა პრესა
„განათლებული ევროპიელები“ და ბოლშევიკები

როგორც ამას წინათ აღნიშნული გვქონდა, ფრანგმა მწერალმა ჰანრი ბერომ დასწერა წიგნი რუსეთზე. ამ წიგნში ერთმანეთშია არეული ტყუილი, ცილისწამება, ჭორები და გინება. რაღა თქმა უნდა, ამით აღტაცებაში მოვიდნენ თეთრგვარდიელები და კერძოთ ბუნინმა, მერეჟკოვსკიმ, კუპრინმა და სტრუვემ სამადლობელი „ადრესიც“ კი მიართვეს ავტორს. „მონური გრძნობის გამოხატულებაა ასეთი ადრესები“-ო, სწერს ესერების გაზეთი „Дни“ (№ 273) და მოჰყავს სხვადასხვა მაგალითები ასეთი „სულიერი მონობისა“,

„რომელიც საკმაოდ გავრცელებულია განათლებულ ევროპიელებს შორის: ეს არის სიმხდალე იმის გამო, რომ არ დასწამონ მათ რეაქციონერობა და ერთნაირ შიშს განიცდიან ზე-რევოლიუციონერების წინაშე.

რამდენჯერ გამიგონია—სწერს ავტორი—ასეთი სიტყვები ამ განათლებულ ევროპიელებისაგან:

„როგორც გინდა სთქვით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უნდა აღიაროს კაცმა რომ არის რაღაც პროგრესიული ამ ბოლშევიზმში“-ო.

ის ფაქტი—ამბობს ავტორი—რომ უკვე შვიდი (არა შვიდი, არამედ რვა. მეპრესე) წელიწადია, რაც „მარქსისტულ იაკობინელების“ ხელშია სახელმწიფოს ძალა-უფლება—მოქმედებს ზოგიერთების აზროვნებაზე, თვით ზომიერ მოღვაწეების აზროვნებაზეც. ასეთი სიმხდალისაგან არ არის თავისუფალი თვით პროფესორი ოლარი, ისტორიკოსი საფრანგეთის რევოლიუციისა“.

ავტორს სახეში აქვს ის კამათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბეროსა და ოლარს შორის გაზეთ „კოტიდიენ“-ში, სადაც ისტორიკოსი ფანტაზიათ აცხადებდა ბეროს მიერ წამოყენებულ ბრალდებებს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ესერების სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ „მხდალ“, „ზომიერ მოღვაწეთა“ და „განათლებულ ევროპიელთა რიცხვი თანდათან მრავლდება და უნდა ითქვას, ამაში ცოტა დამსახურება არ მიუძღვის ბ. ბ. ბეროსთან ერთად თეთრგვარდიელ პუბლიცისტებსაც გაზ. „Дни“-დან, რომლებიც ბოლშევიკებზე ავრცელებენ ისეთ ჭორებს, რომლებიც თვით „განათლებულმა“ და „ზომიერმა“ ევროპიელებმაც ვერ მოინელეს.

უკანასკნელი ცნობები

„თავდასხმა“

ნიუ-იორკი, 7 იანვ. უოლ-სტრიტის ბანკების ორგანომ „ჟურნალმა“ გამოაქვეყნა სტატია „საბჭოთა კავშირის თავდასხმის“ შესახებ ევროპის ნავთის ბაზრებზე.

ინგლისის ნავთის მწარმოებელთა წარმომადგენლის დეტერდინგის გალაშქრების შესახებ ნავთის სინდიკატის წინააღმდეგ, გაზეთი ამბობს, რომ დეტერდინგი თავის დროზე ცდილობდა ნავთის კონცერნის „როიალ დატჩის“ დავალებით მონოპოლია მიეღო ყველა ნავთის წყაროებზე საბჭოთა კავშირში.

გაზეთის აზრით „როიალ დატჩის“ და ინგლის სპარსეთის ნავთის კომპანიის შორის ბრძოლა აიძულებს საბჭოთა კავშირს დასდოს ორივე მხარისათვის ხელსაყრელი შეთანხმება ტრესტ „სტანდარტ ოილთან“, საბჭოთა კავშირისათვის, გაზეთის სიტყვით, აუცილებელია შეთანხმება გამსაღებელ ბაზრების შესახებ „სტანდარტ ოილთან“, რომ ევროპის ქვეყნებს მიაწოდოთ იაფი ნავთის ნაწარმოები, რომ ამით შესაძლო გახდეს ევროპის ნავთის ფირმებთან კონკურენცია.

საბჭოთა კავშირის და შვეიცარიის დამოკიდებულება

ბერლინი, 7 იანვ. შვეიცარიის ოფიციალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ შვეიცარიის პოლიტიკური წრეები გაკვირვებული არიან „იზვესტიაში“ მოთავსებულ სტატიით საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის დამოკიდებულების შესახებ.

თუ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა დელეგაციის გაგზავნა ჟენევაში განიარაღების კონფერენციაზე, სააგენტოს სიტყვით, ის ისარგებლებს საერთაშორისო უფლების ძალით დიპლომატიური უპირატესობებით. შვეიცარიის მთავრობა მიიღებს ზომებს დელეგაციის დასაცავათ. ამიტომ იმის მტკიცება, რომ დელეგაციის მისვლისას თავს დაესხმებიან, არ შეეფერება სიმართლეს.

ამას გარდა ამბობენ შვეიცარიის პოლიტიკურ წრეებში, საკავშირო საბჭომ ვოროვსკის მკვლელობის მეორე დღესვე გამოუცხადა თანაგრძნობა მოკლულის ქვრივს და გააძევა ფედერაციის საზღვრებიდან ერთი-ერთი მკვლელი.

იმ დროს როდესაც შვეიცარიის ბურჟუაზიული პრესის ერთი ნაწილი თხოულობს მთავრობიდან დათმობაზე წასვლას საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებების მიმართ ვოროვსკის მკვლელობასთან დაკავშირებით,— მეორე ნაწილი საქმეს ისე სახავს, თითქოს საბჭოთა კავშირს სურდეს საბოტაჟი გაუწიოს განიარაღების საკითხს. ამ უკანასკნელ აზრს ეთანხმება გერმანელ მენშევიკების ორგანო „ფორვერტსი“.

საფრანგეთის მუშა-გლეხთა ფედერაციის ყრილობა

პარიზი, 7 იანვარი. საფრანგეთის მუშა-გლეხთა ფედერაციის ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომ ფედერაცია არ უნდა დაემორჩილოს პოლიტიკურ პარტიების ხელმძღვანელობას. ყრილობამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია არაპირდაპირი გადასახადების წინააღმდეგ. ყრილობა თხოულობს საერთაშორისო ფონდის შექმნას პენსიებისა და სამხედრო ვალების გადასახდელათ. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია მაროკოსა და სირიაში ომის შეწყვეტის შესახებ და საერთო ამნისტიის გამოცხადების შესახებ.

საფრანგეთის დამარცხება სირიაში

ანგორა, 7 იანვ. ხანგრძლივი ბომბარდიროვკის შემდეგ ფრანგების გარნიზონი 17 დეკემბერს გამოვიდა ამბოხებულთა წინააღმდეგ, რომელთაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული ქალაქისათვის. ფრანგების რიცხვი 7.000 უდრიდა. ამბოხებულებმა პირველათ დაიხიეს და გაუყვენ ფრანგებს ბრძოლაში. შემდეგ ფრანგების ჯარების წინ წამოწეულ ნაწილებს თავს დაესხენ ამბოხებულები და სასტიკათ დაამარცხეს ისინი. ამას შემდეგ მოხდა ხელჩართული ბრძოლა მოწინააღმდეგის მთავარ ძალებთან, რომელიც დამთავრდა ფრანგების დამარცხებით. ფრანგების მდგომარეობა გართულდა. გარნიზონის უფროსმა მოითხოვა ახალი ძალები.

მემკვიდრის გადადგომა

ვენა, 7 იანვ. რუმინეთის პარლამენტმა დაამტკიცა მემკვიდრის გადადგომის კანონპროექტი. ტახტის მემკვიდრეთ დანიშნულია მისი მცირეწლოვანი შვილი მიხეილი.

12,000 მშრომელი დაესწრო

პარიზი, 7 იანვარი. 12,000 მშრომელი დაესწრო იმ კრებას, რომელზეც მოხსენებას აკეთებდა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული მუშათა ახალგაზრდობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის მდგომარეობაზე.

ამერიკა და საბჭოთა კავშირი.

ნიუ-იორკი, 7 იან. ამ ბოლო ხანს ძლიერ შესუსტდა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კამპანია ამერიკაში. გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ის ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შორის ვაჭრობის გაფართოვებას. საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ საბჭოთა კავშირმა 10,000 ტრაქტორი შეიძინა ამერიკაში.

ნდობის გამოცხადება

ვენა, 7 იანვ. ბულგარეთის სახალხო კრებამ ნდობა გამოუცხადა ლიაპჩევის მთავრობას. ცანკოვი ამორჩეულია სახალხო კრების თავმჯდომარეთ.

მინისტრები—ყალბი ფულების მკეთებლები

ვილჰელმი ტახტის დაბრუნებას აპირებდა

პარიზი, 8 იანვ. გაზეთები მთელს სვეტებს უთმობენ ყალბი ფულების მკეთებელთა აფიორას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰუნგრეთში. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ აღმოჩენილი იქნება ნამდვილი პოლიტიკური შეთქმულება, მიმართული საფრანგეთის და მცირე ანტანტის ინტერესებისაკენ.

„პტი ჟურნალ“ სწერს, რომ საფრანგეთმა უნდა მოითხოვოს, რათა სასამართლო გამოძიება ბოლომდე იქნეს მიყვანილი. „ეკო დე პარი“ აცხადებს, რომ ეს საქმე აშკარავებს პოლიტიკური რევანშის გრძნობას, რომელსაც ატარებდა ჰუნგრეთი. საფრანგეთს ვერ უნდა უთხრან უარი დაკმაყოფილებაზე, როგორიც არ უნდა იყოს ეს.

„ომ ლიბრ“ მოითხოვს სასტიკ ზომების მიღებას და ზარალის სავსებით ანაზღაურებას.

„გოლუა“ სწერს, რომ საფრანგეთის მთავრობას უფლება აქვს აღძრას დიდი საქმე.

„მატენ“-ს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც გამოამჟღავნა გამოძიებამ, და სწერს, რომ რეგენტ ხორტის პოლიტიკური თანაგრძნობა ამ ბოროტმოქმედებისადმი ეჭვს გარეშეა. თითქოს გამორკვეულია, რომ ამ საქმეში შენიშნული პირები მონაწილეობას იღებდენ დიდ შეთქმულებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბავარიაში. ამ შეთქმულების მოწყობაში მონაწილეობას იღებდა ექს-კაიზერი, რომელიც ცდილობდა შეეცვალა მთელი ცენტრალური ევროპის რუკა.

პარიზი, 8 იანვ. კარტოგრაფიული ინსტიტუტის ტეხნიკურმა მრჩეველმა, რომელიც დაპატიმრებულ იქნა, განაცხადა, რომ ინსტიტუტში დამზადებული იყო 25,000 ათასფრანკიანი ბილეთი. მან დაასახელა მონაწილეები რომელთაგან ორი უკვე დაპატიმრეს.

თავადმა ვინდიშგრეტცმა განაცხადა, რომ მასთან ერთად მუშაობდა 30 კაცი, რომლებიც ტრიალებდენ ბუდაპეშტის პოლიტიკურ წრეებში და მაღალ საზოგადოებაში. დაკითხულია 12 პარლამენტარი.

ჰუნგრეთის გაზეთები აქვეყნებენ დეპეშებს, რომლებიდანაც მტკიცდება, რომ ყალბი ფულების კეთებას ჰქონდა პოლიტიკური სარჩული. მიღებული თანხები უნდა მოხმარებოდა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენას. პრესის სიტყვით, რეგენტი ხორტი მზად იყო შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში თავისი ადგილი დაეთმო ერც-ჰერცოგს ალბრეხტისათვის. „არბეიტერ ცეიტუნგ“ აცხადებს, რომ ალბრეხტის მომხრეებს თავის განკარგულებაში ჰყავდათ 100,000 კაცი, მათ ჰქონდათ აგრეთვე დიდძალი იარაღები.

ბერლინი, 8 იანვ. ყალბი ფულების კეთების საქმის შემდეგ გამოძიებამ ცხადყო, რომ ამ საქმეში წილი უდევთ უაღრესად მაღალ წრეებს.

რას იტყვის გერმანიის ხალხი

ყოფილ მეფის გვარეულობისათვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების შესახებ

ბერლინი, 7 იანვ. მას შემდეგ, რაც გერმანიის კომპარტიამ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს იკისროს საყოველთაო კენჭის ყრის ჩატარება ყოფილი სამეფო გვარეულობისათვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტლად, გერმანიის პაციფისტურ ორგანიზაციების გაერთიანებამ, რომელიც მხარს უჭერს კომპარტიის წინადადებას, მოიწვია კონფერენცია საყოველთაო კენჭის ყრის ჩატარების საკითხის განსახილველად.

კონფერენციაზე მონაწილეობას იღებდენ კომპარტიის, მშვიდობიანობის გერმანიის კავშირის, ადამიანის უფლებათა ლიგის, ქალთა საერთაშორისო კავშირის ლედებურგის სოციალისტური კავშირის, სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის, სოფლის მეურნეთა კავშირის, მშრომლების, მუშათა სასპორტო კავშირების, ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის, მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვ.

საკითხის ყოველ მხრივ განხილვის შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა დადგენილება საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ.

კონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად არჩეული იქნა განსაკუთრებული კომიტეტი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ გაუგზავნია თავისი წარმომადგენელი კონფერენციაზე და იგი იტოვებს უფლებას გამოარკვიოს თავისი პოზიცია მომავალში.

12 იანვარს კომიტეტში შემავალ ორგანიზაციების წარმომადგენლები შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიტანენ ოფიციალურ წინადადებას საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ.

ერნსტ-ტოლლერი მიემგზავრება მოსკოვში

ბერლინი, 7 იანვ. ცნობილი გერმანელი კომუნისტი ერნსტ ტოლლერი და მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის მდივანი მიუნცენბერგი მიემგზავრებიან მოსკოვში, სადაც ისინი დიდხანს დარჩებიან.

დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულთ

ბერლინი, 7 იანვ. პროფინტერნის ინიციატივით და დაინტერესებულ მუშათა ორგანიზაციების წინადადებით, მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაცია შეუდგა ბელგიაში წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენას.

მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის ბელგიის განყოფილებამ გაგზავნა წყალდიდობისაგან დაზარალებულ რაიონებში სურსათ-სანოვაგის პირველი პარტიები.

რა ხდება უცხოეთში

რუმინეთი

მკვლელი ჯილდოს მოითხოვს.

1922 წლის არჩევნების დროს სოფ. რადოვენში ჟანდარმებმა მოკლა გლეხთა პარტიის აგიტატორი ბებერიში. უკვე მაშინ გლეხთა პარტიის დეპუტატები ბრალსა სდებენ მთავრობა, რომ მისი განკარგულებით იქნა მოკლული ბებერიში.

მკვლელი ჟანდარმი მხოლოდ სამი თვის იჯდა ციხეში და განთავისუფლებისთანავე მოითხოვა ჯილდო „სამსახურისთვის“.

პარლამენტის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე გლეხთა პარტიის დეპუტატმა მადჟეარუმ გამოაქვეყნა მკვლელ ჟანდარმის ლილუა მარის წერილი. წერილი მიმართულია დანილებუს ოლქის ადმინისტრატიულ სამმართველოსადმი. აქ მარი აშკარათ და გადაწყვეტით ამბობს, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა ზევიდან მოცემულ განკარგულებით და ემუქრება, რომ ყველაფერს გამოამჟღავნებს, თუ მას ჯილდოს სახით არ მისცემენ 100,000 ლეის.

გერმანია

ამხ. ვოლვებორის საქმე.

ლეიპციგის სახ. სასამართლოში ირჩეოდა კომუნისტ ვოლვებორის საქმე „სახელმწიფო ღალატის“ შესახებ. სასამართლომ მას მიუსაჯა 3 წლის ციხე და 300 მარკა ჯარიმა.

მთელი ბრალდება აშენებული იყო პროვოკატორ ნეიმანის ჩვენებაზე, რომელიც ბოლოს გამოტყდა, რომ ის არც კი იცნობდა ვოლვებორს.

თავის საბოლოო სიტყვაში ბრალდებულმა სთქვა: „ჩვენ, კომუნისტები, ცალი ფეხით ყოველთვის ციხეში ვდგევართ. მაგრამ ციხე, ჩვენთვის წარმოადგენს რევოლიუციის უდიდეს სკოლას. მე ყველაფერს ვიღონებ, რომ ამ სკოლიდან გამოვიდე 100 პროცენტიან ბოლშევიკათ“.

ხუცებს ფული შემოაკლდათ.

ბავარიის საეკლესიო მმართველობა მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის ბანკებთან სესხის მიღების შესახებ. სესხის რაოდენობას თუმცა არ ასახელებენ, მაგრამ ის ნავარაუდევია 10—30 მილ. მარკამდე. სესხი უზრუნველყოფილი უნდა იყვეს საეკლესიო ქონებით მხოლოდ საკითხი იბადება, ფინანსთა მინისტრი—ამ სესხზეც გაავრცელებს თუ არა იმ კანონს, რომლის ძალითაც უცხო სესხის აღება შეიძლება მხოლოდ „საწარმოო საჭიროებისათვის“. მაგრამ დასაშვებია ისეთი შემთხვევაც, რომ ეკლესიის საჭიროებანი ჩათვლილ იქნეს „საწარმოო საჭიროებათ“.

ამნისტია ფაშისტებისთვის და არა კომუნისტებისთვის

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, შესწყვიტოს საქმე ფაშისტურ ორგანიზაციის „კონსულის“ მეთაურ კაპიტან ერხარდტის წინააღმდეგ აღძრული. სასამართლომ შესაძლებლად სცნო ამ თავზე ხელაღებულ ფაშისტის საქმეზე ამნისტიის გავრცელება.

მაგრამ უარყოფილ იქნა ერთი გერმანელი მსახიობის თხოვნა პატიების შესახებ. ამ მსახიობს 15 თვის ციხე აქვს მისჯილი რევოლიუციურ ლექსების წაკითხვისათვის.

აგრეთვე უარყოფილ იქნა „ადამიანის უფლებათა ლიგის“ თხოვნა რომ განთავისუფლებულ ყოფილიყვენ ყველა ეგრედ წოდებული „სახელმწიფო მოღალატენი“, რომელთაც მთელი ჯამით უნდა მოიხადონ 970 წლის ციხე.

ამერიკა

ნავთის ახალი სკანდალი

ნავთის სკანდალები შეერთებულ შტატებში ჩვეულებრივ მოვლენად გადიქცა ჯერაც არავის დავიწყებია ის აურ-ზაური, რომელიც გამოიწვია მექრთამეობის გამომჟღავნებამ, რასაც ადგილი ჰქონდა იჯარმოებლების მიერ სახელმწიფო ნავთის ადგილების გაყიდვის დროს, და უკვე მოხდა სრულიად ახალი სკანდალი. ამ ჯერობაზე საქმე შეეხება შემდეგს: ფინანსთა სამინისტროს ნავთის მსხვილ მოეწველებისთვის დაუბრუნებია უკან დიდი თანხა, რომელიც ვითომ და ზედმეტათ გადაუხდიათ საშემოსავლო გადასახადის სახით.

სენატის საგამომძიებლო კომისიის ცნობით სულ დაუბრუნებიათ 14.846 ათასი დოლარი, მათ შორის კალიფორნიის კომპანია „სტანდარტ ოილისათვის“—3.378 ათასი. სკანდინავის კომპანიისათვის—5 მილიონი. ორ პატარა კომპანიას—1.677.672 დოლარი. ბოლოს 4.590 ათასი დოლარი დაუბრუნეს კომპანია „გელფ ოილს“, რომლის ერთ უდიდეს აქციონერათ ითვლებოდა და შეიძლება ეხლაც ითვლება თვით ფინანსთა მინისტრი—მელლონი. ამ ცნობებმა დიდი აღიაქოთი გამოიწვია ყველა პოლიტიკურ და საქმიან წრეებში.

საფრანგეთი

კომპარტია და გლეხობა

პარიზი, 26 დეკ. საფრანგეთის წვრილ გლეხობის გაერთიანების საქმე წარმატებით მიმდინარეობს. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ენერგიული მუშაობით თავის მხარეზე გადმოიყვანოს გლეხობა. ამ რამდენიმე ხნის წინად საფრანგეთის კომპარტიის ორგანომ „ლ'იუმანიტემ“ მოახდინა სპეციალური ანკეტა წვრილ მევენახეთა შორის, რომელნიც შეადგენენ მნიშვნელოვან პროცენტს საფრანგეთის გლეხობაში. მევენახეები ყურადღებით შეხვდენ ამ ნაბიჯს და ანკეტით გამოირკვა მათი მდგომარეობის სრული სურათი. განსხვავება წვრილ მევენახეებსა და „მევენახეობის ფეოდალების“ მდგომარეობას შორის ძლიერ ძლიერ მნიშვნელოვანია. ეს „ფეოდალები“ ყიდულობენ ღვინოს წვრილ მევენახეებისაგან, რომელთაც თვით უკარნახებენ ღვინის ფასს. ამგვარად წვრილი მევენახეები „ფეოდალების“ სრულ დამოკიდებულებაში არიან. გარდა ამისა გლეხობა იჩაგრება მძიმე გადასახადებისაგან.

რა ხდება ემიგრაციაში

მხეიძის უგზო-უკვლოდ დაკარგვა*)

გაზეთი „მატენ“ კვლავ უბრუნდება ისტორიას 1924 წ. საქართველოში მომხდარი აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის თავად მხეიძის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ.

„მატენ“-ის 24 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორის გრიგოლ ვეშაპელის წერილი.

აღნიშნულ წერილში გ. ვეშაპელი შემდეგს მოგვითხრობს:

„მხეიძის საქმე მხოლოდ ცალკე ეპიზოდია იმ ბრძოლის, რომელიც სწარმოებს ქართულ ემიგრაციაში. ეს ბრძოლა არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას და ხდება აშკარათ, ყველას დასანახად.

ხანგრძლივი მოფიქრების შემდეგ, აჯანყების ყოფილი ხელმძღვანელი მხეიძე იმ დასკვნამდი მივიდა, რომ აუცილებელია ფედერატიული კავშირი საბჭოთა რუსეთთან.

ერთხელ ის მოვიდა „ახალი საქართველო“-ს რედაქციაში და მომმართა თხოვნით მომეთავსებია მისი პირადი წერილი, რომელშიც იგი განმარტავდა მის პოლიტიკურ აზროვნებაში მომხდარი გარდატეხის მიზეზებს, სხვათაშორის, ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მხეიძესთან, რადგან წინეთ მე მას სრულიად არ ვიცნობდი.

ამ პერიოდში მხეიძე ცხოვრობდა ფობურ სენ-ჟაკში. მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მოკლებული ყოველგვარ მატერიალურ საშუალებებს, პატარა, ცივ ოთახში მცხოვრები, მიტოვებული ყველას მიერ, ის საჭიროებდა მორალურსა და მატერიალურ დახმარებას. პირველი, რაც ურჩიე მე მას, ეს მკურნალობა, რადგან ვგრძნობდი, რომ მისი ჯანმრთელობა, მრავალ ბრძოლებისა და უკანასკნელ დროს გადატანილ მრავალგაჭირვებათა წყალობით, საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ მისი მოთავსება შედარებით კარგ ბინაზე, დიდროს ქუჩაზე 38.

როგორც ხედავთ, მთელ ამ ისტორიაში, ჩვენის მხრივ ადგილი არა აქვს არავითარ ძალადობას, დაშინებას და მით უფრო გატაცებას.

შემდეგში მე, და საერთოდ ჩემი მეგობრები, ყოველმხრივ ვეხმარებოდით მხეიძეს. ჩვენ დავეხმარეთ მას იმაში, რომ მას მოეგვარებია თავისი მდგომარეობა საფრანგეთში, როგორც უცხოელს. შემდეგ ჩვენ დავეხმარეთ მას ბრძოლაში მისი ყოფილი პოლიტიკური მეგობრების წინააღმდეგ, რომლებიც ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო და დააფრთხო მხეიძის ახალმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა და რომლებიც ცდილობდენ არანორმალურ ადამიანის სახელი შეექმნათ მისთვის.

რუს ექიმ ლევიჩის დახმარებით, მხეიძე გასინჯეს ცნობილმა ექიმებმა რუბანოვიჩმა და დეპონიმ. უკანასკნელი პოლიციის სამმართველოს ოფიციალურ ექიმად ითვლება—მხეიძე ფსიქიურად სრულიად ჯანსაღად იქნა ცნობილი.

ამჟამად სერიოზულ ყურადღებას იპყრობს ერთი უდავო ფაქტი— მხეიძის დაკარგვა. საჭიროა გამოირკვეს თუ როგორ პირობებში მოხდა ცუდ სულიერ მდგომარეობაში მყოფი მხეიძის გატაცება ქართველ ემიგრანტების მიერ, რა უყვეს მას და სად იმყოფება იგი ახლა“.

დასასრულ „მატენ“ იუწყება, რომ ცნობილი ადვოკატი ანრი ტორრესი, რომელსაც გატაცებამდი რამდენიმე საათით ადრე მხეიძემ დაავალა თავისი ინტერესების დაცვა, აპირებს მიმართვას შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაჟინებითი მოთხოვნით, რომ გამორკვეული იქნეს საქმის მთელი ვითარება.

ანრი ტორრესი თავის მიზნათ ისახავს მხეიძის გატაცებაში ნამდვილ დამნაშავეთა აღმოჩენას და გამორკვევას იმისას—ჰქონდა თუ არა ადგილი ამ შემთხვევაში რაიმე ძალადობას.

---

*) ჩვენ მოგვყავს მცირე შემოკლებით ეს წერილი გაზ. „Парижский Вестник“-იდან (25 დეკ.) ის ერთხელ კიდევ ჰფენს შუქს ქართულ ემიგრაციის მდგომარეობას.

რედ.

გლეხის მეურნეობა და სახელმწიფო დაზღვევა

იმ ღონისძიებათა შორის, რომელნიც მიმართულია სოფლის მეურნეობის აღორძინების და გლეხის კეთილდღეობის შექმნისაკენ, სახელმწიფო დაზღვევას საპატიო ადგილი უკავია. სახელმწიფო დაზღვევის მიზანია დაიცვას სასოფლო მეურნეობა და გლეხობა სტიქიურ უბედურებათა და ეპიდემიურ მოვლენების გამანადგურებელ შედეგებისაგან.

გლეხის მეურნეობა უნდა დაიზღვეს სამი მოვლენისაგან. ცეცხლისაგან, სეტყვისაგან და პირუტყვების სიკვდილიანობისაგან.

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 258-ში მოთავსებულია ამხ. ნასტიაშვილის საგულისხმო წერილი სათაურით: „სოფელს ცეცხლისაგან დაზღვევა უნდა“ ამხ. ნასტიაშვილი სწორათ უდგება საკითხს, მაგრამ მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ცეცხლისაგან დაზღვევა და ავიწყდება, რომ გლეხის ინვენტარი არის შინაური ცხოველები, ხარები, კამეჩები, ძროხები და ცხენები, ურომლისოდ გლეხის მეურნეობა შეუძლებელია. ხშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ მაზრაში გაჩნდება ეპიდემიური ჭირი და მუსრს ავლებს შინაურ ცხოველებს, ან დაემტვრევა, მტაცებელი ნადირი დაერევა გლეხის საქონელს. აგრეთვე დიდ უბედურებას აყენებს სოფელს სეტყვა, რომელიც ანადგურებს ჭირნახულს და უნუგეშო მდგომარეობაში აყენებს გლეხობას. ამ სამი სახის დაზღვევის შემოღება აუცილებელია გლეხის მეურნეობისათვის.

სახელმწიფო დაზღვევა ეს ერთად-ერთი ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს გლეხობას სტიქიურ უბედურებისაგან.

აქვე განვმარტავ, თუ რა დაუჯდება გლეხს ზემოხსენებული დაზღვევა, თვითეული მისი სახე ცალ-ცალკე ერთი წლით:

მცენარეთა სეტყვისაგან სავალდებულო (საგანაკვეთო) დაზღვევის ტარიფი — **მცენარეთა სეტყვისაგან ნებაყოფლობითი დაზღვევის ტარიფი**

	დას. თანხა.	პრემია	დას. თანხა	დას. პრემია
1. აფხაზეთი, აჭარისტანი და დასავლეთ საქართველო, გარდა ლეჩხუმის და რაჭის მაზრებისა				
ა) ყანა I დ.	15 მან.	18 კ.	100 მან.	90 კ.—2 მ.
ბ) ბაღები I დ.	25 მან.	80 კ.		
გ) ვენახები	30 მან.	96 კ.	400 მან.	15 მ. 20 კ.
დ) თამბაქო	40 მან.	1 მ. 28 კ.		
2. აღმოსავლეთ საქართველო: თბილისის მაზრა:				
ა) ყანა	15 მან.	27 კაპ.	100 მ.	1 მ. 20 კ.—2 მ. 70 კ.
ბ) ბაღები	25 მან.	1 მან. 05 კ.		
გ) ვენახები	30 მან.	1 მან. 26 კ.		
დ) ბამბა	40 მან	1 მან. 68 კ.	400 მ.	19 მ. 20 კ.
ე) გერმ. კოლონ. ვენახი	60 მან.	2 მან. 52 კ.		
3. ახალქალაქი, ახალციხე, ბორჩალო, სიღნაღი:				
ა) ყანა	15 მან.	33 კაპ.	100 მ.	1 მ. 40 კ.—2 მ. 50 კ.
ბ) ბაღი	25 მან.	1 მან. 25 კ.		
გ) ვენახი	30 მან.	1 მან. 50 კ.		
დ) ბამბა	40 მან.	2 მან.		
ე) თამბაქო	40 მან.	2 მან.	400 მან.	22 მ. 40 კ.
ვ) გერმანელ კოლონ. ვენახები და ყოფილ კერძო მფლობელობის	60 მ.	3 მან.		
4. გორი, დუშეთი, თელავი, სამხრეთ-ოსეთი, ლეჩხუმის და რაჭის მაზრები:				
ა) ყანა	15 მან.	42 კაპ.	100 მან.	1 მ. 80 კ.—4 მ. 40 კ.
ბ) ბაღი	25 მან.	1 მ. 50 კ.		
გ) ვენახი	30 მან.	1 მ. 80 კ.		
დ) ყოფილ კერძო-მფლობელობის ვენახები	60 მან.	3 მან.	400 მან.	26 მ. 80 კ.

შენიშვნა: ნებაყოფლობითი დაზღვევით 1 დესეტინა ყანის დაზღვევის თანხა—100 მან. და ბაღ-ვენახისა 400 მან. აღებულია, როგორც მაქსიმუმი.

სავალდებულო საგანაკვეთო საქონლის დაზღვევა სიკვდილისაგან სასოფლო სამეურნეო ცხოველებისა

	დაზღვ. თანხა.	დაზღვ. პრემია
ხარ-კამეჩის	40 მან.	1 მან. 84 კ.
ფურ-კამეჩის	30 მან.	1 მან. 01 კ.
ბულის ხარის	30 მან.	1 მან. 01 კ.
ძროხის.	25 მან.	— 84 კ.
ზაქების-ხბორების	10 მან.	— 34 კ.

შენიშვნა: თუ დამზღვეველი მოისურვებს თავის ცხოველების ნებაყოფლობით (დამატებითი) დაზღვევას, მაშინ იგი იხდის არსებულ საგანაკვეთო დაზღვევის თანხის ზევით—ყოველ ათ მანეთზე—45 კაპ. წელიწადში.

ტარიფი ცეცხლისაგან დაზღვევისა ყველა ადგილებში

(გარდა თბილისისა, ბათომისა, სოხუმისა და ქუთაისისა)

	სავალდებ. საგანაკვეთო დაზღვევა	ნებაყოფლობ. დაზღვევა
1. ქვის, დახურ. მკვიდ.	100 მან.—20 კ.	100 მან.— 50 კ.
2. „ „ არა მკვიდრ.	100 მან.—30 კ.	100 მან.— 90 კ.
3. შერეულ-მკვიდ. დახურ.	100 მან.—	100 მან.—1 მან. 20 კ.
4. „ არა მკვიდ. დახ.	100 მან.—	100 მან.—1 მან. 65 კ.
5. ხის მკვიდრად დახურ.	100 მან.—40 კ.	100 მან.—1 მან. 45 კ.
6. „ არა მკვიდრათ.	100 მან.—50 კ.	100 მან.—2 მან. 20 კ.

შენიშვნა:
1 „მკვიდრათ“ იგულისხმება რკინის და კრამიტის სახურავები, „არა მკვიდრათ“—ყავრით, ისლით და ჩალით.
2 „ასი მანეთი“ ვარაუდით არის მოყვანილი.
3 „შერეული“ იგულისხმება შენობა არა ნაკლებ 50 პროც. ხის მასალიდან აშენებული.

ზემოდ მოყვანილი ცხრილები გარკვეულად გვიჩვენებს თუ თვითეული სახის დაზღვევა რა ღირს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევით და ვინც მოისურვებს ნებაყოფლობითი დაზღვევითაც. ავიღოთ საშუალოდ: საშუალო გლეხს აქვს 2 დესეტინა ყანა, დაიზღვევა 30 მან.; წელიწადში გადაიხდის საშუალოდ 54 კაპ., 1 დესეტინა ბაღ-ვენახი დაიზღვევა 30 მან., წლიური გად.—1 მ. 25 კ., სახლი ღირს საშუალოდ 250 მან.—75 კ., თვითეულ ოჯახს საშუალოდ ჰყავს 2 ცალი ხარი, იზღვევა 60 მან., გადასახადი—2 მ. 2 კ. 1 ძროხა—25 მან.—84 კაპ., ერთი მოზარდი ხბო—10 მან.—34 კ., ე. ი. ერთი მეურნე საშუალოდ აზღვევს 405 მანეთის საღირალს, რაზედაც იხდის 5 მან. 74 კაპ. წელიწადში, რითაც მისი ქონება უზრუნველყოფილია უბედურ შემთხვევისაგან. რომელ მაზრაშიდაც იქნება შემოღებული სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა, იქ ყოველ ას კომლზე 5 კომლი, ე. ი. 5 პროცენტი უღარიბესი გლეხობა სრულიად თავისუფლდება დაზღვევის პრემიის გადასახადისაგან, მაგრამ მისი ქონება კი ითვლება დაზღვეულად და ყოველ 100 კომლზე 20 კომლის, ე. ი. 20 პროც. ღარიბ გლეხთა ოჯახს ეძლევა გადასახად პრემიიდან 20 პროც. შეღავათი. ასე რომ საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, თვითეულ გლეხს შეხვდება წელიწადში გადასახადი 2—3 მანეთი, რომლითაც ის უზრუნველჰყოფს თავის ქონებას ყოველ უბედურ შემთხვევისაგან.

რა თქმა უნდა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევით არ ანაზღაურდება ზარალის სრული ღირებულება. მაგრამ ვინც მოისურვებს ყველაფრის ანაზღაურებას, საშუალება აქვს ნებაყოფლობითი დამატებითი დაზღვევის.

პრაქტიკიდან გამორკვეულია, რომ სასოფლო სამეურნეო დაზღვევა მეტად საზარალოა სახელმწიფო დაზღვევისათვის, მაგრამ უკანასკნელი ანხორციელებს ჩვენ ლოზუნგს: „პირით სოფლისაკენ“. და ამ ზარალს ფარავს ქალაქებში ნებაყოფლობითი დაზღვევისაგან შემოსავლით, რომელიც იძლევა ამის სრულ შესაძლებლობას.

ასეთია საერთოდ სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობა. საჭიროა სახელმწიფო დაზღვევის შინაარსი, მიზანი და მნიშვნელობა ფართოდ განემარტოს გლეხობას. ამისათვის უნდა იქნას გამოყენებული სასოფლო, სათემო და სხვა კრებები და ყრილობები.

ჩვენ ზევიდან არ ვახვევთ მოსახლეობას დაზღვევას. მის განხორციელებას შევუდგებით მხოლოდ მაშინ, როცა ამას დაადგენენ ადგილობრივი საბჭოები და სამაზრო აღმასკომები, გლეხობის სურვილის თანახმად.

გრ. სარჯველაძე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. პაშკოვსკის დანიშვნა.

მოსკოვი, 8 იან. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ ამხ. პოპოვი, თავისი თხოვნის თანახმად, განთავისუფლა საკავშირო ცენტ. სტატ. სამმართველოს გამგეობის თანამდებობიდან და მის ადგილას დროებით დაინიშნა ამხ. პაშკოვსკი.

მიალმება საფრანგეთის რევოლიუციონურ რკინისგზელებს.

მოსკოვი, 7 იან. რკინისგზელთა კავშირის ცეკამ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა პარიზში, რკინისგზელთა უნიტარულ კავშირს, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის რკინისგზელთა ფართე მასსები ძალიან აღელვა ყრილობის რეზოლიუციებმა, რომლებიც ჰგმობენ საფრანგეთის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს. კავშირის ცეკა ამხ. კადელის სახით ესალმება საფრანგეთის რევოლიუციონურ რკინისგზელებს, რომლებიც მედგრათ იბრძვიან მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად კაპიტალიზმის პატრონობიდან. ბურჟუაზიის კლასიური სასამართლო ვერ შეაჩერებს პროლეტარიატის ძლევამოსილ წინმსვლელობას საერთაშორისო კავშირისა და პროფმოძრაობის მთლიანობისაკენ.

ტყეების გადაცემა გლეხობისათვის.

მოსკოვი, 8 იან. 1926 წ. 1 იანვრისათვის საბჭოთა რუსეთში გლეხობისათვის გადასაცემათ ნავარაუდევი იყო 18 მილ. დესეტინა ტყე მიწის ფონდში—7 მილ. დესეტინა. 1925 წ. 19 დეკემბრისათვის გლეხობას ფაქტიურად გადაეცა 16.600 ათასი დესეტინა, მიწის ფონდში 5.390.000 დესეტინა. დამზადებულია გლეხობისათვის გადასაცემათ 2.500.000 დესეტინა. მიწის ფონდში—3.600.000 დესეტინა. ამგვარად 1925 წლ. 19 დეკემბრისათვის შესრულებული იყო გლეხობის მიმართ ამოცანის 95 პროც. და მიწის ფონდის—128 პროც.

თურქესტანი

ტაშკენტი, 8 იან. ქალაქში გაჩნდა პარტახტიანი ტიფი. გუშინ აღრიცხულია მძიმე ავადმყოფობის 26 შემთხვევა. მიღებულია ზომები ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ორშაბათს, 11 იანვარს, საღამოს 6 საათზე
მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების

მორიგი სხდომა

1) კომუნალური (მ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი. პლეხ. პროსპ., მუშტაიდის ბაღთან.)

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ,
3. მიმდინარე საკითხები.

2) საფინანსო (აღმასკომის შენ. ოთახი № 17).

დღის წესრიგი:

1. სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის განხილვა,
2. გადასახადთა ქვე-განყოფილების მოქმედების ანგარიში გასულ საბიუჯეტო წლის განმავლობაში,
3. მოხსენება სექციის ბიუროს გადარჩევის შესახებ,
4. მიმდინარე საკითხები.

3) სახალხო განათლების (აღმასკომის შენ. ოთ. № 32).

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. პოლიტგანის მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ,
3. დამხმარე საბჭოების დებულების განხილვა,
4. სკოლებზე მიმაგრებულ სექციის წევრთა მოხსენებები,
5. მიმდინარე საკითხები. (ინფორმაცია სკოლების შენობის შეკეთების შესახებ და სხვა).

4) ჯანმრთელობის (აღმასკომის შენ. ოთახი № 57.)

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. მოხსენება ქალაქის და დამზღვევ სალაროს ამბულატორიათა გამოკვლევის შესახებ,
3. მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის გამოკვლევის შესახებ,
4. მიმდინარე საკითხები.

5) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (აღ. შენ. ოთახ. № 28).

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. მოხსენება ტრაქტორებით მუშაობის შესახებ,
3. სავეტერინარო დახმარება და საქონლის ჭირთან ბრძოლა მაზრაში,
4. მიმდინარე საკითხები.

6) სამხედრო (აღმასკომის დარბაზი).

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. ქალაქის კომენდანტის მოხსენება სამხედრო მუშაკთათვის ბინების საკითხის შესახებ,
3. მოხსენება ყაზარმების შესაკეთებლად გაცემულ თანხების რაოდენობისა და მისი გაცემის წესის შესახებ,
4. მოხსენება ჩოთქის სახელოსნოს გამოკვლევის შედეგების შესახებ,
5. მოხსენება ძველი შემადგენლობის ბიუროსაგან თანხების მიღების შესახებ,
6. მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი

2—1 ნ. 559

აქა და სხვა ამბები

ჰათა საერთაშორისო დახმა- ჯგლისის სექციის დელეგა- ბსნება. მუშათა საერთა- დახმარების ინგლისის სექ- ელეგაციამ, რომელიც იყო კავშირში 1925 წლ. აგვის- გამოაქვეყნა მოხსენება საბ- ავშირში მუშათა საერთაშო- დახმარების ორგანიზაციის ის შესახებ.

ენებაში აღნიშნულია მუშათა შორისო დახმარების ორგა- ის აქტიური მონაწილეობა ა კინო-წარმოებებში, საექს- ი ვაჭრობაში, მის საალმშე- მოღვაწეობას მოსკოვში, მის ია მეურნეობებს ყაზანის გუ- ამი, ურალში და სხვაგან.

მოჭადრაკეთა შეჯიბრება გას- ში. დამთავრდა მოჭადრაკეთა აშორისო შეჯიბრება. ალიო- და ვიდმარმა გაიყვეს პირვე- ა მეორე პრიზი. მოიგეს 8 ნახ. ა 9-დან.

ფრანგ კომუნისტების საქმე. ანის სააპელიაციო სასამართ- შესცვალა ქალაქ ტურის ტრი- ის განაჩენი კომუნისტების — ს, სიუზანა ჟიროს და სხვ. ზე. შუანსა და ჟიროს 6 თვის მაგიერ მიესაჯა 10 თვის ციხე და ამას გარდა მათ უნდა გადაიხადონ ჯარიმა ათას-ათასი ფრანკი. დანარჩენების მიმართ ძალაში რჩება პირველი განაჩენი.

— **შეტაკება სარწმუნოებრივ ნიადაგზე.** დღესასწაულების დროს უნიატებსა და მართლმადიდებლებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება სარწმუნოებრივ ნიადაგზე. რაბოვის თემში მართლმადიდებელნი შეეცადენ ხელში ჩაეგდოთ ადგილობრივი ეკლესია, რომელიც გადაეცათ უნიატებს დღესასწაულების წინ. შეტაკების დროს დაიჭრა 15 კაცი. პოლიციამ [illegible] 9 გლეხი.

— **თეთრი ტერორის მსხვერპლთა დაცვა ბალკანეთზე.** ბალკანეთზე არსებულ თეთრი ტერორის მსხვერპლთა დაცვის კომიტეტმა, რომელიც შესდგება მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელთაგან და, რომელსაც ხელმძღვანელობს ბარბიუსი და რომენ როლანი, ცანკოვის მთავრობის დაცემის გამო გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ საზოგადოებრივმა აზრმა უნდა მოითხოვოს ბულგარეთში ნორმალური კანონმდებლობის აღდგენა და საყოველთაო პოლიტიკური ამნისტიის გატარება.

იერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

მეფუტკრეობა.

ურგეთი, 8 იანვ. ოზურგეთის დიტო ამხანაგობამ ამიერ-კავ- ს სასოფლო ბანკისაგან მიიღო ალური კრედიტი 1500 მან. ენობით მეფუტკრე გლეხებისათ- კრედიტის მისაცემად. ამხანაგო- გამგეობამ დაუკვეთა დადანის ემ ს 150 სკა. გამგეობა ით- დამატებითი კრედიტს 1,500 რომელიც დაურიგდება გლე- ფუტკრის საყიდლად.

ახალი სკოლა.

ზურგეთი, 8 იანვ. სოფ. ბახვში ავრდა სასწავლებლის კაპიტა- ი შენობის აგება. სახლი ქვის და შესდგება 16 ოთახისა-

ემ მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნის შესახებ.

ზურგეთი, 8 იანვ. მერია-ნატა- ის გზაზე 15 დეკემბერს სამგზავ- მატარებლის ლიანდაგიდან გა- არდნის საქმეზე დატუსაღებული ან მერიის სადგურის უფროსი აგრეთვე მატარებლის ბრიგადის არგი და სამხრეულო ნაწილის ვარი კონდუქტორები. კატასტ- ფის მიზეზია — უკანასკნელი ვა- იდან გზაზე ნივთების ხის მორის მოვარდნა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ფოთი, 8 იანვ. პოლიტიკურ განათლების განყოფილებამ სოფ. პატარა-ფოთში, ფოთიდან 9 ვერსზე, გახსნა გლეხებს შორის წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

შავი ჭირი

ახალქალაქი, 8 იან. შავი ჭირის დაწყებიდან 17 სოფელში, 15,761 სული საქონლიდან აცრილია 15.200 სული. აცრამდის ამ სოფლებში, ოფიციალური ცნობით, დაიღუპა 561 სული. აცრის შემდეგ კი — 68 სული. ე. ი. 0,5 პროც. 1 იანვრისათვის 15 სოფელში დარჩა ასაცრელი კიდევ 15.000 სული.

შავ ჭირთან მებრძოლ სამაზ. კომისიამ უკვე მიიღო 120 ლიტრი ასაცრელი შრატი, რაც განაწილებულია ხუთ სოფელ შორის.

დასასვენებელი დღე სათემო დაწესებულებებში

ახალქალაქი, 8 იან. რომ გლეხობას უფრო მეტი საშუალება ჰქონდეს თემის დაწესებულებებში მისამართად, ამიტომ სამაზრო აღმასკომმა დაადგინა — კვირა დღე თემის მუშაკებისთვის ჩაითვალოს სამუშაო დღეთ. ამის სანაცვლოდ კი დასასვენებელ დღეთ გამოცხადებულ იქნას ორშაბათი. მაჰმადიანთა რაიონებში პარასკევი რჩება სამუშაო დღეთ, შაბათი კი დასასვენებლათ.

პარტიული ცხოვრება

მორიგი ამოცანა

სრულიად საქართველოს პარტიული ყრილობა დამთავრდა. ყრილობამ მთელი რიგი დადგენილებები გამოიტანა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მან შეაფასა პარტიის მუშაობა მე-13 ყრილობის შემდეგ, განიხილა ჩვენი დღევანდელი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა და ამისდამიხედვით გამოიმუშავა მომავალი სამოქმედო გეგმა. ამ გეგმებით, ამ რეზოლიუციებით უნდა იხელმძღვანელოს ჩვენმა პარტიამ მომავალ ყრილობამდე.

ამიტომ საჭიროა, რომ პარტიის ყოველი წევრი გაცნობილი იყვეს ყრილობის ოქმებს და განსაკუთრებით კი რეზოლიუციებს. არაა საკმარისი ყრილობის ოქმების მარტო ზერელე გადათვალიერება, არაა საკმარისი რეზოლიუციების ერთხელ წაკითხვა, საჭიროა ოქმების გულდასმით და დაკვირვებით წაკითხვა და რეზოლიუციების შესწავლა. ხშირათ ხდება, რომ ცალკე უჯრედი, ან ორგანიზაციის საერთო კრება მოისმენს ყრილობის შესახებ ინფორმაციულ მოხსენებას და ამით თავდება ყრილობის მუშაობის და მისი რეზოლიუციების შესწავლა. ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სოფელში მომუშავე კომუნისტი ვერ შესძლებს სათანადოთ მიუდგეს გლეხობას, გაატაროს სოფლად პარტიის ხაზი, თუ მან არ [illegible] რას ამბობს ყრილობა ჩვენი სოფლის დღევანდელ [illegible]ებაზე. ჩვენ ფაბრიკაში, ქარხანაში და სხვ. საწარმოო [illegible]ებში, კოოპერაციაში მომუშავე კომუნისტები ვერ შესძლებენ პარტიის ხაზის სწორათ გატარებას, თუ მათ არ ეცოდინებათ, რა დადგენილება გამოიტანა ყრილობამ ჩვენი მრეწველობისა და კოოპერაციის შესახებ.

პარტიის ყოველი წევრი სოფელშია ის თუ ქალაქში, ფაბრიკაში და ქარხანაში თუ კოოპერაციაში ან პროფკავშირში — ყველგან პარტიის ხაზს ატარებს. ამ ხაზს ის მხოლოდ მაშინ გაატარებს სწორათ, მხოლოდ მაშინ შესძლებს გაერკვეს დღევანდელ რთულ პირობებში, როდესაც მისთვის გარკვეული და ნათელი იქნება პარტიის უმაღლესი ორგანოს-ყრილობის დადგენილება ამა თუ იმ საკითხზე. ამიტომ ყოველი კომუნისტის ვალია არ დაკმაყოფილდეს ყრილობის მუშაობის ზერელეთ გაცნობით, არამედ გულდასმით შეისწავლოს მისი მუშაობა და დადგენილებები. ეს არის ჩვენი მორიგი ამოცანა დღეს.

ქ.

კომუჯრედების ბიუროების მუშაობის გასაცხოველებლად

ბიურო წარმოადგენს კომუჯრედის მთავარ მამოძრავებელ ძალას. ბიუროს უნარიანობაზეა დამოკიდებული მთელი უჯრედის მუშაობა. იქ, სადაც კარგათ მუშაობს ბიურო, ნაყოფიერია მთელი უჯრედის საქმიანობა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ბიუროები თავის დანიშნულებას ვერ ამართლებენ, ისინი შესაფერ ხელმძღვანელობას ვერ უწევენ კომუჯრედებს.

ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანოთ ცოცხალი ფაქტები, და მივუთითოთ ნაკლის გამოსასწორებელ გზებზე.

ბიუროები ჩაფლული არიან წვრილმან საქმეებში და ვერავითარ თვალსაჩინო, რაიმე ღირებულების მქონე საქმეს ვერ აკეთებენ.

უჯრედის სხდომის დღის წესრიგი წინასწარ არ მუშავდება, ამიტომ უჯრედის სხდომები უშინაარსოა.

ზოგიერთი ბიურო სრულიად არ იწვევს თავის სხდომებს.

სხდომებზე არ ინიშნებიან თანამომხსენებლები, რომელნიც აუცილებელია საკითხის ყოველმხრივ დასამუშავებლათ და გასაშუქებლათ.

ბიუროებს თავის სხდომებზე არ გამოაქვთ კონკრეტული დადგენილებანი, კმაყოფილდებიან: „მიღებულ იქნას ცნობათ, სახელმძღვანელოთ"...

თუ გამოიტანეს პრაქტიკულ ხასიათის დადგენილება, არ ხდება კონტროლი, თუ რამდენათ ტარდება ცხოვრებაში ეს დადგენილება.

ყველა ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ბიუროებმა უნდა აღნუსხონ მიღწევები, გამოცდილებანი და ამის მიხედვით უფრო სისწორით უხელმძღვანელონ უჯრედებს.

მოხსენებათა წაკითხვა უნდა დაევალოს არა მარტო რამდენიმე ამხანაგს, არამედ ყველა აქტიურ წევრებს, რომელთაც კი ეს შეუძლიათ.

კომისიებზე ხელმძღვანელობა, მათგან ანგარიშის მოთხოვის საქმე, უნდა გაძლიერდეს.

უჯრედების ბიუროებმა უნდა წარმართონ თავისი მუშაობა იქეთკენ, რომ რიგის ყველა წევრებს ჰქონდეს დავალებანი.

ბიუროებმა ხშირად უნდა გამართონ თავისი სხდომები უჯრედის აქტივისტების თანდასწრებით.

ამნაირად გაცხოველდება უჯრედის მუშაობა.

შ. ფრან—ლი

პარტკორთა ქსელის გაფართოებისათვის

მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობას ფართე ასპარეზი აქვთ მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში. ამის დამამტკიცებლია აუარებელი წერილები და შენიშვნები ჩვენი მუშებისა და გლეხების სხვადასხვა გაზეთებში გაბნეულნი.

მაგრამ, თუ გადავხედავთ პარტკორთა მუშაობას, ჩვენ იმდენ ინტენსივობას აქ ვერ ვამჩნევთ. საჭიროა პარტკორთა ქსელის გაფართოება. აქტიური მომუშავე უნდა აშუქებდეს [illegible] მუშაობას უჯრედიდან დაწყებული გათავებული სამაზრო კომიტეტით, რომ ამით პარტიის თვითეული წევრი გაეცნოს ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობას, მის დადებითი და უარყოფითი მხარეებს. ამისათვის კი საჭიროა პარტკორთა ქსელის გაფართოება. პარტკორი ასახავს პრესაში პარტიის ყოველ დღიურ ცხოვრებას უჯრედიდან დაწყებული და ამით ხელს შეუწყობს პარტიის რიგების განმტკიცებას.

პლ. ჩიქოვანი.

წერილები ადგილებიდან

დახურული კრების შესახებ.

ხშირად ხდება, რომ იწვევენ უჯრედის ღია კრებებს, რომელსაც ესწრებიან უპარტიონი, კრებაზე ისმება სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები, ირჩევა ეს საკითხები; როგორც პარტიულები, ისე უპარტიოები ამბობენ თავის აზრს და ბოლოს გამოაქვთ დადგენილება. დღის წესრიგი იწურება, კრება თავდება. მაგრამ კრების ბოლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ღია კრებას დახურულად ვაცხადებ. აქ შესდგება დახურული კრება, რომელსაც დაესწრებიან მხოლოდ პარტიის წევრები და კანდიდატები. ეს ცუდ გავლენას ახდენს უპარტიოებზე, ასეთ კრებების მოწვევას უნდა ვერიდოთ. კრება ან სულ თავიდან ღია უნდა იქნეს და ან დახურული.

არჩილ

—

ქოხ-სამკითხველოების შესახებ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქოხ-სამკითხველოს სოფლის გლეხკაცობის გათვითცნობიერებისათვის. ამიტომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციებისაგან ამ საკითხის მოგვარებას ყურადღება უნდა მიექცეს. არ არის საკმარისი, რომ ქოხ-სამკითხველოებს გაზეთები და ბროშურები მივაწოდოთ, საჭიროა ამით სარგებლოს. ამით სარგებლობა კი გლეხობას შეუძლია, თუ მას წაუკითხავენ და აუხსნიან გაზეთებს და ბროშურებს. გლეხობაში ხმა მაღლა წაკითხვა კი სამკითხველოს გამგის პირდაპირი მოვალეობად უნდა ჩაითვალოს. საქმე იმაშია, რომ ქოხ-სამკითხველოს გამგე მატერიალურად ვერ არის დაკმაყოფილებული. ამიტომ მას უხდება სხვაგანაც ეძიოს სამუშაო, ამიტომ სამკითხველოს ვერ აქცევს ყურადღებას იმდენათ, რამდენადაც ეს საჭიროა. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს და ქოხ-სამკითხველოების გამგეების მატერიალური მდგომარეობა ცოტაოდნავ მაინც გაუმჯობესდეს.

აპ. გაბედული.

ასეთი თემკომის მდივანი არ გამოდგება (თერჯოლის თემი)

თერჯოლის თემის მდივნათ არის ვლადიმერ გავარიძე. ის ცუდი საქციელის კაცია. ხშირად თვრება, უთავბოლოთ სროლილობს რევოლვერს და ხალხს აშინებს.

სიმართლე.

—

სოფ. ხაში (გარე-კახეთი)

ამ სოფელში კომკავშირის უჯრედი 1923 წელში დაარსდა, რომელშიც ამ ჟამად ირიცხება 80 წევრი. უჯრედთან არსებობს პოლიტწრე. უჯრედიდან გამოყოფილი გვყავს ერთი წევრი, რომელიც გლეხებს უკითხავს გაზეთს და შემდეგ უხსნის წაკითხულს. გლეხურ ახალგაზრდობაში კომკავშირს კარგი სახელი აქვს, ამიტომა რომ ახალგაზრდობა ძლიერ ეტანება ჩვენ კავშირს.

ხაშელი ია.

—

ჩვენი საქმიანობა.

თემურ სისტემაზე გადასვლამ დიდი ნაყოფი მოუტანა კომკავშირის მუშაობას. კავშირს, როგორც თემში, აგრეთვე თვით სოფ. საგარეჯოშიაც კარგი გავლენა აქვს უპარტიო ახალგაზრდობაზე. ყოველ კვირას სწარმოებს პოლიტწრის მეცადინეობა. დაარსებულია მომღერალთა გუნდი. განზრახულია მოკლე ხანში ყოველკვირეული კედლის გაზეთის გამოშვება, რომლის ფურცლებზე გაშუქდება ჩვენი თემის საქმიანობა. დრამწრემ გააცხოველა თავისი მუშაობა თემის სხვადასხვა მიყრუებულ კუთხეებში, გლეხობა დიდი ყურადღებით ეპყრობა კომკავშირს. ახალგაზრდობა ფართოდ ეტანება კავშირს და ამავე დროს ყოველთვის ეხმარება მას თითქმის ყოველგვარ მუშაობაში. ხშირად იმართება ღია კრებები, რაზედაც უპარტ. გლეხობა და ინტელიგენცია ესწრება. ამ კრებებზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ გლეხები.

სკოლის მასწავლებელი გ. გარსიაშვილი.

ბრძოლა ხელისმოწერისათვის „კომუნისტზე" 1926 წლისათვის

ეკონომიური ცხოვრება

ასანთის და კალოშების ნაკლებობა

თბილისის ბირჟის საქარხნო-საფაბრიკო სექციაში ირჩეოდა საკითხი საქართველოში და სომხეთში ასანთისა და კალოშების ნაკლებობის შესახებ.

ასანთის ნაკლებობის გამომწვევ მიზეზის შესახებ, შინავაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასულ წელს, ნაცვლად გეგმით დაწესებულ 110 რონოდისა მიღებულ იქნა 90 რონოდა ასანთი; წლევანდელი მოთხოვნილება — 140 რონოდა შემცირებულ იქნა 120 რონოდამდე.

საერთოდ წუმწუმის მრეწველობამ, წარმოებაში გადააჭარბა ომის წინანდელ დროის ნორმ. ს 300 000 კოლოფით და მას ყოველთვის შეეძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ასანთზე, მაგრამ მის ნაკლებობას იწვევს ის, რომ რკინისგზები არ აწვდიან ასანთის მრეწველობას რონოდებს საკმაო რაოდენობით. მაგ. ოქტომბრის რკინის გზა 18 ნოემბრის აქეთ არ აძლევს მას რონოდებს ასანთის გამოსაგზავნად ამიერ-კავკასიაში და ნოემბერში ნაცვლად მოსალოდნელ 10 რონოდა წუმწუმისა, მიღებულ იქნა მხოლოდ 5 რონოდა.

ასანთის დეკემბრის ნორმა სრულიად არ მოსულა. ამის გამო საქართველოში წუმწუმის მარაგი ძალზე განსაზღვრულია, სომხეთში კი იგი სრულიად არ მოიპოვება.

ამის გამო საქონლის გაცემა კერძო ვაჭრებზე სრულიად შეწყვეტილია, ხოლო კოოპერატივებსაც განსაზღვრული რაოდენობით ეძლევათ.

ასანთის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად სექციამ მიმართა საბირჟო კომიტეტს თხოვნით, რათა უკანასკნელმა მიიღოს ზომები ამიერ-კავკასიის უზრუნველსაყოფად ასანთით.

კალოშების ნაკლებობა, რეზინის ტრესტის თბილისის განყოფილების წარმომადგენლის სიტყვით, იმავე მიზეზებით აიხსნება, როგორც ასანთის ნაკლებობა.

ტრესტის წინ გრძელ რიგებს მომხსენებელი ხსნის იმით, რომ კოოპერატივებმა თავის დროზე არ მოიმარაგეს კალოშების საჭირო რაოდენობა.

ეხლა მოელიან კალოშების ახალ პარტიას 20.000 წყვილის რაოდენობით.

ეკონომიური ქრონიკა

— **ბათომის ნავთსადგურში** დეკემბერში შემოტანილი იქნა 12.466.533 კილო საქონელი, ამავე ხანში გატანილი იქნა 422.111.300 კილო ტვირთი.

— **ნავთის გატანა.** ოსმალეთში, დეკემბერში ბათომის ნავთსადგურით გატანილი იქნა 230,610 ფუთი ნავთის პროდუქტები.

ჩვენი მრეწველობა

ქუთაისის კირის ქარხანა

ქუთაისი, 8 იანვ. საქართველოს სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს სამთო-ქიმიური კომბინატის კირის ქარხანა უკვე 45 წელია რაც არსებობს. ქარხანაში მუშაობს 33 მუშა. მუშაობა სწარმოებს პრიმიტიული საშუალებით. ნედლი მასალა მოაქვს 1 ნახ. ვერსის მანძილიდან, ნაწილი რკინისგზით, მაგრამ 80 პროც. ურმებით, რადგან ვაგონები ცოტაა. ამჟამად ქარხანაში თვიურად 30,000 ფ. კირი მზადდება. ეს ქარხანა ერთად-ერთია საქართველოში და ყველაზე უფრო დიდია ამიერ-კავკასიაში, რადგან სომხეთის და აზერბეიჯანის ქარხნები ამუშავებენ მხოლოდ 5-დან 6 ათასამდე თვეში.

ახლო წარსულში ქარხნის ღუმელი გაფუჭდა და მოსალოდნელი იყო მისი მოშლავება. ღუმლის მუშაობის შეჩერებისათვის საჭირო იყო 15 დღე მის ჩასაქრობად და გასაციებლად და შემდეგ კიდევ — 15 დღე გასახურებლად, რითაც ქარხანა დაჰკარგავდა 15,000 ფ. კირს. გადაწყდა ანთებული ღუმელის შეკეთება მაღალ ტემპერატურის დროს. ღუმელი შეაკეთეს ქარხნის გამგე შაფმა და მუშა გვენეტაძემ. მთელ მუშაობას მოუნდა 42 წუთი; მაღალი ტემპერატურა და ნახშირმჟავა გაზის სიჭარბე შეუძლებლად ხდიდა ღუმელის შიგნით 3—4 წუთზე მეტს გაჩერებას.

„წარმოკავშირის" გარშემო

„რა ხდებოდა წარმოკავშირში"

სეთი სათაურით იყო მოთავსე- ბი ი. ბუაჩიძის წერილი გაზეთ მუნისტი"-ს 295 ნომერში. რო- აც ეს წერილი წავიკითხე, ვი- ქრე თუ რას არ დააწერინებს გა- ვება კაცს.

ი. ბუაჩიძე „წარმოკავშირმა" მო- ია და ჩააბარა მას საინფორმა- ი ნაწილი და მის მოვალეობას დგენდა კერძოთ ჩვენი პრესისა- ს წინასწარ შემოწმებულ და ქუარ ცნობების მიწოდება „წარ- ავშირი"-ს მოღვაწეობის, მისი წევებისა თუ დამაბრკოლებელ ობების შესახებ, რომელიც წინ ბება სასოფლო-სამეურნეო კო- რაციის წარმატებას ჩვენში.

რთი წლის განმავლობაში, ჩვენ- „სპეცმა" (სამწუხაროდ) საზოგა- ებას თითქმის ვერაფერი ვერ გა- აინა, თუ არ მივიღებთ მხედ- ობაში რაღაც ორიოდე წერილს, მელიც ავტორმა კოოპერაციის ს უძლვნა და რომელიც იმოდენა აჭარბებასა და ქება დიდებას შე- ვდა, როგორც უკანასკნელი წე- ბია აღვსილი უპასუხისმგებლო ულებებით. ესაა სულ ი. ბუაჩი- ერთი წლის ნაღოდვილარი.

აშია საქმე? განა, ადგილის შე- ჩუნებამ სიმართლე და სამართ- ანობა უნდა დაავიწყებინოს ადა- ნს? „წარმოკავშირი"-ს მოღვა- აში უარყოფითი მხარეებთან ნუ დადებითი მხარეები ვერ შეამ- იმ კაცმა, რომელიც მთელი ს განმავლობაში თვალყურს ადევ- და მის მოღვაწეობას? ი. ბუაჩიძე აწილეობდა „წარმოკავშირი"-ს ჭოს უკანასკნელ სხდომაზე და იქ რამე წარმოკავშირის გამგეობის ლოდ უარყოფითი კრიტიკა გაი- ა და იმ დადებითი მუშაობის ახებ, რაც მომხსენებლის მიერ უარ ციფრებით იყო აღნუსხუ- და რომელიც საბჭოს მიერ ერთ- ე იყო დამაკმაყოფილებელი რე- ლიუციით დადასტურებული, ბუა- ძეს თურმე არ სმენია.

ბუაჩიძეს არ ეპატიება მკით- ლო საზოგადოების შეცდომაში ვანა და სინამდვილის განზრახ ამახინჯება.

დაახლოვებით რვა თვის წინათ ხვა „წარმოკავშირის" რწმუნე- თა ყრილობა, — მოგვითხრობს ი. ძე, — რომელზედაც მდგომარე- და მისი მაშინდელი გამგეობის ობა ბრწყინვალეთ იყო დახა- , რითაც ყველა კმაყოფილი დარჩა, 1924 წლის მოგებაც კი აჩვენეს საზოგადოებას, — მაგრამ ამ ბოლო დროს წარმოკავშირზე დაუჯერებელი ხმები ვრცელდებოდა და მოგების მაგიერ დიდი დავალიანებაც აღმოჩნდაო.

რაშია საქმე, რა მოხდა? — კითხულობს ბუაჩიძე. ახალი არაფერი არ მომხდარა, პატივცემულო ავტორო. მხოლოდ გამოირკვა, რომ თქვენ ვერც მაშინ და ვერც ეხლა ვერ გაიგეთ ის, რაც ყველამ იცოდა მაშინაც და ეხლაც იცის.

ვერ გაიგეთ ის, რომ „წარმოკავშირს" დიდი დავალიანება ქონდა მაშინაც და ეხლაც აქვს, რომ „წარმოკავშირს" არასოდეს არ ქონია თავისი საკუთარი საბრუნავი თანხა და განსაკუთრებით ნასესხები თანხებით მუშაობდა. ეს ყრილობამაც და მთელმა საზოგადოებამაც კარგათ იცოდა; არც შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რადგან თვიურ ბალანსებში და წლიურ ანგარიშში ეს ყველასათვის დასანახად იყო აღნუსხული. რა ვქნათ თუ ის, რაც ყველამ იცოდა ი. ბუაჩიძემ მხოლოდ ეხლა გაიგო და ისიც „ბოლო დროს დაუჯერებელი გავრცელებული ხმებით".

ი. ბუაჩიძეს არ სცოდნია საუბედუროთ, რომ დავალიანება და ზარალი ერთი და იგივე არ არის. რომ შეიძლება დაწესებულებას დიდი დავალიანებაც ჰქონდეს და მასთან მოგებაც ოპერაციებიდან, რასაც ჰქონდა სწორედ ადგილი „წარმოკავშირი"-ს მუშაობაში.

„მრავალი იყო ობიექტიური ხელშემშლელი მიზეზები, — მოგვითხრობს ი. ბუაჩიძე, — მაგრამ „წარმოკავშირის" მთავარი დეფექტი ის იყო, რომ მუშაობა სწარმოებდა სამეურნეო და ფინანსიური მდგომარეობის გაუთვალისწინებლათ". გაუთვალისწინებელი მუშაობა ბუაჩიძეს ალბათ ასე ესმის, რომ „წარმოკავშირს" ვალი არ უნდა აეღო და ემუშავა მხოლოდ თავისი საკუთარი ფინანსიური შესაძლებლობის ფარგლებში.

ბუაჩიძის ლოღიკას რომ გავყვეთ, უნდა ვაღიაროთ, რომ არც კოოპერატიული მშენებლობისთვის არ უნდა მოეკიდა ხელი „წარმოკავშირს" და მაშინ აშკარაა ის 163 კოოპერატივი არ გვექნებოდა 32 ათასი შეკავშირებული გლეხის მეურნეობით, რაიც დღეს გვაქვს. ასეთი „გათვალისწინება" შეიძლება ი. ბუაჩიძისთვისაა მისაღები, გამგეობას კი არ შეეძლო ამ სიბეცის ჩადენა.

„წარმოკავშირს" პროვინციაში განყოფილებები ჰქონდა და რწმუნებულები ჰყავდა, — აღმოუჩენია ბუაჩიძეს, — და მიუხედავათ იმისა, რომ კოოპერატიულადაც მიზანშეუწონელი იყო და მატერიალურადაც ზედმეტი ბარგი იყვენ ისინი კოოპერაციისთვის, რასაც ინსტრუქტორები აღნიშნავდენ თავიანთ მოხსენებებში, მაგრამ მათ [illegible]".

საცოდავი ინსტრუქტორები! როგორ აბუჩათ ყოფილან აღებულნი და მხოლოდ დღეს გამოჩენიათ „მფარველი".

მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ არც ერთი მოხსენება, არც წერილობითი და არც სიტყვიერი გამგეობაში არ შემოსულა ამის შესახებ. თუმცა ისიც კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ასეთი რომ კიდეც შემოსულიყო, ამაზე არ დავეთანხმებოდით, რადგან იმ ოპერაციებს, რომელთაც განყოფილებები და რწმუნებულები ატარებდენ, მას ვერ შეასრულებდენ თავისი სინორჩის გამო ის ძირითადი კოოპერატივები, რომლებიც ამ განყოფილებების გვერდით იყვნენ. ინსტრუქტორებმა გამოსთქვეს აზრი და ისიც თავიანთ თათბირზე, განყოფილებების დიდი დატვირთვის შესახებ, რასაც გამგეობაც გრძნობდა, მაგრამ განყოფილებების განტვირთვა თანხებს მოითხოვდა, რაც ჩვენ არ გაგვაჩნდა და რომ გვეშოვა, აუცილებლად ვალი უნდა აგვეღო, რისთვისაც ალბათ ბუაჩიძე სავსებით გვაცვამდა ჯვარზე.

ი. ბუაჩიძეს ფასიანი სარევიზიო კომისიაც ეხლა შეუჩნევია, თუმცა ის რწმუნებულთა ყრილობაზე დაესწრო და უნდა ახსოვდეს, რომ ა. აბაშიძე კომისიის მუდმივ და ფასიან წევრად ყრილობის მიერ იყო ერთხმად არჩეული. ა. აბაშიძე „წარმოკავშირის" ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი პატრიოტი და ერთგული მუშაკი იყო და არის. ეს დააფასა ყრილობამ და მადლობაც გადაუხადა ერთგული მუშაობისათვის. ყველა ეს ი. ბუაჩიძეს დავიწყებია და გაიძახის — მას არაფერი გაუკეთებიაო.

აბაშიძის [illegible] არ დაკმაყოფილებულა ი. ბუაჩიძე და მთელ სარევიზიო კომისიის წინააღმდეგ ცილისწამებით ილაშქრებს.

„სარევიზიო კომისია ზოგჯერ კიდევაც მალავდა ამა თუ იმ ბოროტმოქმედებას და მისი შენახვა კი თვეში 500 მანეთზე მეტი ჯდებოდა"-ო. თუ რა გააკეთა სარევიზიო კომისიამ და როგორ „მალავდა" ბოროტმოქმედებას, ამაზე ალბათ, თვით სარევიზიო კომისია გასცემს პასუხს.

ავანსები აბაშიძეს სარევიზიო კომისიის წევრად ყოფნის დროს არ აუღია. ეს შეგროვდა „წარმოკავშირში" მისი სამი წლის მუშაობის დროს. „წარმოკავშირმა" თვით ინსპექციის დადგენილებამდე მიაქცია სათანადო ყურადღება ამ უარყოფით მოვლენას და გამგეობის დადგენილებით სავსებით შესწყვიტა ახალი ავანსების გაცემა და ენერგიულად შეუდგა უკვე გაცემულის შეკრებას, რამაც საგრძნობი შედეგი მოიტანა. ყველა ეს იცოდა ი. ბუაჩიძემ და რათ დასჭირდა უადგილო ცილის წამება, გაუგებარია.

რაც შეეხება ოტიაშვილს და მის დავალიანებას, ამის შესახებ გამგეობამ სპეციალური კომისია დანიშნა საქმის გამოსარკვევად, კომისიის მოხსენების შემდეგ გამგეობამ წინადადება მისცა ოტიაშვილს დაეფარა თავისი დავალიანება.

თუ ამას ოტიაშვილი განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულებდა, იმ შემთხვევაში ის პასუხისგებაში იქნებოდა მიცემული. ოტიაშვილმა ვერ დაფარა აღნიშნულ ვადაში დავალიანება და ამისათვის გამგეობის მიერ კიდევაც იქნა მიცემული პასუხისგებაში.

ბუაჩიძე უკიჟინებს გამგეობას, რომ მან თავის ნებით მოახდინა განყოფილებების გამრავლებაო. ეს არ არის მართალი. საერთო საორგანიზაციო გეგმა ყრილობის მიერ იყო დამტკიცებული და ამიტომაც იმ ფარგლებში მუშაობდა. გამგეობა ვერ დაარღვევდა ყრილობის დადგენილებას.

არ შეეფერება აგრეთვე სიმართლეს ბუაჩიძის მტკიცება, რომ ვითომდა „წარმოკავშირში" საეჭვო პირები მოკალათდენ და რომ ვითომდა კერძოთ ამირეჯიბი კონტრ-რევოლიუციონერი იყოს. მთელი რიგი ამხანაგებისა იცნობს ამირეჯიბს, რომელიც დახმარებას უწევდა საბჭოთა ხელისუფლებას, მან გადაარჩინა სტეფანე შაუმიანის შვილი დენიკინისაგან, დენიკინელებმა გაძარცვეს ის და სხვა, რაც ბუაჩიძეს არ მოეხსენება და არც შეშვენოდა ამაზე ლაპარაკი.

ი. ბუაჩიძე „წარმოკავშირის" მატყლის სექციას უკიჟინებს, აგენტების მიერ მატყლის დამზადების შესახებ. მატყლის დამზადება აგენტების მიერ სინამდვილეა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ საქართველოს ყველა რაიონებში არ არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, და რომ ასეთ რაიონებში კერძოთ მატყლის დამზადება აგენტების საშუალებით უნდა სწარმოებდეს? წარმოკავშირს 70 ათასი ფუთი მატყლის დამზადების პირობა ჰქონდა დადებული და ამის შესრულება უნდოდა. მეცხვარეთა ორგანიზაციები ყველა რაიონებს ვერ გასწვდენ და ამიტომ აგენტები აუცილებელი გახდა.

ვინ არ იცის რომ კოოპერატიულ პრაქტიკაშიც დასაშვებია აგენტები, ვის უნდა ამით აუხვიოს თვალი ბუაჩიძემ, რა არის აქ გასაკვირი? განა უმჯობესი იქნებოდა ასეთი რაიონების მატყლი კერძო ჩარჩებს ჩავარდნოდათ ხელში და კოოპერაციას კი პირობა ვერ შეესრულებინა! სიყალბეა ის, რომ ვითომდა აგენტები კუთვნილ ჯამაგირის ზევით პროცენტებსაც ღებულობდენ. თუ ასეთებს ქონდა ადგილი ზოგიერთ აგენტებთან, აქ საჭიროა ვიცოდეთ ის, რომ ჯამაგირი და პროცენტები ერთად საშუალო ჯამაგირს, ყოველშემთხვევაში, არ აღემატებოდა.

ი. ბუაჩიძემ „წარმოკავშირის" გამსაღებელ პუნქტსაც „მიაქცია" ყურადღება. ის სწერს „გამსაღებელი პუნქტი ფრიად სიმპატიური და სასარგებლო დაწესებულება იყო, მაგრამ იქაც არევ-დარევას ქონდა ადგილი — ოთხ პატარა დუქანში 60-მდე თანამშრომელი მსახურებდა და ამიტომ იქაც ზარალი აღმოჩნდაო".

ბუაჩიძეს რომ ცოტათი თავი შეეწუხებია და დაეთვალიერებია ხსენებული პუნქტი და პლეხანოვის ქუჩაზე არსებული მისი განყოფილება, საძეხვე ქარხანა და სალაფო მაღაზიები დესიმონოვის ქუჩაზე, რომელთა თანამშრომლები პუნქტის თანამშრომელთა სიაში ირიცხებოდენ, მაშინ ბუაჩიძე ოთხ პატარა დუქანზე მეტს იხილავდა და ყველა ამას იმასაც თუ მიუმატებთ, რომ თანამშრომელთა რიცხვი იყო არა 60, არამედ 39 — მაშინ ყველასთვის ცხადი იქნება ის, თუ რა შეუმოწმებელ ცნობებს აწვდის ბუაჩიძე „წარმოკავშირის" მდგომარეობით დაინტერესებულ საზოგადოებას.

მართალია გამსაღებელმა პუნქტმა ზარალი მისცა „წარმოკავშირს" მაგრამ ეს იმიტომ კი არა რომ ვითომდა მას მრავალი თანამშრომელი ჰყავდა, არამედ იმიტომ, რომ მას არ გააჩნდა საკმარისი საბრუნავი თანხა, ის განიცდიდა პირველ საორგანიზაციო ხანას, — მაღაზიებს შეკეთება და სათანადოთ მოწყობა უნდოდა. საჭირო იყო ინვენტარის შეძენა და სხვა, რომლის ამორტიზაცია რამდენიმე თვეში ყოვლად შეუძლებელია, ამას, რასაკვირველია, ისიც მიუმატე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვართ „კარგი ვაჭრები" როგორც იტყოდა ხოლმე ლენინი ამიტომ ხშირათ გვიხდებოდა გამგეების გამოცვლა და ამას კი თავის თავათ შეჰქონდა ერთნაირი არევდარევა მთელ სავაჭრო აპარატში მაგრამ ბოლო დროს გამსაღებელ პუნქტი ჩამოყალიბდა, ის სავსებით ამართლებდა ყველა ხარჯებს და მომავალში მოგებასაც მისცემდა „წარმოკავშირს".

„წარმოკავშირი" გამსაღებელი პუნქტიდან დიდ მოგებას არც მოელოდა. მისი უმთავრესი დანიშნულება იყო, რათა გლეხის მეურნეობის პროდუქცია გაესაღებია, რომ გლეხის ნაწარმოები ხელში არ ჩავარდნოდა ნახევარ ფასებში ჩარჩებს და გარდა ამისა ბაზრის ფასები, უმთავრესათ ხორცის, მოეწესრიგებია მის რეგულიატორად გამოსულიყო. ამ დანიშნულობას ხსენებული პუნქტი სავსებით ამართლებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც გამსაღებელ პუნქტს ესა თუ ის საქონელი შემოაკლდებოდა, იმ საქონელზე ბაზარზე ფასები საშინლათ აიწევდა. როგორც კი მოუვიდოდა პუნქტს საქონელი, ბაზრის ფასები მაშინვე ეცემოდა. საბაზრო ფასების მოწესრიგება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია და „წარმოკავშირის" გამგეობაც ამ თვალსაზრისით მიუდგა საკითხს როდესაც პუნქტის გახსნა გადასწყვიტა.

ეხლა „წარმოკავშირის" ძველი გამგეობის მიერ საქმეების და ოპერაციების გადაბარება თავდება ახალი გამგეობისათვის. გადაბარების ოქმებზე ხელს მოაწერს, როგორც ძველი ისე ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია. ამ დღეებში წლიური ბალანსის შედგენაც დამთავრდება ყველა ესენი გამოქვეყნდება და გაეგზავნება დაინტერესებულ პირთ. ამის მიხედვით აშკარათ დაინახავს ყველა, თუ რა დიდი მუშაობა ჩაუტარებია „წარმოკავშირს" გასული წლის განმავლობაში და რა დიდ შეცდომაში შეუყვანია ი. ბუაჩიძეს მკითხველი საზოგადოება.

ლ. დუმბაძე.

როგორ ესმით ზოგიერთებს თავის მოვალეობა

ჩვენი კოოპერაციის ერთი დიდ ნაკლთაგანი შეადგენს ის, რომ თავის დროზე და ღირსეულათ ვერ აფასებენ ის მისთვის „თავდადებულ მუშაკებს". ხშირათ ბოროტების ჩამდენი, მრავალი და დამშლელი კოოპერატიული მუშაობისა, რჩება აუყვანელი „აღრიცხვაზე" და შესაფერ შეუფასებელი.

აბა წაიკითხეთ ი. ბუაჩიძის წერილი გაზ. „კომუნისტის" 295 ნომერში აი რას სწერს ის: „წარმოკავშირში ნაკლუვანებანი, (გაიგეთ ფლანგვა, ბოროტმოქმედება. ქ. ხ.) რომლებიც აღმოჩენილ იქნა უკანასკნელ დრომდე არსებობდენ წინადაც. ფინანსიური კრიზისი „წარმოკავშირის" ცხოვრებაში ახალ რამეს არ წარმოადგენს და ის არსებობდა ზევით ხსენებულ ყრილობის დროსაც" (ყრილობა მოხდა მარტში) და შემდეგ: „და აი ამ სინამდვილის დავიწყებამ და მაზე თვალის დახუჭვამ [illegible] სრულ დაღუპვამდე მიიყვანა „წარმოკავშირი" და მისი მდგომარეობის გამოსასწორებლათ საჭირო გახდა მთელი რიგი რადიკალური ღონისძიებების მიღება". მართალს ბრძანებთ, ი. ბუაჩიძევ, მაგრამ თქვენ რაღას აკეთებდით „წარმოკავშირში". რა გქონდათ დავალებული, როგორც „სპეცს", რომელიც ღებულობდით ჯამაგირს „სპეცის" განაკვეთით. სარევიზიო კომისიის შეკითხვაზე თუ რას აკეთებთ თქვენ „წარმოკავშირში" აი რა იყო თქვენი წერილობითი პასუხი: „თანახმათ თქვენი მოთხოვნილებისა გაცნობებთ, რომ მე მოწვეული ვარ ამ თანამდებობაზე მიმდინარე წლის თებერვლიდან. გამგეობის მიერ დავალებული მქონდა გამოსაცემათ განზრახული ჟურნალის და საერთოთ გამოცემლობის ხელმძღვანელობა და პრესაში სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის საკითხების გაშუქება. ამავე დროს ქართულ და რუსულ პრესას ვაწვდიდი ცნობებს წარმოკავშირის საქმიანობის შესახებ".

მკითხველებს ემახსოვრებათ იყო თუ არა როდისმე რომელიმე გაზეთში ბუაჩიძის მიერ მოთავსებული ცნობები იმ ბოროტების, ფლანგვის და განადგურების შესახებ (რომელთაც ადგილი ჰქონია წარმოკავშირში მისი იქ ყოფნაში), რაც შეადგენდა მისივე სიტყვით, მის მოვალეობას? არას დროს.

მაგრამ ენახოთ — აკეთებს თუ არა რამე საქმეს კოოპერაციისათვის ეს ტანჯული კაცი? ის სწერს სარ. კომისიას: „უკანასკნელ დრომდე მე არ მქონია ცალკე მაგიდა, არც მაქვს შკაფი მასალებისთვის.. ჩემს დარგში მე თითონვე მიხდება ყოველგვარი მუშაობის შესრულება, რადგანაც განყოფილებაში მხოლოთ მე ვითვლები. განზრახვა მაქვს ყოველივე ამის შესახებ მოხსენება გავუკეთო გამგეობას მორიგ სხდომაზე, რომ გამოვარკვიო ჩემი მუშაობის პირობები".

კაცი მოწვეულია განსაზღვრულ თანამდებობაზე, ღებულობს თვეში 150 მან. და არ იცის რა უნდა აკეთოს! და მართლაც რა უნდა გაეკეთებია, როცა ის გამოუსადეგარი იყო. თუ ორიოდე წერილი მოათავსა გაზეთებში — არც ერთი არ გამოხატავდა საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობას და ეწინააღმდეგებოდა სინამდვილეს. გამოცემით „წარმოკავშირს რა ჰქონდა — რა გამოეცა. ამაზე სარევიზიო კომისიამ თავის სხდომაზე 21 მაისს დაადგინა „სარევიზიო კომისიას საჭიროთ მიაჩნია რათა მოხდეს საგამომცემლო განყოფილების გაუქმება. წიგნაკების გამოცემა, თუ ასეთს ადგილი ექნება, წარმოკავშირმა მიანდოს სოფლის ლიტერატურის გამომცემლობას, პრესისათვის ცნობების მიწოდება კი მის პასუხისმგებელ მომუშავეთ". მაგრამ ეს დადგენილება წარმოკ. გამგეობის საერთო სიზანტის და უუნარობის წყალობით არ იქნა სისრულეში მოყვანილი.

ვინ ყოფილან მოკალათებულნი წარმოკავშირში? „კოოპერაციის თანამშრომლებათ კოოპერაციის მოწინააღმდეგე პირთა და ზოგიერთ ბოროტმოქმედთა მიწვევა საპასუხისმგებლო, სპეცების თანამდებობაზე, რასაკვირველია კეთილ შედეგებს არ მოიტანდა და მიუხედავათ ზოგიერთი შედეგების მიღწევისა წარმოკავშირი მიუახლოვდა კატასტროფიულ მდგომარეობას" — სწერს მოქ. ბუაჩიძე. ერთ წელიწადზე მეტს მსახურებს გამომცემლობის გამგე ბუაჩიძე და ამ ხნის განმავლობაში ვერ შეუმჩნევია თუ რა ხდება წარმოკავშირში. რატომ მხოლოთ დღეს გამოჰფხიზლდა ბოროტ-მოქმედებზე? განა ბუაჩიძემ დღეს გაიცნო ოტიაშვილი, ჩაჩუა და მათი თანამოქმედნი? რატომ არ ამხილდით ამ ამბებს მანამ, სანამ ზემოთ დასახელებული პირები ციხეში არ მიაბრძანეს? თქვენ ყველაფერი გცოდნიათ და ხელს აფარებდით. თავისთავად ცხადია — ხელის დამფარებელი ბოროტმოქმედთა თანამონაწილეა. მე არ გამოუდგები სარევიზიო კომისიის წევრების, კერძო ა. აბაშიძის მფარველობას, ცილისწამებისათვის. (ვითომ ქურდებს და გამფლანგველებს ხელს აფარებდენ). მათ შეუძლიათ ამაზე საკადრისი პასუხი გაგცენონ.

მაინც რამ გაიძულათ თქვენ [illegible] გაგეხილათ თვალები და ერთი [illegible] შემდეგ დაგენახათ რომ წარმოკავშირი კატასტროფის კიდემდე მივიდა? იმან, რომ წარმოკავშირის ახალი გამგეობა მტკიცეთ შეუდგა მუქთა ხორებისაგან კავშირის გაწმენდას. ის შეუდგა სარევიზიო კომისიის დადგენილებების სისრულეში მოყვანას, რომელსაც ძველი გამგეობა ათი თვის განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდა და რომლის თავის დროზე ასრულება წარმოკავშირს კრიტიკულ მდგომარეობამდე არ მიიყვანდა. დაგვიგვიანდათ ამ თქვენ ვერ გვშველით.

ქ. ხინჩალი.

პროფკავშირებში

ზუგდიდის მაზრის განათლების მუშაკთა პროფკავ. მე-5 კონფერენცია

27 დეკემბერს შესდგა ზუგდიდის მაზრის განათლების მუშაკთა მე-5 კონფერენცია. კონფერენცია გახსნა პროფკავშირის პ|მ. მდივანმა ამხ. უგულავამ, რომელმაც მოკლე მისასალმებელ სიტყვაში დაასურათა პროფკავშირის მნიშვნელობა წარსულში და მიმდინარე მომენტში. ამის შემდეგ კონფერენციას ესალმება მაზრის კომპარტიის პ|მ. მდივანი ამხ. ისაკი ქვანია, რომელმაც ხაზი გაუსვა მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობას და მათი მუშაობის მნიშვნელობას მშრომელ მასაში. მისასალმებელ სიტყვების შემდეგ კონფერენცია ირჩევს პრეზიდიუმს; საპატიო თავმჯდომარეებად არჩეული იქნენ: ამხ. ტომსკი, მარიამ ორახელაშვილი, კრუპსკაია, კანდელაკი, ორჯონიკიძე, ლუნაჩარსკი და ყურულაშვილი.

კონფერენცია ადგენს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს რუსეთის კომუნისტური პარტიის მე 14 ყრილობას.

დღის წესრიგში დასმულ იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება სამაზრო გამგეობის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ; 2) მოხსენება ცენტრალური გამგეობის მუშაობაზე; 3) მოხსენება განათლების ინსპექტორის; 4) არჩევნები გამგეობის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების საქართველოს გან. მუშ. პროფკავშირის კონფერენციაზე და 5) მიმდინარე საკითხები.

გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა მაზრის გან. მუშაკთა პროფკავშირის პ|გ. მდივანმა ამხ. უგულავამ, რომელიც სათითაოდ შეეხო გამგეობის მუშაობას და აღნიშნა მიღწევები როგორც კავშირის ორგანიზაციულ დარგში, ისე კავშირის წევრთა ინტერესების დაცვაში. აგრეთვე აღნიშნული იქნა ის ღონისძიებანი, რომლებიც კავშირმა მიიღო წევრთა კულტურული დონის ასამაღლებლად.

გამგეობას სამჯერ დაუთვალიერებია ადგილკომები და მუდამ აწვდიდა მათ სათანადო ინსტრუქციებს. მხოლოდ ადგილკომები მუშაობაში მოისუსტებენ და ისინი საჭირო ცნობებს განყოფილებას აწვდიდენ ძალიან გვიან. კავშირის გამგეობაში მუდამ იმყოფებოდა ადმინისტრაციასთან კონტაქტში; გაუგებრობას მათ შორის ადგილი არ ჰქონია.

გამგეობის მოხსენების შემდეგ მოისმინეს სარევიზიო კომისიის მოხსენება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ფინანსიურს და საერთოდ მთელ მუშაობას კავშირის გამგეობა აწარმოებდა სწორად. ყოფილა ცოტა დეფექტებიც, როგორც მაგ. ადმინისტრაცია შედიოდა გამგეობაში და სხ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 9 ამხანაგმა, რის შემდეგ გამგეობის მოხსენება ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლათ.

აგრეთვე კონფერენციამ დაადგინა, თუ მოსახერხებელი იქნება, მასწავლებელთა ჯამაგირები გადაეგზავნოს ფოსტის საშუალებით ადგილკომების მდივნებს, რაც იქნება მიზანშეწონილი.

კულტმუშაობაზე იქნას განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული. და დაევალა მომავალ გამგეობას, რომ უფრო გააფართოვოს კულტ. მუშაობა სოფლად.

ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ც. გ. პ|მ. მდივანი. შ. გეგენავა რომელმაც სათითაოდ აღნიშნა ის მიღწევები, რაც აქვს ც. გ-ას. იყო მრავალი შეკითხვები, რომელსაც პასუხი გასცა მომხსენებელმა.

კონფერენციამ აგრეთვე აღნიშნა ის არანორმალობა, რომელსაც ადგილი აქვს დაბალი ჯგუფის მასწავლებელთა ხელფასის რაოდენობასთან და დაადგინა იშუამდგომლოს ც. გ. წინაშე ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საერთოდ ც. გ. მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლათ.

განათლების ინსპექტორის მოხსენება.

მოხსენება გააკეთა გან. ინსპექტორმა ილ. გოგიამ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრაში გახსნილი ყოფილა ამ ჟამად 9-წლედი—3; 7 წლედები—27; 4-წლედები—104; სოფლის ახალგაზრდობის სკოლა—3.

მასწავლებელთა რიცხვი ამ ჟამად მაზრის სკოლებში უდრის 496-ს მაზრაში.

დავალიანება ოქტომბრის თვიდან უდრის სულ სამიათას მანეთს. თვიური დავალიანება კი 900 მანეთს. გან. ინსპექტორის მოხსენების ირგვლივაც გაიმართა კამათი, რაშიც მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე ამხანაგმა.

ინსპექტორის მუშაობაც ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლათ.

არჩევნები

გამგეობაში არჩეული იქნენ: უგულავა, შელია, კალანდია, ვაშაკიძე, დარასელია და სხვები.

სარევიზიო კომისიაში—ქვარცხავა, ქეჩულორია და გერსამია.

პ|მ. მდივნად არჩეული იქნა პ. უგულავა.

დელეგატებათ არჩეული იქნენ—ტ. ლადეილავა, გ. შელია, ქ. კეიდია ქვარცხავა, უგულავა და ი. ქვარცხავა.

კონფერენცია დამთავრდა 30 დეკემბერს ღამის 2 საათზე.

აკ. ივლიანიშვილი.

მუშათა ბინებისათვის

ხელმძღვანელი პარტია, საბჭოთა ხელისუფლება, პროფკავშირები და შრომის დაცვის ორგანოები ხმარობდენ და დღესაც ხმარობენ ყოველგვარ ღონისძიებებს, რომ ჩვენ მუშებს მისცენ საუკეთესო ბინები ყოველგვარ ჰიგიენურ და სანიტარულ მოწყობილობით. ამისათვის თავის დროს მოხდა მუნიციპალიზაცია საუკეთესო სახლების, რომლებიც გადაეცა მუშებს. ამას გარდა ქალაქის საცხოვრებელ მოედნის მთელი მესამედი კერძო სახლებში აქვთ დათმობილი მათ.

ამგვარ ზომებმა საგრძნობლად შეანელეს საბინაო კრიზისი და ბევრი მუშა-მოსამსახურე უკვე უზრუნველყოფილია ბინის მხრივ, მაგრამ ბევრი კი დღესაც აუტანელ და დამაფიქრებელ მდგომარეობას განიცდის უბინაობის გამო. ბევრი მათგანი განიცდის თავისი ცოლშვილითურთ ბინის სივიწროვეს.

კერძო ბინების ერთ პატარა, დანესტიანებულ და უსინათლო ოთახში მომწყვდეულია 4—6 კაცამდე—მუშის ოჯახის წევრები. დღიურ სამუშაოზე დაღლილ-დაქანცული მუშა დასვენების მაგიერად უფრო იჭნიცება და იღლება—ამ ბნელ გალია-კლიტულში. ამას დაუმატეთ კიდევ ის ყოველ-დღიური უსიამოვნება, ლანძღვა-გინება და აურ-ზაური, რომელსაც ქმნიან ადგილებში სახლის გათავხედებული პატრონები და თქვენ ხათლად წარმოგიდგებათ ის ჯოჯოხეთური ცხოვრების სურათი, რომლის ყოველდღიურათ მოწმენი არიან თვით ჩვენი მუშები.

ამ გარემოების ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია და დაუშვებელი. ჩვენ უნდა მივიღოთ უფრო რადიკალური ზომები, რომ ბინის კრიზისი (თუ სრულიად ვერ მოვსპეთ) დავიყვანოთ მინიმუმამდე. ამისათვის კი საჭიროა საბინაო მშენებლობის გაძლიერება სამ მთავარ მიმართულებით: კომუნალური (ქალაქის სპეციალურ თანხების საშუალებით) მშენებლობა, კოოპერატიული (საბინაო ამხანაგობათა) მშენებლობა და მუშათა ახალშენური მშენებლობა.

ჩვენმა უმაღლესმა პროფორგანოებმა უნდა მიიღონ აგრეთვე ყოველგვარი ზომები, რომ კავშირების წევრები დააინტერესონ, ჩაბან ამ საბინაო მშენებლობაში. შექმნან ყოველგან კავშირის წევრთა კოოპერატიული საბინაო ამხანაგობები და საბინაო მუშათა კოლექტივები, რომლებსაც ჩვენი ბანკებიდან უნდა მიეცეთ გრძელ-ვადიანი სესხი ახალი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად.

ხელისუფლება უნდა დაეხმაროს მუშათა საბინაო ამხანაგობათ საამშენებლო მასალის შეღავათიან ფასებში და დროზე მიწოდებით და სხვა.

საეჭვო არ არის, რომ ასეთი რეალური ზომებით ჩვენ მივაღწევთ მიზანს და მოვსპობთ საბინაო კრიზისს.

ხნივი.

პროფმუშაობის ქრონიკა

— **ჭიათურასა და ფოთში მომუშავე მტვირთავ მუშების ხელფასის შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საკითხი ჭიათურასა და ფოთში მომუშავე მუშების ხელფასის შესახებ. პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო, რათა მუდმივი მუშების რიცხვი გადიდდეს; დღიური, ან დროებითი მომუშავეების ხელფასი გაცილებით მეტი უნდა იქნეს ვიდრე მუდმივი მტვირთელ მუშების.

— **ჭიათურა-ფოთში მომუშავე დღიურ მუშების დაზღვევა.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საკითხი ჭიათურა-ფოთში მომუშავე დღიურ მუშების დაზღვევის საკითხი. გამოირკვა, რომ ამ მუშების მუშაობის პირობები განსაკუთრებული ხასიათისაა. ამიტომ პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ამ მუშებზე გავრცელდეს სოც. დაზღვევა ყოველმხრივ. ადგილობრივი დამზღვევ სალაროების მიერ ეს მუშები სისწორით უნდა იქნენ აღრიცხული.

რკ. გზების დამზღვევ სალაროში.

— **ნიგოითის ჭაობების ამოშრობა.** ნიგოითის ჭაობების ამოშრობისა და იქ წყალსადენის გაყვანისათვის, სოფ. ნიგოითის გლეხებმა განაცხადეს, რომ იმუშავებენ უსასყიდლოდ.

ამას გამო სანიტარულმა კომისიამ წინადადებით მიმართა სადაზღვევო სამსახურის სალაროს შემდეგ სხდომაზე წარადგინოს თავისი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ.

— **ციებ-ცხელებით დაავადება.** დამზღვევ სალაროს ცნობით ქობულეთის კარიერის მუშებში 80 პროცენტი დაავადებულია ციებ-ცხელებით.

— **საუბნო სალაროების თავმჯდომარეთა განთავისუფლება ზედმეტ მუშაობიდან.** თანახმად უმაღლეს ჯ. ქ. საბჭოს და რუსეთის შრომის კომისარიატის ცირკულიარისა, დამზღვევ სალაროების თავმჯდომარეთა არაპირდაპირ მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ, ა|კ. საგზაო დამზღვ. სალარომ წერილობით მიმართა უბნებს წარმოადგინონ ცენტრში ცნობები იმის შესახებ თუ რამდენად არიან დატვირთულნი თავმჯდომარეები არაპირდაპირ მოვალეობიდან.

— **მღრღნელ ცხოველებთან ბრძოლა.** ა|კ. საგზაო სანიტკომისიამ გამოითხოვა 4.936 მ. 20 კაპ. რკინის გზებზე მღრღნელ ცხოველებთან (თაგვები, ვირთხები) საბრძოლველად.

ფართლეულობის ბაზარზე

ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებაში აცნობეს შემდეგი:

— მოთხოვნილება ბამბეულ ფართლეულობაზე არ სუსტდება და საქონლის არსებული რაოდენობა სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებამ დეკემბრის განმავლობაში მიიღო სულ 20 ვაგონი ფართლეულობა, რომლებიც ხელშეკრულების ძალით მიეცა კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს.

კერძო ბაზარს, როგორც წინათაც, ფართლეულობა არ ეძლევა. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია კუსტარული წესით დამზადებულ მანუფაქტურის შემოტანა თბილისის ბაზარზე დიდის რაოდენობით. ეს ფართლეულობა მზადდება მოსკოვში. კუსტარული წესით დამზადებული ქსოვილები საერთოდ დაბალი ღირსებისაა, მაგრამ ისინი მაინც ძვირათ ფასობს; მიუხედავათ ამისა, ეს ქსოვილები მაინც ხალისით იყიდება ადგილობრივ ბაზარზე. კერძო ვაჭრები მეტათ მცირე რაოდენობით იღებენ მოსკოვიდან ფაბრიკებში დამზადებულ ფართლეულობას.

მიუხედავათ დიდი მოთხოვნილებისა, ფასები თავისუფალ ბაზარზე მტკიცეა; უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ფასების ზრდის ტენდენცია. საბითუმო ვაჭრობაში ბამბაზია ფასობს 1 მან. 40 კაპ.—1 მან. 70 კაპ-დე მეტრი, ნარმა 65 კაპ., ჩითი 55-70 კაპ-დე, მადეპალამი 90 კაპ.—1 მანეთი.

მატყლის საქონლიდან დიდი მოთხოვნილებაა მაუდის ქსოვილებზე, რომლის ფასები თავისუფალ ბაზარზე 20 პროც-ით მეტია, ვიდრე სინდიკატის ფასები.

შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე იანვრის განმავლობაშიც ინტენსიური მოთხოვნილება ბამბეულ მანუფაქტურაზე არ შემცირდება.

„საქართველოს მარგანეცი“

ჟ. ლაბასის დაბრუნება

6 იანვარს ლონდონიდან საქართველოში გამოემგზავრა საზ—ბა „საქართველოს მარგანეცი-ს“ მთავარი რწმუნებული საქართველოში ჟიულ ლაბასი.

ჟ. ლაბასის, ჰარიმანის და საზ—ბა „საქართველოს მარგანეცი“-ს პრეზიდენტის ჩარლზ ჰოლმანის მონაწილეობით ლონდონში გაიმართა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი შავი ქვის ამოღების, ექსპორტის და ნავთსადგურ ფოთში ელევატორის ტიპის მექანიკური გადამტვირთელის მოწყობის შესახებ.

ჟ. ლაბასი გამოივლის საფრანგეთში და გერმანიაში, სადაც ის გაეცნობა შავი ქვის ბაზრის მდგომარეობას; ჟ. ლაბასს განზრახული აქვს შეისწავლოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენი შავი ქვაა საჭირო საერთაშორისო ბაზრისთვის და როგორ შეიძლება მისი დაკმაყოფილება ჭიათურის შავი ქვით.

ხვალ, 10 იანვარს, ჟ. ლაბასი ჩავა ბერლინში; მას საქართველოში მოელიან იანვრის შუა რიცხვებში.

ჭორების გაბათილება

საზ—ბა „საქართველოს მარგანეცი-“ს ვიცე-პრეზიდენტმა ელიოტმა ამერიკის ერთერთ გავლენიან გაზეთში მოათავსა წერილი, რომელშიაც ის აბათილებს საზღვარგარეთელ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირის მთავრობასა და კონცესიონერს შორის ადგილი აქვს უთანხმოებას.

ელიოტი ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობა არა თუ ხელს არ უშლის, პირიქით, ყოველის მხრივ ხელს უწყობს კონცესიონერის მუშაობას.

საგეგმო კომისიაში

საბინაო აღმშენებლობის განვითარებისათვის

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი საბინაო აღმშენებლობის განვითარების შესახებ; საბინაო კრიზისთან ბრძოლის და მუშათა კოოპერატიული საბინაო აღმშენებლობის განვითარების მიზნით საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ საბინაო კოოპერაციის საამშენებლო მასალა მიეცეს შეღავათიან ფასებში.

სატყეო მასალა საბინაო კოოპერაციას მიეცემა საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტიდან, მაგრამ ამ უკანასკნელს შეუძლია ტყის ნაკვეთების დამუშავების უფლება მიანიჭოს თვით საბინაო კოოპერაციას. ტრესტი საბინაო კოოპერაციას სატყეო მასალას მისცემს თვითღირებულების ფასებში. ეს მასალა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ საბინაო აღმშენებლობისათვის, მისი სხვაგვარად გამოყენება აკრძალულია.

1925—26 წლის განმავლობაში მუშათა საბინაო აღმშენებლობის კოოპერაციას მიეცემა 500.000 კუბიკური ფუტი სატყეო მასალა, შემდეგში კი საბინაო კოოპერაციისათვის საჭირო სატყეო მასალის რაოდენობას გამოარკვევს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია.

საკონტროლო ციფრები

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა თავის სექციებს შეუდგნენ წინასწარ მუშაობას საქართველოს სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების გამოსამუშავებლად.

პროფავადმყოფობათა შესწავლა

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დაწვრილებით შეისწავლოს პროფესიონალური ავადმყოფობათა საკითხი და წარადგინოს საგეგმო კომისიაში თავისი მოსაზრებები მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

სასოფლო მეურნეობა

მიწის ქიმიური განოყიერება

ვინაიდან ჯერ-ჯერობით ა|კავკასიაში მიწის ქიმიური განოყიერების ცდა პირველია, და ამავე დროს შეიძლება ამ საშუალებამ მიწის ნიადაგის სხვადასხვა თვისებათა გამო შესაფერი შედეგი ვერ მოიტანოს, ამიტომ ა|კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიზანშეუწონლად სცნო ეხლავე ქიმიური საშუალებით მიწის განოყიერება ა|კავკასიაში და დაადგინა: დაევალოს საცდელ მინდვრებს მთელ ა|კავკასიაში მოახდინონ ცდები და გაარკვიონ ქიმიური საშუალებით განოყიერებული მიწა უფრო მეტ მოსავალს მოიტანს თუ ნეხვით, განსაკუთრებით საცდელ დაწესებულებებს ევალებათ ასეთი შედარებითი ცდები მოახდინონ კულტურ. ბამბის, თამბაქოს და მევენახეობის დარგში. საქ. მიწადმოქ. კომისარიატს განზრახვა აქვს ასეთ ცდებს ეხლავე შეუდგეს. მებამბეობის რაიონში აღნიშნული ცდების მოხდენისათვის საჭირო თანხის გაღება დაევალა ა|კ. მებამბეობის კომიტეტს, მეთამბაქოების რაიონში თამბაქოს დამმზადებელ ორგანიზაციას, მევენახეთა რაიონში—მევენახეთა კოოპერაციას.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემოტანა

ა|კ. სახალხო კომისართა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში ბუნებისა და ნიადაგის თავისებურობანი და ამასთან დაკავშირებით სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო შესაფერი მანქანა-იარაღების მოთხოვნილება, დაადგინა საზღვარგარეთიდან შემოზიდული იქნას სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანები მხოლოდ დიდი შერჩევით, ამასთანავე ერთად დადასტურებული იქნა ა—კ. საგარეო ვაჭრობის შეკვეთები საზღვარგარეთ.

სასოფლო მანქანების შესაძენად გადადებული თანხა 3,600,000 მან. განაწილებული იქნა შემდეგნაირათ: 1 მილიონი მანეთი დახარჯული იქნება საბჭოთა კავშირის ფარგლებში დამზადებულ მანქანების შესაძენად, ხოლო 2,600,000 მან. გაღებული იქნება საზღვარგარეთ დამზადებულ იარაღ-მანქანების შემოსაზიდათ ა—კავკასიაში.

კოოპერაცია

საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივები კოოპერატიულ საკითხებზე

მოსკოვი, 8 იან. ცენტრალურ კოოპერატიულ საბჭოს ფრაქციამ გააკეთა მოხსენება თავის მუშაობის შესახებ. საკავშირო კომპარტიის ცეკამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საჭიროა კოოპერაციის საკითხების დამუშავებისა და ცხოვრებაში გატარებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და აგრეთვე სხვადასხვა სახის კოოპერაციის მუშაობის ერთმანეთთან დაკავშირება პარტიის დირექტივებს განხორციელების საფუძველზე. ცეკამ დაადასტურა, რომ სავსებით მიზანშეწონილია ცენტრალურ და ადგილობრივ კოოპერატიულ საბჭოების მოწყობა. პარტიის ცეკამ დაავალა საბჭ-ს ფრაქციას შეიყვანოს ცენტრალურ საბჭოს შემადგენლობაში ადგილობრივ კოოპერატიულ საბჭოების წარმომადგენლები და დაამუშავოს საკითხი შემდეგი მუშაობის მეთოდების შესახებ; გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადგილობრივ საბჭოების ორგანიზაციებისათვის დახმარების და ხელმძღვანელობის გაწევის საქმეს.

ცენტრალურ კოოპერატიულ საბჭოს მუშაობის განსავითარებლად და კოოპერაციის მშენებლობის საკითხებში ხელმძღვანელობის განხორციელებლად ცეკამ დაავალა საბჭოს ფრაქციას გამოსცეს ყოველდღიური საერთო კოოპერატიული გაზეთი.

კოოპერატიულ თათბირის წარმომადგენლის მოხსენების გამო ცეკამ აღნიშნა, რომ მიუხედავათ კოოპერაციის დარგში საორგანიზაციო მუშაობის გაძლიერებისა, ცეკას დირექტივები საორგანიზაციო მუშაობის დარგში საკმაოთ ვერ სრულდება შემდეგი მიზეზების გამო:

კოოპერატიულ ცენტრების და მათი ორგანიზაციების არასაკმარისი ყურადღება თავიანთ დაბალი საფეხურის ქსელის მუშაობისადმი;

კოოპერატიულ ორგანოების საინსტრუქტორო აპარატის არასაკმარისი შევსება, განსაკუთრებით ადგილებზე, კვალიფიციურ პარტიულ ძალებით და საინსტრუქტორო მუშაობის სუსტად დაყენება;

კოოპერატიული ცენტრების არასაკმარისი ყურადღება ადგილობრივ მომუშავეთა მომზადების და გადამზადებისადმი და კოოპერატიულ კურსებს და უმაღლეს სასწავლებელთა განყოფილებებში პარტიულ ძალების სიძლიერისადმი და სხვ.;

კოოპერატიული ცენტრები არასაკმარის ყურადღებას აქცევდენ ადგილობრივ ორგანიზაციების ჩაბმას ცრუ კოოპერატივებთან ბრძოლაში და საკავშირო სისტემაში „ველურ“ კოოპერატივების მიზიდვას;

სუსტად ტარდება ცეკას დირექტივა რწმუნებულთა, კონტრ წარმომადგენლთა და წარმომადგენლების რიცხვის მნიშვნელოვნად შემცირებას შესახებ;

მუდმივ ორგანოების მოწყობა, რომლებშიაც უნდა შევიდნენ ეროვნულ. კოოპერაციის წარმომადგენლები, სრულიად არ არის დაწყებული სასოფლო კოოპერატიულ კავშირში და სამრეწველო კოოპერაციის კავშირში.

არა საკმარისად არიან ჩაბმული კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ქალები და განსაკუთრებით გლეხის ქალები.

ცეკამ წინადადება მისცა კოოპერატიულ საბჭოების ფრაქციებს, განახორციელონ აღნიშნული დირექტივები მახლობელ პერიოდში. კოოპერაციის ორგანოების ხელახალი არჩევნები ფართოთ უნდა იქნას გამოყენებული კოოპერატივებში გაერთიანებულ მცხოვრებლებთან კავშირის განსამტკიცებლათ და დაბალ საფეხურის კოოპერატიულ მუშაკების დასაწინაურებლად. ადგილობრივ პარტორგანიზაციებს და კოოპერატიულ ცენტრების ფრაქციებს წინადადება მიეცა სისტემატიურად მისცენ კოოპერაციის ორგანოებს პარტიული ძალები.

ახალქალაქის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებაში

ახალქალაქი. 5 იანვ. შესდგა ახალქალაქის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრება. საერთო კრებამ დაავალა ახალ გამგეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გლეხობის, განსაკუთრებით ქალების ჩაბმას კოოპერაციაში, მოაწყობინოს [illegible] რეგულიარულად შემოტანის და მისი სოფლებს შორის განაწილების საქმე; უზრუნველყოს გლეხობა მანუფაქტურით და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნებით.

კრებას დაესწრო ბევრი გლეხი დელეგატი, რომელთაც ცხოველი მონაწილეობა მიიღეს საქმიან მსჯელობაში. უნდა აღინიშნოს გლეხობის დიდი ინტერესი კოოპერაციისადმი. დელეგატები გამოსთქვამდენ სურვილს მათ სოფლებში კოოპერატივების გახსნის შესახებ.

რკინის გზებზე

სპეციალური მატარებლები ყველ-ფასის დასარიგებლად.

ა|კ. რკინისგზების ყველა ხაზზე 14-დან 20 იანვრამდე გაშვებული იქნება სპეციალური მატარებლები, რომლებმაც ოთხი დღის განმავლობაში უნდა შემოიარონ გზების ყველა უბნები. ამ მატარებლებით გაიგზავნება ხელფასი რკინისგზელებისათვის.

ამასთან ერთად ამ მატარებლებით აწარმოებს სადგურების თვის მასალების მიწოდებს და მუშებისათვის კი შეშის, ნავთის და სხვა. აღნიშნულ მატარებლებს მიბმული ექნებათ სატრანსპორტო კოოპერატივის რონოდები.

მატარებლის გაწყვეტა და დაჯახება.

გუშინ, დილის 5 საათზე მატარებელი №108, რომელიც მიდიოდა ლიხიდან წიფაში, გაწყდა.

მემანქანემ მატარებლის გაწყვეტა ვერ შეამჩნია და გაწყვეტილ მატარებლის პირველი ნაწილი 10 რონოდის შემადგენლობით ჩავიდა სად. წიფაში, ხოლო მეორე ნაწილი 35 რონოდის შემადგენლობით, რომელიც დაექანა თავქვე ძლიერის სისწრაფით, დაეჯახა პირველს და ამას შედეგად მოჰყვა 7 რონოდის ლიანდაგიდან გადაგდება.

მსუბუქად დაშავდა მთავარი კონდუქტორი.

ჯულფის გზაზე

ხიდი მტკვარზე.

ხიდის აგება მდ. მტკვარზე ჯულფის რკინისგზისათვის აწარმოებს ქარხანა „გომზა“. გეგმით მუშაობა დამთავრებულ უნდა იქნეს აპრილში.

ხიდი არაქსზე.

ცენტრმა ჯულფის გზაზე გაგზავნა კომისია მდ. არაქსზე ხიდის ასაგებად ადგილის გამოსაძებნად. კომისიამ აღნიშნა, რომ გზათა სამმართველოს მიერ გათვალისწინებული ადგილი ხიდის ასაგებათ ყველაზე უფრო ხელსაყრელია.

დროებითი მოძრაობა.

გზაზე უკვე სწარმოებს ლიანდაგის დაგება—220 ვერსის მანძილზე. გრძელდება კიდევ მისი დაგება.

ჯერ-ჯერობით დროებითი მოძრაობა სწარმოებს სადგ. ბაქმანლამდე და ახლო დღეებში განზრახულია მოძრაობის გახსნა სადგ. გორადიზამდე.

ხარჯთ-აღრიცხვა 1925—26 წლისათვის.

ჯულფის გზის სამმართველოს მიცემული აქვს წინადადება შეადგინოს ახალი ხარჯთ-აღრიცხვა 1925—26 წლისათვის, მაგრამ ეს ხარჯთ აღრიცხვა უკვე წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვასთან შედარებით უნდა იქნეს შემცირებული.

ბალნეოლოგიური სადგური თბილისში

საკითხი თბილისში ბალნეოლოგიური სადგურის შესახებ ახალი არ არის. სადგურის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ საკითხი ჯერ ნიკოლოზის დროს იყო აღძრული. მრავალი სპეციალისტი შესაძლებლად სცნობდა თბილისში ისეთი ბალნეოლოგიური სადგურის მოწყობას, რომელიც ჩვენს ქალაქს ერთს მნიშვნელოვან სამკურნალო ცენტრად გადააქცევდა. მაგრამ სადგურის მოწყობის საქმე კეთილ მოსაზრებას და სურვილებს არ გასცილებია.

ამ ჟამად ეს საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძრა და დღეს უკვე სწარმოებს მუშაობა სადგურის მოსაწყობად. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გოგირდის აბანოების მიდამოებში ამ მოკლე ხანში აგებულ უნდა იქნეს 5 დიდი შენობა.

თბილისის ბალნეოლოგიური სადგურის მთავარი დანიშნულება იქნება მინერალური ტალახით და გოგირდის წყალით მკურნალობა. გოგირდის წყლით თბილისის ბალნეოლოგიური სადგური სავსებით უზრუნველყოფილი იქნება, რადგან თბილისის აბანოების უხვი წყაროები ზედაპირზე ჰარბათ იძლევიან გოგირდის ცხელსა და თბილ წყლებს.

რაც შეეხება სამკურნალო ტალახს, იგი ბლომად მოიპოვება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. მთელს ამიერ-კავკასიაში სამკურნალო თვისებებით ყველაზე მეტად აღჭურვილ ტალახად ითვლება ახტალის ტალახის წყაროები სიღნაღის მაზრაში.

ამ უკანასკნელად ძვირფასი სამკურნალო ღირსებით დაჯილდოვებული ტალახი აღმოჩენილ იქნა აგრეთვე თბილისის მაზრაში—კუმისის ტბაზე. როგორც გამოცდილებამ და გამოკვლევამ დაამტკიცა, ახტალის და აგრეთვე თბილისის მაზრის მინერალური ტალახები უებარ საშუალებას წარმოადგენენ სახსრების რევმატიზმის, ნევრასტენიის, კანის და თმის და აგრეთვე ლიმფატიური ჯირკვლების სნეულებათა სამკურნალოდ. თბილისის ბალნეოლოგიური სადგურის პირველი ამოცანა იქნება შეისწავლოს ახტალა და სხვა ტალახების სამკურნალო თვისებები—ამავე დროს თბილისის ბალნეოლოგიური სადგური გახდება პრაქტიკულ სკოლად, რომელიც ჩვენს ქვეყანას მისცემს ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილ ექიმებს.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაადგინა გაუხსნას რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველი კვარტალის (ოქტომბერ-დეკემბერი) ანგარიშში კრედიტები სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად. სესხი, რომელიც უდრის—1.229.150 მანეთს, უნდა მოხმარდეს მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენას მეველეობას-მებოსტნეობას, მეაბრეშუმეობას, მერძევეობას, მესაქონლეობას, საჯიშე და მუშა საქონლის შეძენას და სხვას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი დადგენილების თანახმად მიიღებს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად გადადებული თანხებიდან 474.500 მანეთს. ამ თანხიდან მოკლე ვადიანი სესხი შეადგენს 382.500 მანეთს, ხოლო 92.000 მანეთი კი გრძელვადიანი სესხის, რომელიც უმთავრესად მოხმარდება მევენახეობის აღდგენას და სხვა უმაღლესი კულტურის გამჯობესებას.

აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის გადადებულია სულ 320.000 მანეთი. ამ თანხიდან მოკლე ვადიანი სესხის სახით გაცემული იქნება 255.000 მანეთი, დანარჩენი 65 ათასი მანეთი გაცემული იქნება გრძელვადიან სესხად.

სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკს ეძლევა გადადებული თანხიდან 277.400 მანეთი, ამ თანხიდან გრძელვადიან სესხად მიეცემა 91.500 მანეთი.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის გადადებულია 95.000 მანეთი. ამ თანხაში შედის გრძელვადიანი სესხიც, რომელიც 5 ათასს უდრის. ნახიჩევანის სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის გადადებულია 62.000 მანეთი.

განათლების ფრონტზე

სახალხო განათლება თბილისის მაზრაში.

(სტატ. განყოფილების ცნობებით).

ის ცნობები, რომელიც მოიპოვება თბილისის აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილებას, შეეხება სახალხო განათლების მდგომარეობას თბილისის მაზრაში სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ცნობები საკმაო სისწორით ახასიათებენ სახალხო განათლების მდგომარეობას თბილისის მაზრაში.

1922-23 სამოსწავლო წელში თბილისის მაზრაში იყო 100 სკოლა, ხოლო 1924-25 წელში კი 156 სკოლა. სკოლების რაოდენობა 156 პროცენტით გაიზარდა. სკოლების დიდი უმრავლესობა—146 წარმოადგენდენ ოთხწლიანი პირველდაწყებითი სასწავლებლებს, შვიდწლედების რიცხვი კი უდრიდა—9, ხოლო ცხრ. წლედი იყო მხოლოდ ერთი.

როგორც ცნობილია, თბილისის მაზრა დასახლებულია სხვადასხვა ეროვნებებით: ქართველებით, სომხებით, თათრებით, რუსებით, ბერძნებით, გერმანელებით და სხვა. ყოველ ეროვნებისათვის მოწყობილია სკოლები, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე სწარმოებს, ამავე დროს, როგორც საგანი ისწავლება ქართული და რუსული ენები.

სკოლების რიცხვის ზრდასთან ერთათ გადიდდა მოწაფეთა რიცხვი. 1922-23 სამოსწავლო წელში მოწაფეთა რიცხვი უდრიდა—6.622, ხოლო 1924-25 წელში კი 12.159. ე. ი. მოწაფეთა რაოდენობა გადიდებულია თითქმის ერთიორად. სოციალური მდგომარეობის მიხედვით მოწაფეთა უმრავლესობა მშრომელთა შვილები არიან, რომელნიც მოწაფეთა მთელი რაოდენობის 97,9 პროცენტს შეადგენენ. ხელოსანთა შვილები შეადგენენ მხოლოდ 1,5 პროც. დანარჩენი 0,6 პროცენტი არიან ვაჭრების შვილები. სასწავლებლების მოწაფეთა ეროვნული შემადგენლობა ასეთია: უმრავლესობა—51,1 პროცენტი არის ქართველობა, სომხები—17,5 პროც. ბერძნები—14,1 პროც. რუსები—6,9 პროც., გერმანელები—5,2 პროც. მაზრის ყოველ 1000 მოსახლეზე მოდის 90 მოწაფე.

ზაჰესის ენერგიის გამოყენება

ბოტანიკური ბაღის მოსარწყავად

უკანასკნელ წლებში თბილისის ზაჰესის ენერგიის საშუალებით ბოტანიკურ ბაღს შემოაკლდა მოსარწყავი წყალი. დღემდე ბოტანიკური ბაღი ირწყვებოდა და ირწყვება დაბ. ხანის პატარა რუს წყალით. მაგრამ კოჯრის რაიონის ტყეების დაუნდობელი გაჩეხვის გამო, დაბახანის პაწა მდინარე ვერ ღებულობს წყალის საკმაო მარაგს და ზაფხულობით სრულიად შრება, შრება იმ დროს, როცა სიცხეების გამო ბოტანიკური ბაღი განსაკუთრებით საჭიროებს წყალის დიდ რაოდენობას.

ზაჰესის საამშენებლო კომიტეტმა მიმართა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წინადადებით, რომ გამოიყენოს ზაჰესის გამავალი ენერგია ბოტანიკურ ბაღის მოსარწყავად და შეუდგეს საამისო სამზადისს.

მიწ.-მოქ. სახ. კ-ტმა დაავალა ინჟინერ-ჰიდრავლიკს ამხ. გეგეჭკორს საჩქაროდ დაამუშაოს მტკვრიდან ბოტანიკური ბაღისათვის ზაჰესის ენერგიის საშუალებით წყალის მიწოდების პროექტი. ამასთანავე ინჟ. გეგეჭკორს მიეცა საჭირო თანხა კვლევა-ძიების საწარმოებლად, ადგილების გადასაღებად ჰორიზონტალების დასადგმელად. წყალი გადაქაჩული იქნება ბოტანიკური ბაღის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც წინასწარ მოწყობილი იქნება დიდი ცენტრალური აუზი. აქედან წყალი მილების საშუალებით მოხმარდება ბაღის ქვედა ნაწილების მორწყვას, დანარჩენი წყალი გადაქაჩულ იქნება სამს დამხმარე აუზებში, რომელნიც მოეწყობა ბაღის სხვადასხვა ძალოჯებზე.

ამჟამად ბოტანიკური ბაღის მოედანი 60 დესეტინას უდრის, ხოლო ნავარაუდევია 120 დესეტინის მორწყვა, რადგან განზრახულია ბოტანიკურ ბაღს მოემატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრისაკენ მდებარე ადგილები, რომელზედაც გაშენებული იქნება მცენარეთა ახალი სანერგეები. გამოანგარიშებულია დაახლოვებით, რომ გაფართოვებულ ბოტანიკურ ბაღის მორწყვას მთელ პერიოდში დასჭირდება 24 მილიონი ვედრო წყალი.

ამ მოკლე ხანში დასრულებული იქნება კვლევა-ძიება და წინასწარი სამუშაოები. ბაღის მოსარწყავი მოწყობილობის დადგმა დაჯდება დაახლოებით 100 ათასი მანეთი.

ქრონიკა

ალმასკომში

— **შეღავათი.** უკანასკნელი ცნობით თბ. მაზრაში გლეხებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს შეღავათი მიეცათ 12.098 მან. რაოდენობით.

— **ტრამვაის დირექციამ** ტრამვაის მუშებისათვის ტყავტრესტს შეუკვეთა 500 წყვილი სპეც. ფეხსაცმელი.

— **სალიანდაგო ზოდები.** თბილისში მიღებული იქნება 34,000 ფ. [illegible] სალიანდაგო რკინეულობა.

მიწად.-მოქ. კომისარიატში

— **მეფუტკრეობისათვის.** მიწად-მოქ. კომისარიატი შეუდგა 400 ჩარჩოიანი სკის დამზადებას აჭარის გლეხებისათვის შეღავათიან ფასებში დასარიგებლად.

— **საბრეშუმო სადგური.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი მიმდინარე წელს ბათომში ხსნის სააბრეშუმო სადგურს.

— **თევზის ჭერის აკრძალვა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა აკრძალა თევზის ჭერა საგარეჯოს რაიონში სად. საგარეჯოდან მელაანამდე.

— **კონდოლის სანერგეს** წინადადება მიეცა გააძლიეროს ამერიკულ ვაზების დამზადება გაზაფხულისათვის.

ჯანსახკომში

— **სულით ავადმყოფთა დამხმარე საზ—ბა.** ჯანსახკომის თაოსნობით ბათომში არსდება სულით ავადმყოფთა დამხმარე საზ—ბა.

— **ფარმაცევტთა კურსები.** ჯანსახკომი 10 იანვარს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხსნის 4 თვიან კურსებს 60 კაცისათვის ფარმაცევტების მოსამზადებლათ.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

— **ტაბახმელის საშრატე სადგურმა** დეკემბრის განმავლობაში დაამზადა 1200 ლიტრი საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

— **საქონლის ჭირი** გაჩნდა გორის მაზრის ტეზერში და ლაბადხევში. აცრა სწარმოებს ადგილობრივი ძალებით.

— **ტაბახმელის საშრატე სადგურისათვის** 50 სული ხარის შესაძენად ქუთაისის მაზრაში გაგზავნა სპეციალური კომისია.

კრებები და მოხსენებები

— **ფარმაცევტიულ საზოგადოებაში.** კვირას, 10 იანვარს, დილის 10 საათზე (ევანგულოვის ქუჩა № 12 სახმედვაჭრობის ყოფილ დარბაზში) შესდგება ფარმაცევტული საზოგადოების კრება.

სხვადასხვა

— **ხრ. საქ. წითელი ჯვრის ყრილობა** გაიხსნება თბილისში 31 იანვარს.

— **მონადირეთა კავშირთან** დაარსდა საგანგებო სექცია, რომლის მიზანია მოსპოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მტაცებელი ნადირი.

— **საზამთრო აგარაკებზე.** სოც. დაზღვევის სამმართველომ 5 იანვარს სოხუმში გაგზავნა დაზღვეულ ავადმყოფთა მეორე წყება, რიცხვით 40 კაცი.

შემთხვევები

— **ცეცხლი.** 7 იანვარს, თეატრის შესახ. № 4 ნორჩ პიონერთა ბიუროს ბინას გაუჩნდა ცეცხლი. ზარალი უდრის 600 მანეთს.

— **ფანჯრის მინის გატეხის საშუალებით** 7 იან., საბჭოს ქ. № 43, გაქურდეს ბებურიშვილის ღვინის სარდაფი.

— **ქურდობა.** 7 იან., იზმაილოვის ქ. № 22, გაქურდეს თამარ ბარნაბის ასული ღლონტის ბინა.

— ამავე დღეს, თამარის ქ. № 39, გაქურდეს ტიმოთე ივანოვის ბინა.

— ამავე დღეს მე-12 სამილიციო უბანში გაქურდეს მგალობლიშვილის სასადილო.

მუშათა ცხოვრება

გენერალ ტოლმაჩევის ცოლი მშრომელის ქურქში

(პროკურატურის და ალმასკომის საყურადღებოდ)

ტერ-გუკასოვის ქუჩაზე სახ. № 1-ში სცხოვრობს გენერალ ტოლმაჩევის ქვრივი, რომელსაც უკავია 170 კვ. არშინი ბინა.

მიუხედავათ იმისა, რომ მის შესახებ საქმე, თითქმის ერთი წელიწადია, სწარმოებს სასამართლოში, მაინც არ იქნა და არა, ეს პირვეული დედაკაცი ვერ გამოიყვანეს ბინიდან (ის ამ სახლის ყოფილი პატრონია) და ქირას არ იხდის.

როდესაც მისი საქმე ირჩეოდა სასამართლოში,—მის მაგივრად წამოსკუპდა მისი ცხლანდელი ქმარი ი. გუნცაძე, რომლის დასაცავად დამცველთა კოლეგიამ გაგზავნა მოქ. ტ-ძე: „დაიცავი შენი კოლეგა და საზოგადო მოღვაწეო“. გუნცაძე არც ღარიბია და არც სასამართლოს დაუნიშნავს მისთვის დამცველი; ან რად სჭიროდა გუნცაძეს დაცვა, როდესაც მას არავინ ედავებოდა.

გენერალ ტოლმაჩევის ცოლი კი საბჭოთა კანონებს აფარებს თავს:—მშრომელი ვარ, დამიცავითო—ეს იმ დროს, როდესაც ის პროფკავშირის წევრი არაა. მის ოჯახს—3 სულს უჭირავს 170 კვ. არშინი, ქალაქში კი მწვავე ბინის კრიზისია. ტოლმაჩევა კი „მშრომელის“ სახელით და არსებულ საბინაო კანონის მოხერხებულად გვერდის ავლით დაფარფაშობს 170 კვ. არშ. ბინაში.

მუშკორი გ—ძე.

მადლობა ასეთ დახმარებისთვის

მოულოდნელად გარდაიცვალა 26 დეკემბერს 1925 წ. შიო ივანეს ძე გუგენიძე სახელმწიფო ოპერის ადგილკომის თავჯდომარე, რის გამო თავზარდაცემული ჩვენი ოჯახი უწყეო მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ სახელმწიფო ოპერის მუშებმა, მამაჩემის საუკეთესო მეგობრებმა, დასდევს თავი და ღირსეული დახმარება გაგვიწიეს.

ჩვენი ოჯახი გულითად მადლობას უძღვნის თეატრის მუშა-მოსამსახურეთ და ხელოვნების კავშირის ცენტრალურ გამგეობას, საოპერო თეატრის ადგილკომს, სახელმწიფო აკადემიურ ოპერის ადმინისტრაციას რა აკადემიურ თეატრების მართველობას და სხ., რომ უყურადღებოდ არ დასტოვეს ობოლი ოჯახი და ნაღვლიანი სახეებით მიაცილეს მამაჩემი საფლავის კარამდე.

შვილი.

მუშათა ცენტრ. კლუბში

2 იანვარს, მუშათა ცენტრალურ კლუბში გემოკვეცის კავშირის მიერ გაიმართა 1905 წლის რევოლიუციის მოგონების საღამო, საღამოში მონაწილეობას იღებდენ უმთავრესად თუთუნის ქარხნის მუშები ყველანი ძველი რევოლიუციონერები, საღამო-მიტინგი გახსნა, კავშირის წარმომადგენელმა ამხ. ავანოვმა, პირველი სიტყვა დაეთმო ძველ რევოლიუციონერ ქალს მარია ფეოდოროვას.

მეორე მოხსენება გააკეთა თვით ამხ. ავანოვმა. მან ნათლად და გასაგებად დაასურათა ბაქოში მომხდარი 1905 წლის უბრალო ხალხის ჟლეტა და გამხეცებული მოქმედება მთავრობისა პოლიტიკური პატიმრების მიმართ

მესამე სიტყვა დაეთმო უპარტიო ქალს ამხ. ტოსია ბაქრაძეს. მან მოკლედ, გადასცა მუშებს 1905 წლის პროფმოძრაობის მდგომარეობა და მასთან ერთად აღნიშნა მათი სახელები, რომელნიც მას გვერდით უხდენ და როგორც 1905-ში და შემდეგაც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ მასთან მუშაობაში.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევათ თუთუნის ქარხნის მუშებს, გრიგორ მიკირტუმოვს და გიგო აკოფოვს პირველმა სომხურ ენაზე გააცნო თავისი მოგონება და მეორემ ქართულად. ორივე მუშა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

მოგონებების შემდეგ დაიდგა რუსულ ენაზე წარმოდგენა, მაგრამ რამდენადაც პიესა შინაარსიანი იყო, იმდენად შემსრულებლები ცივნი აღმოჩნდენ, ალბათ იმიტომ, რომ ც. მ. კ. დარბაზი საყინულეს წარმოადგენდა და არა თეატრს. ეს, კლუბის გამგეობას არ ეპატიება რადგანაც ამითი მაყურებლებს არ აძლევენ საშუალებას ბოლომდის დარჩენ შიგ და გასათბობად ქუჩაში გარბიან.

დასასრულ მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო ჩვენ თავაშვებულ ახალგაზრდობას, რომელნიც არ ერიდებიან არაფერს და წარმოდგენის დასაწყისიდან დასასრულამდის უწესობას ახდენენ. ისინი ანგარიშს არ უწევენ არც გამგეობის თხოვნას და არც თავიანთ ზნეობრივ მოვალეობას, რის გამოც ხალხი იძულებული ხდება ჩქარა განშორდეს—საღამო-წარმოდგენებს. ცხადია, რომ ერთხელ დამფრთხალ საზოგადოებას ქუდი რომ შეუგდონ კლუბში გამოსატანად აღარ შევლენ შიგა.

აქაც გამგეობის მოვალეობას შეადგენს, რომ ასეთ დეფექტებს სათანადო ყურადღება მიაქციოს და მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ თავხედ ახალგაზრდების წინააღმდეგ.

მუშკორი ამბალი.

მცირე შენიშვნები

თამბაქოს წევა ტრამვაის ვაგონებში უნდა აიკრძალოს

ერთი ცუდი ზნე სჭირთ ჩვენ მოქალაქეთ: ტრამვაის ვაგონით მოგზაურობის დროს უეჭველად უნდა სწიონ თამბაქო.

საჯდომები სავსეა მგზავრებით, თამბაქოს მოყვარული ამოიღებს პაპიროსს, მოუკიდებს და მოყვება ბოლებს. უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ ცხვირ-პირში უბოლებენ. კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია დასადგომებზე მყოფი მგზავრები იქ ხანდახან მოხვრაც არ შეიძლება ისეა სავსე; გახედავ ვინმე დაიწყებს ხვანხვალს, დიდის გაჭირვებით ამოიღებს თამბაქოს, აბოლებს [illegible] მეზობლებს და სახეზე აყრის ნაპერწკლებს.

ტრამვაის ვაგონებში მოგზაურობის დროს თამბაქოს წევის გამო აქ ადვილია ცეცხლის გაჩენა, როგორც მგზავრების ტანსაცმელზე, ისე თვით ვაგონისათვის.

უეჭველია, საჭიროა აქ ტრამვაის ადმინისტრაციის ჩარევა.

პი—გ—რი.

თბილისის აბანოები

თბილისში არსებობს გოგირდის აბანოები. ეს დიდი განძია ჩვენი ქვეყნისათვის: ევროპის რომელიმე სახელმწიფოს, რომ ეს სიმდიდრე ჰქონდეს, მას ბევრად უკეთესად გამოიყენებდა. ჩვენც შეუდექით მის გამშვენიერებას. მხოლოდ მე ამაზე არა მსურს ამ ჟამად ლაპარაკი. ეს შეეხება აბანოთი სარგებლობას. თვითეულმა მოქალაქემ ერთხელ მაინც უნდა მიიღოს აბანო. ამ მხრივ ჩვენი აბანოები ვერ გვაკმაყოფილებენ. ნომერი ძვირია. ღარიბი კაცი საერთოში წავა თავისთავად ცხადია. მაგრამ იქ მეორე უბედურება გადაეღობება: ესაა და საერთოაო, ყიდიან ბილეთებს რამდენიც კი არ უნდა მოვიდეს მუშტარი. დაბოლოს საერთო ნომერი იმდენად გამოივსება, რომ იქ ბანაობა კი არა, სულის ამოთქმაც შეუძლებელია.

მეორე ნაკლი: ჩვენ ვიცით რომ მობანავე პირი შეიძლება ავად იყოს კანის ან ვენერიული სნეულებით. ამის გაშინჯვა ეს ჭიროება. გამსინჯავი კი არავინ არის.

პ—ერი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **დაეხმარეთ ამ მუშას.** კახეთის რკინისგზის ხაზზე მომუშავე ამხ. ბერიაშვილი მოჰყვა შტატის შემცირებას და დარჩა უმუშევრად. ის არის თავის წვრილ-ცოლშვილიანი ოჯახის ერთად-ერთი მარჩენალი და სრულიად უსახსროდ დარჩა თვითონაც თავისი ცოლშვილითურთ. ამხ. ბერიაშვილი კი ენერგიული და კეთილსინდისიერი მუშაკია.

სამართლიანი იქნებოდა, რომ მას რაიმე სამუშაოს მისცემდეს რკინისგზის სამმართველო.

მუშკორი გ—ძე.

— **მოაწესრიგეთ ეს საკითხი.** სად. საჯევახოში თავს იყრის ყოველთვის დიდძალი მშრომელი ხალხი (მგზავრები) რკინისგზის ბილეთების შესაძენად. აქ ყოველთვის დაინახავთ მგზავრების დაუსრულებელ რიგებს. ხალხს ალოდინებენ 2—3 საათის განმავლობაში და შემდეგ გამოუცხადებენ, რომ ბილეთებს არ ჰყიდიან.

ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს მგზავრებში.

საჭიროა აქაც წესრიგის დამყარება.

ნცოდნე.

— **სადგურის დარბაზია, თუ ბარგის საწყობი.** სად. ნიგოითი ემსახურება სამხრეთ-გურიის რამოდენიმე თემს და სამეგრელოსაც. სადგურის დარბაზში შესვლა შეუძლებელია, რადგან იქ აწყვია აუარებელი დაკლული ღორები და სხვადასხვა დიდფეხსაქონელი—და ავეჯეულობიც. სადგურს ფეხსადგილები გაფუჭებული აქვს და მომწამლავი ჰაერი სდგას.

საჭიროა ეს დეფექტები გამოასწორონ.

კანფარი.

— **ამ სადგურზე კულტურული მუშაობა სრულიად არ წარმოებს.** ყველა სადგურებზე ასე თუ ისე სწარმოებს კულტმუშაობა: არის მოწყობილი კლუბები, სამკითხველოები, წითელი კუთხეები, გამოწერილი აქვთ ჟურნალ-გაზეთები. თავის სადგურის მუშები ჩაბმული არიან კულტმუშაობაში და სხ. და სხ. სადგური ნატანები კი ყველაფერ ამის სრულებით მოკლებულია.

საჭიროა ამ სადგურსაც ამ მხრივ მიექცეს სათანადო ყურადღება.

ახკორი ხკანდარელი.

შიო არაგვისპირელის გარდაცვალების გამო

შიო არაგვისპირელის დაკრძალვა მოხდება ხვალ, და ნაცვლად მთაწმინდისა, როგორც ეს გამოცხადებული გვქონდა, მხცოვანი მწერლის ნეშტი დაკრძალული იქნება მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში—დიდუბეში.

ამჟამად ცხედარი ასვენია ქაშვეთის ტაძარში. ცხედარი ხელოვანთა სასახლეში გადასვენებული იქნება დღეს საღამოს 6 საათზე.

დამკრძალავ კომიტეტს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსდის დიდძალი სამგლოვიარო დეპეშები.

შიო არაგვისპირელის დასაკრძალავი ხარჯები იკისრა განათლების კომისარიატმა და სახ. კომისართა საბჭომ.

ხელოვნება

ვიქტორინა კრიგერის უკანასკნელი გასტროლი

სახელმწიფო ოპერის საბალეტო დასს დროის უქონლობის და მორიგ ოპერებში მონაწილეობის გამო საშუალება არ ჰქონდა დაედგა საგასტროლოდ ჩამოსული პრიმა ბალერინა კრიგერის გამოსვლისათვის ახალი საბალეტო წარმოდგენები და ამიტომ ნიჭიერ მსახიობის გამოსათხოვარ გასტროლისათვის დაიდგა შერეული წარმოდგენა. განმეორებულ იქნა ბალეტი „კოპელია“, დადგმული იყო მესამე აქტის ნაწილი ოპერიდან „თავადი იგორი“, ცენტრალური ადგილი იყო ამ აქტის ფინალი „პოლოვეცთა ბანაკი“. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი საუკეთესო საბალეტო დადგმაა ბალეტმეისტერ სერგეევის რეპერტუარში. ბალეტი დადგმული იყო ისევე მხატვრულად, ისევე საუცხოვოდ, როგორც ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს საზოგადოებაში იწვევდა კრიგერის მონაწილეობა ამ განყოფილებაში.

ტყვე ქალის (ჩაგის) ცეკვას კრიგერი ასრულებს განსაკუთრებული ტემპერამენტით. ის ქარივით დაჰქრის სცენაზე, ცეკვავს განსაკუთრებული ტეხნიკით, მსახიობი ქალი იჩენს განსაცვიფრებელ პლასტიკას და მრავალფეროვან მიმიკას. კრიგერი ამ ცეკვას ასრულებს ლენინგრადის სახელმწიფო ბალეტის ბალეტმეისტერ მიხეილ ფოკინის დადგმის მიხედვით. ფოკინმა ბალეტის „პოლოვეცთა ბანაკის“ მხატვრული დადგმით შექმნა ახალი ეპოქა ლენინგრადის ბალეტის ისტორიაში.

მსახიობმა პირდაპირ მოაჯადოვა აუდიტორია, რომელიც მას აჯილდოვებდა ხანგრძლივი ტაშით.

სახელმწიფო ბალეტის მსახიობები აქაც ავსებდენ ბალეტის საერთო მხატვრულ სურათს. კრიგერის კავალერი იყო მოცეკვავე გორსკი. გორსკის მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, რომ შექმნა კრიგერის შესაფერი სურათი ყოველ შემთხვევაში საგრძნობი დეფექტები გორსკის არ ჰქონია. კომიკურია ბარხუდაროვი (საჭურისი), პლასტიურია თამარ ჭაბუკიანი, საუცხოოა იოსოვა, კარგად ცეკვავენ ჩიკვაიძე და ჭყონია.

წარმოდგენა დასრულდა ხორეოგრაფიული ეტიუდებით. გორსკიმ და ეჯუბოვამ შეასრულეს სკრიაბინის ეტიუდი. მაგრამ სანამ შესრულებაზე ხერიოხული ს მეთანიური რეპერტუარის მუსიკას—ჯერ უნდა გაეცნო მის შინაარს, და სწორედ ეს შინაარსი აკლდა გორსკის და ეჯუბოვის ცეკვას. აქ საჭიროა მეტი პლასტიკა და მრავალფეროვანი მიმიკა. კრიგერმა პირდაპირ ფურორი მოახდინა ყაბარდო-ლეკურის შესრულებით მხატვრულად ასრულებს კრიგერი ებრაულ ცეკვას.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **მცირე წითელ თეატრში** დღეს სანიტგანათლების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება წითელარმიელთათვის პიესა „მეძაობის მსხვერპლი“.

— **მბეჭდავთა კლუბში** ხვალ პროფკავშირის წევრებისთვის უფასოთ გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „9 იანვარი“.

— **სანდრო ინაშვილი** გაიწვიეს მოსკოვს საგასტროლოდ.

— **წითელი არმიისა და ფლოტის კლუბში** დღეს ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ძველი დროის ბიუროკრატები“.

— **ახალი ალმანახი.** ბათომში ახლო ხანში გამოვა სამხატვრო-სალიტერატურო ალმანახი „აჭარისტანი“.

— **„ჰამლეტი“.** დღეს რუსთაველის თეატრში პირველი შემადგენლობით წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“.

— **ოპერის** თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ტრილბი“.

— **ქართული რომანსები.** ამ დღეებში გამოვა ია კარგარეთელის რომანსები: „შენ რაღას ფიქრობ“ და „თეთრი ვარდი“.

— **კ. გამსახურდიას საღამო** ახლო ხანში გაიმართება კონსტანტინე გამსახურდიას დიდი სალიტერატურო საღამო.

— **„ფუენტე ოვეხუნა“.** კვირას რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მეორედ ამ სეზონში „ცხვრის წყარო“. ლაურენსიას როლს შეასრულებს ხათუნა ჰიჰინაძე.

— **ს. ესენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.** 11 იანვარს ხელოვანთა სასახლეში ქართველი ფუტურისტები მართავენ ს. ესენინის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს.

— **„ჰაიარტუნის“** მუსიკალურ სტუდიაში დაიწყო მოწაფეების მიღება.

დღეს კინოებში

— აპოლო —„უკანა კარებიდან“.

— პალასი —„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“ მე-5 და 6 სერია.

— გლობუსი —„ბაღდადელი ქურდი“.

— სოლეი —„ორი პრეტენდენტი“.

— არფასტო —იგივე.

— მინიონ —„ოლივერის მხეცი“.

საბჭოთა სასამართლო

შურისძიება

საღამო იყო.

ახალ დაქორწინებული შლეპკინები ერთმანეთს ტკბილად ესაუბრებოდნენ, ერთმანეთის ბედნიერებას იზიარებდენ და სიყვარულის ცეცხლში გახვეულნი ალერსს მისცემოდენ თავდავიწყებით.

მაგრამ... უეცრად კარებში შემოიჭრა აღელვებული ქალი, რომელიც გაეშურა ნაზარ შლეპკინისაკენ და მგზნობიარე ხმით მიმართა მას:

— სადა ხარ ჩემო საყვარელო მეუღლევ!—მე უშენოდ საშინლად მოწყენილი ვარ. რატომ არ გბრალები?

— უკაცრავად, გაბედა ნაზარმა— თქვენ სცდებით, მე თქვენი მეუღლე როდი ვარ!

— აა! მაშ ასე! ეხლა უკვე სხვა გაიჩინე? განანებ თუ ქალი ვყოფილვარ!

ქალმა მაგრად გაიხურა კარი და ჩქარის ნაბიჯით გავიდა ქუჩაში.

შურის საძიებლად შლეპკინის ყოფილი სატრფო ირინე კურბატოვას ასული ეძებდა იარაღს. იარაღი უნდა ყოფილიყო უტყუარი.

ირინეს არჩევანი მიდგა პატარა შუშა გოგირდის სიმჟავეზე. ამ უტყუარი იარაღით შეიარაღებული ირინე ყოველ დილაობით აიარ ჩამოიარდა შლეპკინების ეზოსთან, სადაც მას ეგულებოდა თავისი მეტოქე.

ფედოსია—ნაზარ შლეპკინის მეუღლე—ერთ დღეს ბრუნდებოდა ბაზრიდან სანოვაგით სავსე კალათით ხელში. უეცრად მას წინ გადაუდგა ირინე, რომელსაც უკვე ხელში მომარჯვებული ჰქონდა თავისი „იარაღი“.

ფედოსი მიხვდა რაშიც იყო საქმე. მიაგდო კალათი და მოწინააღმდეგეს „გმირულად“ უჩვენა ზურგი.

სიმჟავე ფედოსის მაინც გადაესხა, მხოლოდ არა სახეზე.

მოწინააღმდეგემ, რომელიც დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში, დასტოვა „ბრძოლის ველზე“ დამტვრეული შუშა და გაიქცა.

ფედოსის შიშისაგან ფერი დაეკარგა. მან იმ წამსვე ამოიღო სარკე, ჩაიხედა, სახე უვნებელი იყო, „გაიღიმა და გაუდგა გზას, როგორც „გამარჯვებული“.

სასამართლომ ირინე კურბატოვას ასულს მიუსაჯა პირობითი დაპატიმრება ორი წლის ვადით.

მფრინავი მანუფაქტურა

—ამხანაგო მოსამართლევ! ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ განათლებული ქალი. გესაჭიროებათ კარგად ჩაცმა-დახურვა, მაგრამ ამავე დროს არ გაგაჩნიათ უბრალო „ფილდიკოსის ჩულქიც“ და საერთოდ განიცდით ტანისამოსის საჭიროებას. გეკითხებით, როგორ იგრძნობდით თავს? ხომ არ მოიპარავთ, როგორც განათლებული ქალი? (ყველაფერი ეს წარმოიდგინეთ). მე, რასაკვირველია, რომ არ მომიპარავს ეს ხომ ეჭვს გარეშეა. მე ვხედავდი, რომ საიდანღაც, (ეს არ ვიცოდი, რასაკვირველია, თუ საიდან) ძირს მოფრინავდა მანუფაქტურა. მე სრულებითაც არ მაინტერესებს, საიდან მოფრინავს ის ან რა მიზეზის გამო. მე სწორედ მანუფაქტურაზე ვოცნებობ. მე რა ვიცი, რომ დიმიტრენკოს ცეცხლი გაუჩნდა და თავის საქონელს ეზოში ჰყრის? მე ვიცი მხოლოდ, რომ მანუფაქტურა მოფრინავს. მეც ხელს ვტაცებ, გულში ჩავიკრავ და მიმაქვს. ის პირდაპირ ჩემსკენ მოფრინავდა, სწორედ ისე, როგორც სიზმარშიც ხშირად მზმანებია. მე მასკენ კი არ ვიწევი, ის მოიწევს ჩემსკენ. და აი ამისათვის მე ვარ დამნაშავე? განა ამისათვის შეიძლება განათლებულ ქალს ჩიოქი მოსცხოთ? აბა კარგად ჩაუკვირდით!

სასამართლომ „განათლებულ ქალს“ სოლოლაშვილს მიუსაჯა ორი წლის ციხე.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

ბაქო თბილისი.

6 იანვარს, ლენინის სახელობის სტადიონზე, გაიმართა ბაქოს ფეხბურთელთა გუნდის—„დინამოს“ და თბილისის „დინამო“-ს შეჯიბრება.

ბაქოს „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია აზერბეიჯანში, გუნდი ძლიერია როგორც ინდივიდუალური შემადგენლობით, ისე მოთამაშეთა ერთმანეთთან შეწყობით და თამაშის კოლექტიური ტეხნიკით.

თბილისის გუნდის დამცველთა და ნახევრათ დამცველთა შემადგენლობა საკმაოთ ძლიერია, მაგრამ საგრძნობლად მოისუსტებს თავდამსხმელთა შემადგენლობა, რითაც უნდა აიხსნას უმთავრესად თბილისის „დინამოს“ დამარცხება.

შეჯიბრება გათავდა 1:0 ბაქოს სასარგებლოდ.

„ქავთარაძე“—„დინამო“.

კვირას, დილის 12 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე, გაიმართება ვ. ქავთარაძის სახელობის გუნდის და „დინამო“-ს ამხანაგური შეჯიბრება.

„დინამო“-ში შედიან შემდეგი მოთამაშეები: ცომაია, ფოჩხუა, ტადეევი, გონელი, ბლანკმანი, ქუთათელაძე. ცომაია ვლ., ჟორდანია, გალპერინი, გალდობინი და ისლენტიევი.

ვ. ქავთარაძის სახელობის გუნდში: პაპკოვი, გასნევსკი, თაყაიშვილი, იმნაძე, ფრუიძე, ხევსურიანი, ქებაძე, ვაჩნაძე, გუნია, ბასიშვილი და ფალავანდიშვილი.

სოფელი

სიბნელიდან სინათლისკენ

(ს. უდე, ახალც. მ.).

აქაური გლეხობა ცხოვრობს მიწაში აშენებულ სახლებში. ამის მიზეზათ ასახელებენ სიცივეებს და ხე-ტყის მასალის სიძვირეს. ტყეზე მისავალი გზა ძალიან ცუდია. მეორე მიზეზათ სახლების მიწაში აგებისა გლეხობა ასახელებს მუდმივ ომიანობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა მთავრობების დროს. ეხლა „მადლობა ღმერთს“, ამ დალოცვილმა კომუნისტებმა მშვიდობიანობა ჩამოაგდო და ჩვენც საშუალება გვაქვს მიწიდან ამოვიდეთ, მით უმეტეს, რომ ხე-ტყის მასალაც ახლა ადვილი საშოვარია“-ო, აცხადებს კმაყოფილებით გლეხი.

მეურნეობის უმთავრესი დარგები არის მეპურეობა (ითესება პური და სიმინდი) და მეხილეობა. კარტოფილის მოყვანაც საკმაოდ გავრცელებულია და იაფადაც ფასობს. მეხილეობა უმთავრესი დარგთაგანია ამ რაიონში. რაც შეეხება მესაქონლეობას, სამრეწველო მიზნით აქ საქონელს არ აშენებენ. ჰყავთ მხოლოდ ოჯახისათვის აუცილებელი პირუტყვები. საქონლის ნეხვს განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება აქ გლეხობა. ზამთრის განმავლობაში აგროვებენ მას და გაზაფხულზე გააქვთ მინდვრებ და ბოსტნებში. ნეხვის დამზადების საქმე ვერ სდგას სასურველ დონეზე, შიგ ურევია ჩალა, ბზე და სხვა.

გზის უქონლობის გამო ნეხვს სახლებთანვე აგროვებენ, რაც სისუფთავის დაცვას ხელს უშლის.

მასწავლებლობა ამ თემში დიდ კულტურულ მუშაობას ეწევა. დაარსებულია მოზრდილ გლეხთათვის წრე, სადაც იმართება საუბარი აგრონომიული და პოლიტიკური გათვითცნობიერების მიზნით. მასწავლებლობა გვერდში უდგას სამკითხველოს გამგეს. შემოღებულია სამკითხველოში მასწავლებელთა მორიგეობა, სადაც უკითხავენ გლეხობას გაზეთებს და აწარმოებენ საუბარს სხვადასხვა საკითხებზე.

ამ სოფელში არის აგრეთვე კოოპერატივი. კოოპერატივმა, როგორც სჩანს, უკვე დაიმსახურა გლეხებში სიმპატია. გლეხობა თავის საჭირო საგნებს კოოპერატივში იძენს მიუხედავათ იმისა, რომ არის კერძო სავაჭროებიც. ასე რომ, ადრე ამ კერძო ვაჭრებს მოუწევს გუდა ნაბადის აკვრა. უდეში შენდება სკოლისათვის ახალი შენობა, რომლის კედლებიც უკვე აყვანილია. მოელიან გაზაფხულზე მის დასრულებას.

გლეხებში მაგრათა აქვს კიდევ გადგმული ფესვები სარწმუნოებრივ ფანატიზმს. ეს განსაკუთრებით შავნებულია ჩვენს თემში, სადაც არის როგორც ქრისტიანი, აგრეთვე მაჰმადიანი მცხოვრებნი. ადგილობრივი კულტურული ძალები დიდი სიფრთხილით და ენერგიით ებრძვიან ამ სენს.

იბერი.

ჩარჩი ტატიევი

(გორის მაზ.)

სტეპკო ტატიევს გორის მაზრის მებაღე და მებოსტნე გლეხები კარგათ იცნობენ. ვინ იცის მისი მოქმედებით რამდენი ზარალი აქვს მიყენებული გლეხის მეურნეობას“.

იგი ყიდულობს ხილს, ბოსტნეულობას და მათ პატრონებს მთელი წლის განმავლობაში გორში ატარებს და თავს აბეზრებს.

წასულ წელს მან გლეხები სასტიკად მოატყუა. ფულით თავის დროზე არ დაურიგა მათ, ხელისუფლება კი ყოველ დღე სამეურნეო გადასახადის შემოტანას სთხოვდა გლეხს. ტატიევმა ასეთ კომბინაციას მიმართა: ჩამოართვა გლეხებს საგადასახადო ფურცლები და შეჰპირდა მათ, რომ იგი მიიღებდა გადასახადს და მერე დაუქერდა გლეხებს კუთვნილ თანხიდან. დრო გადიოდა, გადასახადს ყოველდღიურათ საურავი ერიცხებოდა და ტატიევს კი გლეხებისაგან წამოღებული საგადასახადო ფურცლები პორთფელში ეწყო.

ეს ამბავი შემდეგ გაიგო მაზრის ხელისუფლებამ და აიძულა ის გადასახადი შეეტანა.

მან გადასახადი ძლივ-ძლივობით ჩააბარა. ამკრეფმა ორგანოებმა ტატიევს დაგვიანებისათვის კანონიერი საურავიც დაარიცხა, რომელიც ბოლოს მოქ. ტატიევმა თავის მოვალეებს უანგარიშა.

რა შუაში ან რა დამნაშავე იყო აქ გლეხები?

ასეთი მდგომარეობით წელსაც დაშინებული იყო გლეხობა, მაგრამ მან პირველ ხანებში პირი გამოიკეთა სოფელთან. ახლა კი რომელ ჩამოსულ გლეხს ნახავ ქ. გორში, რომ არ სტიროდეს თავის ოფლით მოყვანილ ჭირნახულზე, რომელიც ტატიევმა ნისიათ შეისყიდა.

თემის ალმასკომი რომ მიდის სოფლათ გადასახადის აკრეფის კომპანიის ჩატარებისათვის, გლეხები ტატიევზე მიუთითებენ და ასე ამბობენ: „ჩვენი წლის სარჩოს საყიდელი, გადასახადის გასასტუმრებელიც ტანზე და ფეხზე შემოსის საშუალება მას აქვსო“.

ვინ მოუღებს მის ასეთ თარეშს ბოლოს?

სიკო.

სამეგრელოს ლამპარი აბჰესი

(ახალ-სენაკი)

საქართველოს საგეგმო კომისიის დადგენილების თანახმად ჩამოვიდა კომისია ინჟინერ პეტნაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა გამოერკვია აბაშის ჰიდროელსადგურის მდგომარეობა და მისი დასამთავრებელი თანხის რაოდენობა.

კომისიამ გამოარკვია, რომ ხარჯები დიდათ გადამეტებულია ხარჯთაღრიცხვას. ხარჯების გადამეტება გამოწვეულია იმით, რომ თანხა, განსაზღვრული იყო ხარჯთაღრიცხვით, თავის დროზე არ მოსდიოდა სამშენებლო კომიტეტს, რის გამო მუშაობა ჩერდებოდა და შტატი კი უნდა შეენახათ. ხარჯების გადამეტება უდრის 164,855 მან. ამას მიემატება ელექტრომოწყობილობის გაჭირების საფასური სულ 131.333 მან., რაც ერთად შეადგენს 296.188 მ.

კომისიამ განიხილა სადგურის ექსპლოატაციის საკითხი და მიზანშეწონილად სცნო პირდაპირი ხაზის გაყვანა სადგურიდან ქ. ფოთამდის. ამნაირად სადგურს შეუძლია ემსახუროს სენაკის მაზრას, ხონის და სამტრედიის რაიონებს და ქ ფოთს. აბაშის ჰიდროელსადგურის ენერგიით ამუშავდება ქარხნები და ფოთის ელევატორი.

პირველ რიგში, საგეგმო კომისიის დადგენილებით, გაყვანილ იქნება გადამცემი ხაზი—სენაკი-ფოთის პირდაპირი მიმართულებით.

ამ ნიადაგზე ფოთისა და ახალ-სენაკის ალმასკომებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ორივენი თანასწორ უფლებებით სწევენ როგორც საჭირო ხარჯებს, ისე მის ექსპლოატაციას. სულ დასამთავრებლად საჭიროა 1,117,400 მ.

ამნაირად „აბჰესი“—ეს სამეგრელოს ლამპარი, უეჭველად აშენდება.

ი. ფრანგიშვილი.

წერილებიდან

ბორჯომი.

არჩევნების მოლოდინში. თითქმის ყველა თემებში და დაწესებულება-ქარხნებში ჩატარებულია მოხსენებები საბჭოთა მომავალ არჩევნების შესახებ. თემალმასკომებთან დაარსებულია არჩევნების მომწყობი და ჩამტარებელი კომისიები. ყველაფრიდან სჩანს, რომ მომავალი არჩევნები ძირინდელზე უფრო ცოცხალი და მასიური იქნება.

შ. მახურაძე.

ს. ლია (ზუგდ. მ.)

ჟურნალ-გაზეთებს გვიგვიანებენ. მთელ მაზრაში დაარსებულია ბევრი ქოხ-სამკითხველოები. გლეხები ფართოთ სარგებლობენ ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით. სანიმუშო სამკითხველოების გამგეებს დანიშნული აქვთ ჯამაგირები, მაგრამ უბედურება ისაა, რომ გამგეებს ჯამაგირებს უგვიანებენ. ეს მეტად აფერხებს საქმეს.

განმუშაკი.

ლანჩხუთი.

ულრმესი მადლობა. ჯურის უბნის სკოლის სააღმშენებლო კომისია მთელი უბნის მშრომელთა სახელით ულრმეს მადლობას უცხადებს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძეს და ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე მიხა ცხაკაიას, რომლებმაც შემოსწირეს ზემოხსენებულ სკოლას ორას-ორასი მანეთი.

სააღმშენებლო კომისია.

დიდი-ჭყონი (სენ. მ.)

ჯებირით ხიდი იღუპება. დიდი-ჭყონის და ლეხინოს თემის შორის ჩაივლის მდინარე ტეხური, რომელზედაც გაკეთებულია ჯაჭვის ხიდი. ამ ხიდით სარგებლობს მთელი მაზრა. დღეს ტეხურის ხიდი დაზიანებულია. ფიცრები აყრილია და ბევრგან ჯაჭვიც გაწყვეტილია. ხიდით სარგებლობა სახიფათოა. ორივე მეზობლათ მდებარე თემები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხიდის შეკეთებაში. საჭიროა ამ საქმეში მაზრის ჩარევა.

მგზავრი.

სოფლის ქრონიკა

— **წერა-კითხვის შესწავლა.** ქედის მაზრაში ამჟამად არსებობს 22 წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, მათ შორის 6 ქალებისათვის, სადაც ირიცხება 102 ქალი.

— **კედლის გაზეთი.** ქედის მაზრაში გლეხების უშუალო მონაწილეობით გამოდის კედლის გაზეთი „ფუძარის ხმა“.

— **სესხი გლეხებს.** ხულოს მაზრის საკრედიტო ამხ-ბა შეუდგა გლეხობაზე მოკლე ვადიან სესხის გაცემას.

— **ხილნალის** სამ. განათლების განყოფილებამ მაზრის სკოლების საჭიროებისათვის დაამზადა 200 ცალი პარტები.

— **გლეხკომების** თავმჯდომარეების თათბირი სიღნაღში გაიხსნება 10 იანვარს.

— **მისაბაძი მაგალითი.** დვ აბზუს გლეხობა საკუთარი საშუალებით და ღონისძიებებით ამჟამად აგებს სკოლისათვის დიდ შენობას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 60

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამათანავე დართული დებულება პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტისა.

2. კომიტეტის ფუნქციების განხორციელებისათვის კომიტეტის თავმჯდომარეს დაეკისროს კომიტეტის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების მოწვევა, კომიტეტის საერთო კრების მოწვევის დროს დასანიშნავად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. საპატიმრო ადგილებში მყოფ პატიმართა და ამ საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტისა

1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან არსებულ დამხმარე კომიტეტს მიზნად აქვს: ა) მატერიალური და მორალური დახმარება აღმოუჩინოს პატიმართ და საპატიმრო ადგილიდან განთავისუფლებულთ, რათა ისინი დაადგნენ სწორ და შრომის გზას, და ბ) დახმარება აღმოუჩინოს ხელმოკლე პატიმარის ოჯახს.

დამხმარე კომიტეტი მოეწყობა სახელმწიფო, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და პოლიტიკურ დაწესებულებათა და ცალკე მოღვაწეთა გაერთიანებით.

2. პატიმართა დამხმარე კომიტეტის საზრუნავია: ა) პატიმარი, ბ) საპატიმრო ადგილიდან თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლის შემდეგ განთავისუფლებული, გ) ვადამდე პირობით განთავისუფლებული, დ) წინასწარ დაპატიმრების წესით დაპატიმრებული ან სისხლის სამართლის საქმის მოსპობის გამო თუ გამართლების გამო განთავისუფლებული ხელმოკლე პირი და ე) ხელმოკლე პატიმრის ოჯახი.

3. დამხმარე კომიტეტი ზრუნავს ზემოდაღნიშნულ პირთა შორის იმაზე, ვინც ამის თანხმობას განაცხადებს.

4. პირველ §-ში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად დამხმარე კომიტეტი:

ა) დაარსებს ფულად და მატერიალურ ფონდს;

ბ) დახმარებას გაუწევს სამუშაოს ან სამსახურის შოვნისათვის და სამშობლოში ან სამსახურის (სამუშაოს) ადგილას წასვლისათვის;

გ) გახსნის საერთო საცხოვრებლებს, სასადილოებს და სახელოსნო-საწარმოო დაწესებულებებს;

დ) გააერთიანებს განთავისუფლებულებს არტელის, კოოპერატივის და სხვ. სახით.

ე) ხელს შეუწყობს მუშებს შეღავათიანი პირობით შეიძინონ იარაღი და საოჯახო ნივთები.

ვ) დაარსებს პროფესიონალურ და საერთო განათლების სკოლებს და კურსებს;

ზ) გაუწევს სამკურნალო და იურიდიულ დახმარებას;

თ) მოაწყობს ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, კლუბებს, გამართავს გამოფენებს, ლექციებს, წარმოდგენებს, კონცერტებს და სხვ;

ი) მოიწვევს კონფერენციებს და ყრილობებს და გამოსცემს ნაშრომებს და ჟურნალებს თავისი მოქმედების სფეროში;

კ) შეიძენს, გაასხვისებს და იჯარით აიღებს საჭირო ქონებას და დასდებს გარიგებას და ხელშეკრულებას, რაც შეესაბამება კომიტეტის მიზნებს.

შენიშვნა: მე-4-§-ში აღნიშნულ უფლებამოსილებას კომიტეტი განახორციელებს არსებულ კანონთა თანახმად და ამ კანონთა მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.

5. კომიტეტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და წარწერით: **„საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან არსებული პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტი“.**

6. კომიტეტის წევრს ეძლევა კომიტეტის წევრობის მოწმობა.

7. კომიტეტი იმყოფება ქ. ტფილისში. მას შეუძლიან რესპუბლიკის სხვა ქალაქში სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან გახსნას თავისი განყოფილება, რომელიც იმოქმედებს კომიტეტის საერთო კრების მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულებისამებრ. კომიტეტის სამაზრო განყოფილება მოეწყობა კომიტეტის დაგვარად; ამასთანავე განყოფილებათა დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ დებულებას.

II. კომიტეტის შედგენილობა

8. კომიტეტი შესდგება: ნამდვილი წევრებისაგან და წევრ-თანამშრომელთაგან.

9. ნამდვილ წევრად ჩაითვლება: ა) კომიტეტის დამფუძნებელი წევრი, ბ) იურიდიულ პირის მიერ წარმოგზავნილი დელეგატი (§-1)—თვითეულ იურიდიულ პირზე თითო და გ) კერძო მოქალაქე, რომელსაც კომიტეტის საერთო კრება, თავისი გამგეობის წინადადებისამებრ, წევრად აირჩევს.

შენიშვნა: დამფუძნებელ წევრად ჩაითვლება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარგზავნილი წარმომადგენელი, საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსი და დაწესებულების მიერ წარმოგზავნილი წარმომადგენელი.

10. თანამშრომელ—წევრად შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც სურს ხელი შეუწყოს კომიტეტის მუშაობას. მას ჩარიცხავს კომიტეტის გამგეობა.

კომიტეტის კრებაზე წევრს—თანამშრომელს აქვს სათათბირო ხმის უფლება. იგი არ შეიძლება არჩეულ იქნეს რაიმე თანამდებობაზე.

11. კომიტეტის წევრთა სია დადგენილი წესით ყოველ წელს წარედგინება სათანადო ორგანოს.

12. [illegible] გასვლა შეიძლება როგორც წევრებისათვის პირადი განცხადებით, ისე [illegible] ორი-მესამედის დადგენილებით, ამასთანავე უკანასკნელ შემთხვევაში წევრთაგან გამორიცხვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ წევრი თავისი საქციელით სახელს გაუტეხს კომიტეტს ან ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულობის საქმეს.

III. კომიტეტის სახსარი

13. კომიტეტის სახსარს შეადგენს:

ა) საპატიმრო ადგილების საწარმოთა შემოსავალის პროცენტული ანარიცხებისაგან;

ბ) სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სუბსიდიისაგან;

გ) კერძო მოქალაქეთა შემოწირულებისა და ანარიცხებისაგან;

დ) კომიტეტის საწარმოო დაწესებულებათა და სპეციალურ ღონისძიებათ შემოსავლისაგან.

კომიტეტის მმართველობის ორგანოები

14. კომიტეტის მმართველობის ორგანოა არის:

ა) კომიტეტის წევრთა საერთო კრება,

ბ) კომიტეტის გამგეობა,

გ) სარევიზიო კომისია.

კომიტეტის კრება

15. კომიტეტის საერთო კრებას მოიწვევს კომიტეტის გამგეობა უწყებების დაგზავნით ან განცხადებით. საერთო კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ იქნება კომიტეტის გამგეობის მიერ დაწესებული ქვორუმი, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს მოსაწვევ უწყებაში.

16. საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც. იგი მოიწვევა აგრეთვე სარევიზიო კომისიის დადგენილებით ან ნამდვილ წევრთა მოთხოვნით, რომლის რიცხვიც 10 ნაკლები არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება ორი კვირის განმავლობაში.

17. ყველა საქმე გადაწყდება ასდილი ხმის მიცემით და დამსწრე წევრთა ხმების მარტივი უმეტესობით, გარდა კომიტეტის წევრის გამორიცხვისა და კომიტეტის დახურვის საკითხისა, რის გადასაწყვეტად საჭიროა დამსწრე წევრთა ხმების არა ნაკლებ ორი მესამედისა. ხმის უფლების გადაცემა არ შეიძლება. თუ ხმები თანასწორად გაიყო, საკითხი უარყოფილად ჩაითვლება.

18. საერთო კრება:

ა) აირჩევს კომიტეტის გამგეობის წევრთ, სხვა დანამდებობის პირებთ და სარევიზიო კომისიის წევრთ;

ბ) დაამტკიცებს ინსტრუქციას კომიტეტის სარევიზიო კომისიისა, თანამდებობის პირთა და სხვა ორგანოთათვის;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს გამგეობის მიერ შეტანილ პროექტებს;

დ) გახსნის და დახურავს კომიტეტის განყოფილებას და სხვა ორგანიზაციას და დაამტკიცებს კომიტეტის სამაზრო განყოფილებათა დებულებას;

ე) მიიღებს ნამდვილ წევრად სხვადასხვა პირს და გამორიცხავს კომიტეტის წევრებს;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს სარევიზიო კომისიის დასკვნას, გამგეობის ანგარიშს კომიტეტის მოქმედების შესახებ, მომავალი მუშაობის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას;

ზ) განიხილავს კომიტეტის საერთო წესდების ცვლილებას ან დამატების პროექტს.

შენიშვნა: საერთო წესდების ესა თუ ის გამონაკლისი, ცვლილება ან დამატება, რასაც საერთო კრება მიიღებს დასამტკიცებლად წარედგინება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

დამხმარე კომიტეტის გამგეობა.

19. კომიტეტის გამგეობა არის მისი აღმასრულებელი ორგანო და შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, ხაზინადარისა და გამგეობის წევრებისაგან, რომელთა რიცხვს დააწესებს საერთო კრება.

შენიშვნა 1. კომიტეტის გამგეობაში შედის აგრეთვე თითო წარმომადგენელი: სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა—რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს, როგორც დაწესებულებას, რომელსაც ყველაზე მეტად მჭიდრო კავშირი აქვს კომიტეტის მუშაობასთან, თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის გარდა, ეკუთვნის კიდევ ერთი ადგილი კომიტეტის გამგეობაში.

შენიშვნა 2. კომიტეტის გამგეობა იმყოფება ტფილისში და ამიტომ ერთ და იმავე დროს არის ტფილისის დამხმარე კომიტეტიც და მის შემადგენლობაში 1-ლ შენიშვნაში ჩამოთვლილ პირთა გარდა შედის ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ერთი წარმომადგენელიც.

20 კომიტეტის თავმჯდომარეთ არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოგზავნილი წარმომადგენელი, თავმჯდომარის მოადგილედ რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსი, ხოლო გამგეობის დანარჩენ წევრებს გაგზავნიან სათანადო დაწესებულებანი, ან ირჩევს კომიტეტის საერთო კრება ერთის წლის ვადით.

21. ამორჩეული გამგეობის შედგენილობა და ყველა ის ცვლილება, რაც ამ გამგეობაში მოხდება, დადგენილი წესისამებრ, უნდა ეცნობოს სათანადო ორგანოს.

22. გამგეობა თვალყურს ადევნებს საერთო კრების დადგენილებათა ასრულებას, აგრეთვე კომიტეტის საქმეთა სათანადოდ [illegible], განაგებს ადმინისტრატიულ, საფინანსო და სამეურნეო ნაწილს და პასუხს აგებს კომიტეტის მუშაობის მიმართულებისა და შედეგებისათვის.

23. კომიტეტის გამგეობა ყოველწლიურად შეადგენს კომიტეტის მუშაობის ანგარიშს და წარუდგენს დასამტკიცებლად საერთო კრებას.

კომიტეტის ლიკვიდაცია

24. კომიტეტი შეიძლება დაიხუროს, როგორც მთავრობის ორგანოს განკარგულებით, ისე საერთო კრების დადგენილებით.

25. უკეთუ მოხდება კომიტეტის ლიკვიდაცია, მისი ქონება მთლად გადავა რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

თბილ. ორგანიზაციის პარტაქტივის საერთო საქალაქო კრება

რომელიც დანიშნული იყო 8 იანვრისათვის, გადატანილია ორშაბათ, 11 იანვრისათვის, საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგში:

მოხსენებანი ამხ. **ორჯონიკიძისა** და **მიხ. კახიანისა**

„საკავშირო კომპარტიის მეთოთხმეტე ყრილობის შედეგები“

თ. კ. მდივანი—ხვანიძე.

— **6 იანვრისათვის დანიშნული პროფკავშირების ცეკა გამგეობის ფრაქციათა თათბირი რაიკომების მუშაკებთან ერთად გადატანილია 9 იანვრისათვის, საღამოს 6 საათზე.**

კრება შესდგება პროფკავშირების დიდ დარბაზში.

თ. კ. მდივანი—ხვანიძე.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყ. სთხოვს ყველა უმუშევრათ დარჩენილ ამხანაგებს, რომელთა პირადი საქმეც გადაცემულია განყოფილებაში,—გამოცხადდენ იქ სამი დღის განმავლობაში.

— მეორე რაიკომის სააგ.-საპროპ. განყ. იუწყება: სამშაბათს, 12 იანვარს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია რაიონის ყველა პოლიტ და პარტსკოლების სომხურ ენაზე.

დასწრება სავალდებულოა ყველა მსმენელთათვის.

— ქართული პოლიტ. და პარტსკოლების კრება დანიშნულია ხელოსანთა კლუბში (პლეხ. პრ 66).

რუსული პოლიტ. პარტსკოლებისა კი—მუშ. ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ. 123).

მდივანი—ფანცულაია.

— დღეს, 9 იანვარს, საღამოს 5 ნახ. საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე შეხდება ქალაქის რაიონის მეთერთმეტე საფეხურის პოლიტსკოლის ხელმძღვანელთა თათბირი.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის:

ჩაუსკა, გრეჩკინა, ტინტიკოვი, ცხაკაია, სოლომონია, ვაშაძე, პეციაშვა, ბახტაძე, ყულბაკიანი, ხაჭიჭკი, ნიკოლსკი, მერკულოვი, მაქსიმენკო, ისკანდაროვი, ბედია.

ქალაქის რაიკომი.

— თ. ჯ. ადმინისტ.-სამეურ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. რუბენ ღარიბოვს და იაკობ ელიაშვილს—10 იანვარს, დილის 11 საათზე, გამოცხადდენ ამხ. ლორთქიფანიძესთან პარტ. ნიდადობაზე დასამტკიცებლად.

— ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს კი წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში ამხ. ლორთქიფანიძესთან სამი დღის განმავლობაში:

ოცდინი ალ., კაცაძე ელ., ბარანოვა ანა, სარჯველაძე ლუკა, გძელიშვილი გრ., შუაჩიძე ვლ., დოლიძე ანდრო, ბახანიძე ალ., სიჭინავა რიჟდენ, გაბუნია სერგო, ლევაშვილი არჩილ, ალბერტი შიგ., ვალტერ ოლგა, მჭედლიშვილი ნინო, გოჩიტაშვილი ზორმან, ვასინინი მ. ხ., შერბაკოვი იაკობ, სარქისიან ყაზარ, იორდანიშვილი მიხ., ზაპრუსკი ფეოდ., კოპლამაზიშვილი ლევან, სტეფანოვი მიხ., ჩაჩიკიანი არ., ტამამ-დოგლიუკ ვერა, ოქროპირიძე ალ., გოგმანი ფრიც, კრიკ ფრანცი.

მეუღლე—მარიამ დედაბრიშვილისა, შვილები—ნათელა, ბიძინა, ნუნუ და შოთა, დები—მარიამ კაიშაურისა, ანეტა ოზიაშვილისა და ელენე ჯ ნლიარსკისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ იანვრის 2-ს დილის 10 საათზე უეცრად გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

შიო არაგვისპირელი
(დედაბრიშვილი)

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. აქვე შაბათს, იანვრის 9-ს, გადახდილი იქნება სულის მოსახსენებელი წირვა. შაბათს საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ნეშთი გადასვენებული იქნება ქაშვეთიდან ხელოვანთა სასახლეში (ივანე მაჩაბლის ქუჩა 13, ყოფილი სერგიევისა). კვირას, იანვრის 10-ს, სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ დიდუბეში ქართველ მწერალთა პანთეონში დასაკრძალავად.

ნ. 553 3—1

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო და პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ იანვრის 2 დილის 10 საათზე უეცრად გარდაიცვალა ხსენებულ კავშირის საპატიო თავმჯდომარე, დამსახურებული მწერალი

შიო არაგვისპირელი

ცხედარი შაბათს, იანვრის 9 ს, საღამოს 6 საათზე მისვენებული იქნება ხელოვანთა სასახლეში ივანე მაჩაბლის ქუჩა (ყოფილი სერგიევისა) 13. კვირას იანვრის 10-ს საათის თერთმეტიდან დაიწყება სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ დიდუბეში ქართველ მწერალთა პანთეონში დასაკრძალავად.

ნ. 553 3—1

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი და ხელოვნების სასახლე მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ იანვრის 2-ს დილის 10 საათზე უეცრად გარდაიცვალა დამსახურებული მწერალი

შიო არაგვისპირელი

ნ. 553 3—1

ამა იანვრის 2, დილის 10 საათზე უეცრად გარდაიცვალა დამსახურებული მწერალი

შიო არაგვისპირელი

რასაც დამკრძალავი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას. ცხედარი შაბათს, იანვრის 9-ს, საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიიდან მისვენებული იქნება ხელოვანთა სასახლეში ივანე მაჩაბლის ქუჩა 13 (ყოფილი სერგიევსა). კვირას, იანვრის 10-ს საათის თერთმეტზე დაიწყება სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ დიდუბეში ქართველ მწერალთა პანთეონში დასაკრძალავად.

ნ. 553 3—1

სრულიად საქართველოს ახალ მწერლების კორპორაცია და „ცისფერი ყანწები“ აუწყებენ ქართველ საზოგადოებას

შიო არაგვისპირელის

გარდაცვალებას

ნ. 553 3—1

ალფესი მაქსიმეს ძე მიქელაძე და კონსტანტინე ჩითანის ძე თავართქილაძე აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ: პირველი—ძვირფასი დედის და მეორე ძვირფასი ამღზრდელი და დედის მაგიერის

მართა იოსების ასული იორაიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება შაბათს, იანვრის ცხრას, ნაშუადღევს ორ საათზე ქ. ოზურგეთში.

1078 2—1.

წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოების (ყოფ. წერა-კითხვის) გამგეობა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ იანვრის 2-ს უეცრად გარდაიცვალა ხსენებული საზოგადოების მთავარი გამგეობის ყოფილი წევრი ცნობილი მწერალი

შიო არაგვისპირელი

ცხედარი იანვრის 10-ს დილის 10 საათზე გამოსვენებულ იქნება ხელოვანთა სასახლიდან (სერგ. ქ. № 13) და დაკრძალულ იქნება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

1102 1-1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კოწია ივანეს ძე ლლონტი, და ვასასი ივანეს ასული ლლონტისა, სიძე ნეოფიტე ესებუა ლლონტი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს 9 იანვარს იქნება გადახდილი დაუვიწყარი

დარიკო ივანეს ასულის ლლონტისა (გველესიანი)

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სოფელ ცხრაწყაროში (შორაპნის მაზრა).

1093 1-1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე ლეონტის ასული შვილებით, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი

ლავრენტი ბესარიონის ძე ხამაშურიძის

ორმოცი დღის წირვა პანაშვიდი გადახდილ იქნება 10 იანვარს დილის 11 საათზე, ნიკოლოზის ეკლესიაზე.

1091 1-1

დავით ანტონის ძე და ანა სტეფანეს ასული, შვილებით, ალექსანდრე ანტონის ძე და ანა ივანეს ასული ზუბალაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათი ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

ეკატერინე ალექსანდრეს ასულის ზუბალაშვილის

ქ. გორში გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება, ორშაბათს, 11 იანვარს დილის 11 საათზე. გორის რომის კათოლიკეთა ეკლესიაში.

1089 1-1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვასო ჭითანავა, მაზლი ალექსანდრე და კოწია, რძალი კატუშა, მაზლის შვილი მიშა და გუნარა ჭითანავები, ძმა კოლია ჩხენკელი, რძალი ნატია შვილებით, დები ნინო და ფაცურა სიძე ბარნაბი ახვლედიანი შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ფაცია ჭითანავას

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ფოთში ნაბუტარის სასაფლაოზე, კვირას 10 იანვარს დილის 1 საათზე.

1094 1-1

გულდამწვარი შვილები: თამარ, ალიოშა, ნინო და მიშა ჯაფარიძეები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

მარგალიტა მიზარბეგის ასულის ჯაფარიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება, კვირას, 10 იანვარს ქვაშვეთის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 ნახ. საათ.

1087 1-1

შვილები ნიკო, გიორგი და ალექსანდრე ტიგიშვილები მწუხარებით ვაუწყებთ ყველა ნათესავებს და ნაცნობებს ჩვენი დედის

მაგდანა იოსების ასული ტიგიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 10 იანვარს, დილის 12 საათზე, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება ალექსანდროვის ქუჩა. № 21.

1098 1-1

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: ქმარი არქიპო ერასტის ძე პირველაშვილი თავისი პატარა ქალიშვილი ლილიკოთი, მამა გიორგი, დედა ეკატერინე, ბებია მართა, ძმები ვალიკო, ალფეზი და კოლია, დები—ვერიკა, მარუსია და ქენია ებანოიძეები სიძე შალვა ახრახაძე, მამამთილი ერასტი, დედამთილი ნატა, მულები რიმა და ცუცა პირველაშვილები და გულითადი მეგობარი კოლია ჩხუნაშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თბილისში 5 იანვარს, დღის 3 საათზე მათთვის საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი

დომინიკა (დონია) გიორგი ებანოიძის ასული პირველაშვილისა

რომელიც უკვე წასვენებულია თბილისიდან 7 იანვარს, რკინის გზით სად. ზესტაფონში სოფ. ფუთში სადაცმოხდება დაკრძალვა, კვირას 10 იანვარს.

ნ. 552 2—1.

თავზარდაცემული მამა ივანე დავითის ძე კიკნაძე მეუღლით ნატალია გრიგორის ასული ჯავახიშვილი კიკნაძისა. დები: თამარა და ემა, ძმა გიორგი და დიდედა ანასტასია კიკნაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ შვილის, დის და შვილიშვილის

ეკატერინე (კატუშა) ივანეს ასულის კიკნაძეს

უდროოთ გარდაცვალებას. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. გამოსვენება მთავარი საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის) 9 იანვარს 3 ს. 30 წ. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზე.

1080 2—1

გულდაწყვეტილი ნატალია დავითის ასული და პავლე ანტონის ძე კილატოზიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მარად საზოგარ და საყვარელ ძმისწულის

ეკატერინე (კატუშა) ივანეს ასული კიკნაძეს

დაკარგვას. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის) 9 იანვარს 3 ს. 30 წ. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზე.

1080 2—1

გულდაჩაგრული ელენე დავითის ასული ჩიხავა შვილებით: ნატალია ვლადიმერის ასული ადამიძე და ეთერი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავის ძმისწულის და ბიძაშვილის

ეკატერინე (კატუშა) ივანეს ასულის კიკნაძეს

უდროოთ სამუდამოთ დაკარგვას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის) 9 იანვარს, 3 ს 30 წ. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზე.

1080 2—1

წითელი თეატრი

შაბათს, 9 იანვარს

მილრად შექსპირის

„ქირვეული ცოლის მორჯულება“

კომედია 5 მოქმ. 6 სურათ.

დადგმა მ. ქაიურელის დეკორაცია ზდანევიჩის.

დასაწყისი საღ. 8 საათზე

ნ. 1—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0— 19

კვირას, ამა იანვრის 10, დილის 10 საათზე დანიშნულია გაზეთ „კომუნისტი“-ს

განცხადებათა შემკრებ აგენტების
კრება

ყველა აგენტს ევალება გამოცხადდეს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 24) აღნიშნულ დროს.

მთავარი კანტორა

3—1

მერი პიკფორდი სურათში

აპოლო არტისტო როდეო
უკანა კარებიდან

1-ლი სეანსის დაწყებამდე: პარტერი—35 კ. ამფიტ.—25 კ.

საუკეთესო სურათი შეუდარებელი მერი პიკფორდის მონაწილეობით

ორი პრეტენდენტი

(მერი პიკფორდი ერთდაიმავე დროს ორ როლში—დედის და შვილის)

ანონსი: ჩქარა—ვინ არის დამნაშავე?

0—16 ნ. 445

[illegible] [illegible]

უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

რუსთაველის თეატრი:

დღეს, 9 იანვარს

ჰამლეტ

მონაწილეობს პირველი შემადგენლობა

კვირას, 10 იანვარს

ცხვრის წყარო

ანონსი: სამშაბათს, 12 იანვარს

დეზერტირკა

ნ. 546 4—

სახელმწიფო ოპერა დღეს, 9 იანვარს

ტრილბი

კვირას, 10 იანვარს

დილას: I. შვიდი თხა (Семь козликов) II. წითელი ქუდი

საღამოს: კარმენ

სამშაბათს, 12 იანვარს

აიდა

სანდრო იაშვილის მონაწილეობით.

547 4—2

ამიერ-კავკასიის სახელმ. შრომის შემნახველი მთავარი სალარო

გადავიდა

სოლოლაკის ქ. № 12

რუსთაველის პროსპექტზე № 19

(რუსთაველის თეატრის გვერდით)

9 იანვრიდან ოპერაციები იწარმოებს ახალ შენობაში.

სალარო იძლევა ანაბარებზე 8—9 პროცენტს.

აწარმოებს ჯირების, სესხებს, აკრედიტულ საამანათო და სხვა საბანკო ოპერაციებს.

ანაბარები ინახება სავსებით საიდუმლოდ.

ნ. 556—3—1

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა

აცხადებს, სტუდენტთა საყურადღებოდ

რომ კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდების (ზამთრის) სესია გრძელდება 1-დან 15 თებერვლამდე. აღნიშნულ სესიაში გამოცდის ჩაბარების მსურველნი ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აუცილებლივ 27 იანვრამდე.

ნ. 560—3—1

კვირას, 10 იანვარს, კირკის ქუჩა № 7 მუშკოოპის სავაჭრო განყოფილება ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

30.000 ფუთი ყინულის ჩაბარებაზე თავის საყინულეებში. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ პირებს, რომელნიც შემოიტანენ 100 მან. საწინდარს

ნ. 554—2—1

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა კავშირის პროფგანათლების განყოფილება

(ელისაბედის ქ. № 200) იწვევს იმ პირებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში, რომელიც შესდგება 1926 წლის 20 იანვარს შემდეგი ნივთების დამზადებაზე ნახაზების თანახმად: 1) 22 სახაზავი კომპლექტი (სახაზავი დაფა, მისი ჩარჩო, დასადგმი—დაზგა და მაღალი ტაბურეტკა) და 2) 20 ცალი სასკოლო 3 ადგილიანი პარტა. ნახაზების ნახვა და პირობების გაგება შეიძლება პროფგანათლების განყოფილების კანცელარიაში სამუშაო საათებში.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა კავშირის პროფგანათლების განყოფილების გამგე: კიკნაძე.

1063 3—2

---

10 იანვარს 1926 წ. დილის 10 საათზე „ზაკტპო“-ს საჯინიბოს ბინაში (დიდუბე ელისაბედის ქ. № 181) დანიშნულია

შეჯიბრება

საჯინიბოს კუთვნილ, სხვადასხვა გვარ ქონების გასასყიდად—მაგალითად: ფურგუნების, ბორბლების, ხამუტების, რეზინის შინების ტაჭკების და სხვა.

2—1 1095 გამგეობა.

1926 წ. დეკემბრის 18 დღეს მეხამე უბნის სახ. სასამართლო იწვევს დღიდან ამა განცხადებისა ერთი თვის ვადით გამოცხადდეს სასამართლოში მოქ. აბრამ მოსეს ძე მამისთვალოვი, როგორც მოპასუხეს იაკობ ბაჩაკაშვილის ძიებისა გამო (100) ასი მანეთის შესახებ. თუ არ გამოცხადდება აღნიშნულ ვადაზე სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნება მის დაუსწრებლად გადაწყვეტილება.

1—1 1096 სას. მოსამართლე: ი. მოსეხოვი.

ქ. თბილისის მე-3 რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 11 იანვარს 1926 წ. დღის 4 საათზე კახეთის მოედანზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ყაზარ ნოაზოვის მოძრავ ქონებას 20-მდე ცხვარს. შეფასებულს 200 მანეთად, ბარბარე აფიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 10 ოქტ. 1925 წ. თარიღით, № 4989 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა

1—1 1099 სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ინვალიდებისათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთველის პროსპექტი № 18—10 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—1

ექიმი

მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტთა კორპ. უკან.

ექიმი

მ. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფილებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56

989 25—1

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

შარდის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირს მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალებისათვის—დღის 1—2 საათამდე.

ექიმი

მაღაევი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 7—9 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის ხენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს.

ძნელაძეს ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 32.

25—1

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

დ. ე. პაპიტაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე.

კრილოვის ქ. № 8.

625 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ, საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

ექიმი

ი. ა. შაფერ

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება 2—3 საათ. და 6—8 საათ. კურსანტების ქ. (ყოფ. კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული.

ექიმი

დ. ა. მალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კიროვის ქუჩის კუთხიდან.

ექიმი

გ. გ. მესრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეციალური მკურნალობა მალარიისა, ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

დოქტორი

გ. მესრაბიანი.

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზით სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინზით, რენტგენის, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

ს ომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მე ორე სახლი.

25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—9 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართ: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მა-(ჩაბლის ზემოდან აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი

თოდაძე

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ჭაჭები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.)—ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას

დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღას (ლენინის ქუჩა) № 35.

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი

კ. ი. ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეზხაპუნება „914“ ნორიის და მისი შედეგების წამლობა; ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).

25—1

დაიკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 590, კონსტანტინე ალფეზის ძე ქუბაბრიას სახელზე, ჩ. გ.

1—1

დაიკარგა სართიჭალის უბნის განათლების მუშაკთა კავშირის ბეჭედი, ჩ. გ.

1097 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი ისიდორე ბაგრატის ძე კირველიძის სახელზე, ჩ. გ.

1100 1—1

დაიკარგა ცხენი სამი კვირაა; ფერად წითელი, ძუა-ფაფარი შავი და ხშირი, საშუ ლო ტანისა, ლაგამ—მამალი. მნახველს საჩუქრად 80 მ. ნეთი. გ. ჩიტორელიძე, სოფელი კურსები (ქუთაისის მაზრა, ორპირის თემი).

1101 1—1

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი, პირადი წიგნაკი ფორმა № 4. გიორგი ინჯგიას სახელზე, ჩ. გ.

1086 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1536 და ცხენის სარეგისტრაციო ბარათი, კარაპეტიანის სახელზე, ჩ. გ.

1088 1—1

დაიკარგა მეტრიკა № 3062 ბახვა ლუკას ძე შ. ხულულოვის სახელზე, ჩ. გ.

1090 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სახ. წულუკიძის ქუჩა № 4